საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№12 (247)
2 - 8 აპრილი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

6 ირაკლი ღარიბაშვილი ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ

# სინოდის წევრების წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მზადდება



«აპირებენ საეკლესიო პირების სრულ დისკრედიტაციას, წირვების ჩაშლას. მრევლის დაწიოკებას. მთავარ დარტყმას მიაყენებენ სინოდის წევრებს» 8

11 «ვურჩევ უკრაინელ მეგობრებს, სააკაშვილს სიფრთხილით მოეკიდონ!»

10 «სწრაფვამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მალე, შესაძლოა, პრობლემური გახადოს ურთიერთობა სომხეთთანაც»

რას მოითხოვს ჩვენგან ევროკავშირი და რას მოგვიტანს 11 რეალურად ევროინტეგრაცია

## რამდენი მილიონი მიიღო კარლ ბილდტის ფირმამ სააკაშვილის ხელისუფლებისგან 13



## «ნაციონალური მოძრაობის» 14 წევრებმა საქართველოდან 19 მილიარდი ლარი გაიტანეს»



«მზად ვარ, ქალბატონ მაღრაძეს ნებისმიერ ადგილას შევხვდე 4 და დავაპოშმინო»



«ობამა ყველაზე დიდი ქართველი გამოდგა»

„ჩვენ, ქართველებს, როგორც წესი, რეალობის დანახვა არ გვინდა ხოლმე, ამიტომ ვიღაცას ეს უნდა ეთქვა, ეს ვიღაც კი ობამა აღმოჩნდა“ 10



15 მსოფლიოს ათი უძლიერესი არმია

# ჩაკ ნორისი ხარ, ბიჭო?!

იმაზე იფიქრეთ, მოსახლეობა როგორი ოვაციებით შეხვდა ამ ამბავს და გული მხოლოდ იმაზე დაწყდა, რომ საკმარისად არ გაილახა.

აქა ამბავი ნუგზარმენის მიჯირყვნისა 3



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 7 თვითმმართველი ქალაქი და 7 მუნიციპალიტეტი

**თვითმმართველობის რეფორმის მეორე ეტაპი, რომელიც გარდამავალ დებულებებში მოცემულ ვალდებულებათა შესრულებას მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე გულისხმობს, სავარაუდოდ, აღარ განხორციელდება.** საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში 7 თვითმმართველი ქალაქის **(გორი, თელავი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ახალციხე, ამბროლაური, მცხეთა)** გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიაზე თითო მუნიციპალიტეტი ჩამოაყალიბოს, რომელთაც არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და მოსახლეობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მთავრობის პოზიცია პარლამენტში გადაიგზავნება და საბოლოო გადაწყვეტილება კანონმდებლებმა უნდა მიიღონ, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მასში რაიმე ცვლილების შეტანას ნაკლებად ვარაუდობენ.




## შსს-მ ჟურნალისტებისთვის კონკურსი გამოაცხადა

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში ჟურნალისტებისთვის გამოაცხადა კონკურსი „არა ბიონარკოტიკს“.**

გამარჯვებული რამდენიმე ნომინაციაში გამოვლინდება: საუკეთესო ტელესიუჟეტი; ტელეგადაცემა; რადიოსიუჟეტი; რადიოგადაცემა; სტატიის ავტორი. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები კამპანიის „ფეისბუქის“ გვერდზე ერთი თვის განმავლობაში უნდა ატვირთონ.

სამინისტრო ანტინარკოტიკულ საგანმანათლებლო კამპანიას ახორციელებს, რომელიც ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარების წინააღმდეგ არის მიმართული. კამპანიის დევიზია — „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“.



## 400 ათასამდე ბენეფიციარი სამედიცინო მომსახურებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიიღებს

**სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, პედაგოგები, დევნილები, სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები, ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულები და გალის ტერიტორიაზე მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები, რომლებიც აქამდე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ იყვნენ დაზღვეულები, სამედიცინო მომსახურებას უცვლელი პირობებით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიიღებენ.**

ბენეფიციარების რაოდენობა 400 ათასამდეა. მათ საშუალება მიეცემათ, აირჩიონ სამედიცინო დაწესებულება სატარიფო არეალის გათვალისწინებით. ცვლილება ეხება გეგმურ, ქირურგიულ ოპერაციებზე საგარანტიოდ გაცემის წესსაც. კერძოდ, თუკი დღემდე აღნიშნული დადგენილების მოსარგებლეთა ლოდინის პერიოდი განისაზღვრებოდა 6 თვით, ამიერიდან ის 2 თვემდე შემცირდება.

რაც შეეხება მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლების ბენეფიციარებს, რომლებსაც ხშირად პირადობის დამადასტურებელი მოწმობის უქონლობის გამო ვერ უტარდებოდათ სამედიცინო მომსახურება, მსგავსი პრობლემა აღარ შეექმნებათ, მათ მიეცემათ ხანგრძლივი ვადა, ზემოაღნიშნული დოკუმენტის წარსადგენად. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში განმარტავენ, ბენეფიციარებმა გეგმური ქირურგიული ოპერაციებისთვის — საყოველთაო ჯანდაცვის სერვისცენტრებს, ხოლო გეგმური ამბულატორიული მომსახურებისთვის მათთვის სასურველ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართონ.

# ამერიკელი ანალიტიკოსი სააკაშვილის დაკითხვას ლეგიტიმურად მიიჩნევს

**აშშ-ს პოლიტიკური საბჭოს წევრი დამოუკიდებელი ანალიტიკოსი მაიკლ ჩეჩირე მიიჩნევს, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება ლეგიტიმურია, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ პროკურატურამ დაკითხვაზე დაბარების დრო არასწორად შეარჩია.**




„სააკაშვილის გამოძახება ლეგიტიმურია, თუმცა ამისთვის დრო არ იყო კარგად შერჩეული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაშიც ეს იყო ნათქვამი... არსებობს ფაქტოები ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე. ასევე, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. ამიტომ მე ლეგიტიმურად მიმაჩნია, ყოფილმა პრეზიდენტმა სამართალდამცველთა კითხვებს პასუხები გასცეს. მან თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმაზე, რომ სკაიპით გაეცა კითხვებისთვის პასუხი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოფილ პრეზიდენტს კითხვებზე პასუხი არ სურს“, — განაცხადა აშშ-ის პოლიტიკური საბჭოს წევრმა მაიკლ ჩეჩირემ.

**ამერიკელ ანალიტიკოსთან ინტერვიუ „ამერიკის ხმამ“ ტელეკომპანია „იმედისთვის“ ჩაწერა.**

**P.S. საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარის თქმით მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი თავის ლუსტრაცია მოახდინა.**

**როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ის, რომ სააკაშვილი შეკითხვებს გაურბის, ყოფილი პრეზიდენტის მიმართ არსებულ ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს. მისივე განმარტებით, ადრე თუ გვიან მიხეილ სააკაშვილს ყველა შეკითხვაზე მაინც მოუწევს პასუხის გაცემა.**



## ისრაელის ექსპრემიერს ბრალი დაუმტკიცდა

**ისრაელის სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრემიერმინისტრ ეჰუდ ოლმერტს ბრალი დაუმტკიცა. მას ბრალი იერუსალიმის მერად ყოფნის პერიოდში განვითარების პროგრამის ერთ-ერთ პროექტის განხორციელებისთვის ქრთამის აღება ედებოდა.**

პროკურორების მტკიცებით, იერუსალიმში განსახლების პროექტის განხორციელებისთვის, ოლმერტმა სხვებთან ერთად ასიათასობით დოლარის ოდენობის ქრთამი აიღო. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შესახებ მას მოგვიანებით შეატყობინებენ. ჯერჯერობით უცნობია, ითვალისწინებს თუ არა ვერდიქტი ექსპრემიერისთვის პატიმრობის ვადის დაწესებას.

კორუფციული სკანდალის გამო ოლმერტი იძულებული შეიქნა, 2008 წელს პრემიერის პოსტი დაეტოვებინა. 2012 წელს კი სასამართლომ მას სამთავრობო კონტრაქტების ყოფილი კოლეგისთვის გადაცემის გამო ჯარიმა — 18 ათასი დოლარი — გადაახდევინა.



## ნეტავ, რა ჯიშის ადამიანები იცავენ ჩვენს საყვარელ სააკას?

**რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალური ქსელში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესახებ წერს:**

„ნეტავ, რა ჯიშის ადამიანები იცავენ ჩვენ საყვარელ სააკას? მკვლელს, უვიცს, გახრწნილს, ფლიდს, ჭკუათხელს, უტიფარს, ქურდს, ბოლმას, ქლესას, გადაჭრი და ჩირქიან სხეულში ამბიციების მატლების გარდა ვერაფერს ნახავ!

თუმცა ოჯახი უყვარს, ერთს სასტუმროები სადღაც თურქეთში გადაუფორმა, მეორემ რესტორნები სასწრაფოდ გაყიდა, შეშინებულმა ოჯახმა ოფშორში დამალული ქართველების მილიარდები ცელოფანში შეახვიეს და სასწრაფოდ ჰოლანდიაში, ტიტების მინდორში ჩამარხეს.

აი, ერთი ვერ მოაგვარა მეუღლემ — საყვარელი ცოლი, დაზვერვაში მეგრულს ბეჯითად რომ სწავლობდა, სამწუხაროდ, პარიზის „ჩერდაკში“ მოათავსა. ანუ მანსარდაში, მადლენის ეკლესიასთან. ბავშვები ბაბუასთან, ავტობუსების მეფესთან სასახლეში ნებივრობენ. თუ არ ვცდები, ერთს ედუარდი შეარქვეს კარიერის გამო. მამას „ბალნიციდან“ გაგდებას უპირებენ.

პოეტები დაუჭკნა, რექტორები ფოთთან საკუთარ იახტკლუბებში ნეოფროიდიზმს ეწაფებიან. ზოგი მიიმალა, ზოგი აჯანყებას ამზადებს... მომღერლებმა ხმა დაკარგეს... ყირიმის ჩაბარებაში დიდი როლი ითამაშა. ახლა აქ გადაწყვიტა, თავის მოჯამაგირეებთან ერთად კიევის მაიდანი გაითამაშოს, რუსები შემოიტყუოს და ვასალურ საქართველში დაბრუნებულმა ყველას დედა მოუ***ას. ო, დოლარებო, დოლარებო! რამდენს ასესხებენ, ნეტავ, კიდევ. **ასეთი ერის გამყიდველი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს! მიაუ!“ — წერს რობერტ სტურუა.**



### გიორგი გვიჩიანი:

## გაზი ვერ გაჟონავდა, რადგან კორპუსს, რომელშიც, გამოძიების ვერსიით, ჟვანია გარდაიცვალა, გაზი არ მიეწოდებოდა

**პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამო უვადო პატიმრობაში მყოფი გიორგი გვიჩიანი დაიკითხა. აი, რას წერს გვიჩიანი სოციალურ ქსელში:**

„ჟვანიას საქმეზე დამკითხა პროკურატურამ, გაზი იყო თუ არა იმ კორპუსში, იმ ღამითო. რა თქმა უნდა, დავუდასტურე, რომ ღამით დაახლოებით 23 საათზე იმ კორპუსს გაზი ავარიულად გაეთიშა და, შესაბამისად, ვერც ვერსად გაჟონავდა. ეს კარგი, მაგრამ ჩემს საქმეზე ორი ცრუ მოწმის ჩვენებაა მხოლოდ და ორივემ განცხადებით მოგმართათ, რომ ცრუ ჩვენება მაშინ ზეწოლის ქვეშ მივეცითო და ხელახლა დაგვკითხეთო და რატომ არ კითხავ-თქო, რომ ვკითხე, პასუხი იყო დუმილი“, – წერს გვიჩიანი.

**გვიჩიანი ჟვანიას გარდაცვალების დროს „თბილგაზის“ გენერალური დირექტორი იყო. გიორგი გვიჩიანი ზურაბ ჟვანიას საქმეზე პარასკევს, 28 მარტს დაიკითხა.**

რაც შეეხება ელექტროშოკს, შენი წონის ღორი იპოვე სადმე (არ გაგიჭირდება) და იმას მიადე ელექტროშოკი ერთხელ და ნახავ, რა დღეში ჩავარდება. ღორს თუ ვერ ნახავ, გივი თარგამაძეზე ჩაატარე ექსპერიმენტი, ერთი წონა და ზომა გაქვთ ორივეს და მიხვდები, რომ ელექტროშოკის ორჯერ გამოყენების შემდეგ ვერც ფეხზე დადგებოდი და ვერც ტელევიზიებთან იჭუკჭუკებდი თვალჩაწითლებული.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩაკ ნორისი ხარ, ბიჭო?!

## აქა ამბავი წუგზარმენის მიჯირყვნისა

**„ნაციონალური მოძრაობა“ შეძრულია — მათი ერთ-ერთი სახე და ლიდერი ნუგზარ წიკლაური გაილახა, უფრო ზუსტად კი მიიჯირყვნა, თორემ იმ დაზიანებებით თუ ვიმსჯელებთ, რომლებიც წიკლაურის სახეზეა, ეგ ცემა არ არის.** პრინციპში, მთავარი ახლა ის კი არ არის, ვინ, როგორ და რატომ გაძუყნა ნუგზარი, არამედ ის, როგორ მივიდა აქამდე ბატონი ბოცო. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ წიკლაურს ბოცო ზვიად გამსახურდიას პერიოდში შეარქვეს, მერე მიშა მოვიდა და წუგზარი გახდა. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად მისი თიკუნიც რომ უნდა შეცვლილიყო, აბა, რა ძნელი მისახვედრია, მაგრამ რასაც აქამდე ეძახდნენ, გაზეთში ცენზურის გამო ვერ ვწერდით. ჰოდა, **აგერ, ბატონებო, დღეიდან ნუგზარ-ბოცო უკვე წუგზარმენად იწოდება.**

საზოგადოდ, ტყუილიც ხელოვნებაა და როცა იტყუები, ეს ისე უნდა გააკეთო, რომ სხვა ვერ მიხვდეს. **სიცრუის ხელოვნებას მიხეილ სააკაშვილი ფლობს კარგად, მაგრამ 9 წელი მართლა ბევრია და შემოელია ტყუილები, თორემ თავის დროზე მოდელირებული „ქრონიკა“ ისე გვაჭამეს დიდი კოვზით, თქვენი მოწონებული.** ახლა კიდევ გამოვიდა წუგზარმენი და განაცხადა, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებს რომ ჰგავდნენ, 8 ისეთი კაცი დამხვდა, ორჯერ ელექტროშოკი გამოიყენეს, მაგრამ მანქანაში ვერ ჩამტენესო. ამაში წუგზარმენს, გამბედაობისა და საბრძოლო ხელოვნების ცოდნის გარდა (შავი ქამარი ჰქონია მაგას და კატებს აკეთებს თურმე მაგრად), მეზობლის მიერ ნასროლი კარტოფილიც დახმარებია. ისე, **სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, წიკლაურის გადასარჩენად კარტოფილი ვინ გაიმეტა-მეთქი, რადგან არ ღირს კარტოფილი იაფი, მაგრამ მერე მითხრეს, შენ რა იცი, ვის ესროლეს, მომხვდურებს თუ დამხვდურსო.**

ეს კიდევ არაფერი — წუგზარმენმა ჯერ თანაგუნდელებს დაურეკა,— გამი...ძირესო, მერე საავადმყოფოში გაიქცა და ტელევიზიებს გამოეჭიმა, ნახეთ, რა მიყო ამ მთავრობამო, და ზუსტად ისე მოჰყვა ამ ისტორიას, ქართულ მხატვრულ ფილმ „მხიარულ რომანში“ რომ ყვება სანთებელით შეშინებული იპოლიტე ხვიჩიას გმირი თავის ამბავს.



**ნუგზარ, სრული სერიოზულობით გეკითხები: ცხოვრებაში ერთხელ მაინც რეალურად თუ გიჩხუბია ან შენ, ან შენს თანაგუნდელებს?** იცი, რას ნიშნავს 8 კაცთან ჩხუბი? ასეთ შემთხვევაში თუ მართლა ჩაკ ნორისი ან ბრუს ლი არ ხარ, ვერაფერს გახდები და, კაცები კი არა, 8 ქალი ისე გცემს, დედა ვერ გიცნობს. **აბა, დაფიქრდი, რვა ეკა ხერხეულიძე რომ გეცეს, რას გიზამს? შეგეშინდა ხომ?! 8 ეკა ხერხეულიძე, შენ კი არა, საქართველოს დადებს ბეჭებზე.**

**რაც შეეხება ელექტროშოკს, შენი წონის ღორი იპოვე სადმე (არ გაგიჭირდება) და იმას მიადე ელექტროშოკი ერთხელ და ნახავ, რა დღეში ჩავარდება. ღორს თუ ვერ ნახავ, გივი თარგამაძეზე ჩაატარე ექსპერიმენტი, ერთი წონა და ზომა გაქვთ ორივეს და მიხვდები, რომ ელექტროშოკის ორჯერ გამოყენების შემდეგ ვერც ფეხზე დადგებოდი და ვერც ტელევიზიებთან იჭუკჭუკებდი თვალჩაწითლებული.**

თუ ამდენი შეგიძლია, შენი პრეზიდენტი დაოთხილი რომ დარბოდა აგვისტოს ომის დროს და შენი თანამებრძოლები, კაცმა არ იცის, სად იყვნენ შემძვრალი, მაშინ წასულიყავი და... რემბოს სცენარი მეტი კი არაფერია, ერთი კაცი იგებს ომს და რად გვიმალავდი, შე ბოცო?! **დათა თუთაშხიასი არ იყოს, ერთი კაცის მოფიქრებულს ჰგავს ეგ და დათას სცენარი როგორ მთავრდება, გეცოდინება, ალბათ.**

თემურ ბაბლუანის „ბეღურების გადაფრენა“ ნანახი გექნება და იქ არის მომენტი, გუჯა ბურდულის გმირი რომ ეკითხება: „მალიარი ხარ, ბიჭო?!“ და ახლა შენ გეკითხები, წუგზარმენ — ჩაკ ნორისი ხარ, ბიჭო? ისე, მაგ ფილმში „მალიარს“ იმასაც ეკითხებიან, ნეხვი როგორ არის ფრანგულადო და იმან არ იცის, ეგებ შენ მოიძიო და გაარკვიო, სამომავლოდ გამოგადგება. მანამდე კი „ნაცებმა“ ახალი რამ მოიფიქრეთ. **შენი ცემა ვინმეს მართლა რომ სდომებოდა, 8 კაცი კი არა, თქვენზე გამწარებული ერთი ამომრჩეველი ისე დაგამუშავებდა, დავით უსუფაშვილი სხდომაზე დასწრების უფლებას არ მოგცემდა, ვიდრე შენი სახის იდენტიფიკაციას არ მოახდენდნენ. კიდევ იმაზე იფიქრეთ, მოსახლეობა როგორი ოვაციებით შეხვდა ამ ამბავს და გული მხოლოდ იმაზე დაწყდა, რომ საკმარისად არ გაილახე.** საკმარისად გალახვა კიდევ როგორია, ვალერი გელაშვილს ჰკითხე, ის მოგიყვება. ხომ გახსოვს გელაშვილი? შენმა საამაყო ხელისუფლებამ სასიკვდილოდ რომ გაწირა, ის არის. თანაც, შენ თუ ღამით წამოგარტყეს თავში, იმას დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში გაუსწორდნენ.

**დეპოში ხართ, წუგზარმენ, ჩასვლის დროა!..**

**დავით მინდიაშვილი**



## ირაკლი ღარიბაშვილი: კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა

**საქართველოს პრემიერმინისტრი ახალი საკონსტიტუციო ინიციატივით გამოდის. მან საკონსტიტუციო კომისიას რამდენიმე საკითხზე მუშაობა დაავალა. ერთ-ერთი ოჯახის სტატუსის განსაზღვრა იქნება.**

„შესაძლოა, იყოს განსხვავებული მიდგომები და არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება, გამოვდივარ ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შევიტანოთ ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ასე მოიქცა ევროკავშირში შესვლის წინ ლატვია, შარშან კი — ხორვატია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდებლობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერპრეტირება, ვფიქრობ, სასურველია ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის არსებობა. ეს კანონი არ ქმნის არავისთვის რაიმე ტიპის ახალ უფლებას; ის საზოგადოების არც ერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს. კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ ყველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რომლებიც უკვე გვაქვს უზრუნველყოფილი საქართველოს კანონმდებლობით“, — **განაცხადა პრემიერმა.**

**ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ოჯახის დეფინიციის კონსტიტუციით გამყარების ინიციატივა განხილული და მოწონებულია კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მიერ.**



## საქართველოს პრეზიდენტს სასამართლოში უჩივლეს

**საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ იურისტმა ავთანდილ კახნიაშვილმა საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანა.**

ავთანდილ კახნიაშვილი მოქმედ პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ვახტანგ მჭედლიშვილის დანიშვნას ედავება და ამბობს, რომ შესარჩევი კონკურსი მისი პირობების სრული უგულებელყოფით ჩატარდა. კახნიაშვილი პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და კონკურსის ხელახლა ჩატარებას მოითხოვს.

„ამ სარჩელის მიზანია, რომ საზოგადოების ყურადღება მივაპყრო იმ განუკითხაობაზე, რომელიც სასამართლო ხელისუფლებაშია. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იუსტიციის საბჭოში 9 წევრი ძველი ხელისუფლების მიერ იქნა არჩული. ამას დაემატა რამდენიმე ადამიანი ახალი ხელისუფლების მხრიდან, თუმცა უპირატესობა ისევ ძველს დარჩა“, — ამბობს კახნიაშვილი.

**საქალაქო სასამართლოში სარჩელი პრეზიდენტის წინააღმდეგ 16 თებერვალს შევიდა, მოსამზადებელი სხდომა 14 მარტს შედგა, საქმის არსებითი განხილვა კი 3 აპრილს არის ჩანიშნული.**

# ეს არის შეშლილი, შეშლილი,შეშლილი მსოფლიო

**ადამიანების სიგიჟეს საზღვარი რომ არ აქვს, ამას 2013 წლის 9-10 დეკემბერს ევროპარლამენტში განვითარებული მოვლენებიც მოწმობს.**

როგორც ლიტვური გაზეთი Respublika იუწყება, ევროპარლამენტარებმა ლიტვიდან — იუსტას ვინცას პალეცკისმა, ვილია ბლინკიავიჩუტემ და ლეონიდას დონსკისმა მოიწონეს პორტუგალიელი ევროპარლამენტარისა და სპეციალისტის, ედიტე ესტრელას მიერ მომზადებული რეზოლუცია საკითხზე „სექსუალური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობა და უფლებები“, რომლის მიხედვითაც **ოთხ წლამდე ბავშვები ინფორმირებულები უნდა იყვნენ, როგორი სიხარულის მომგვრელია საკუთარ სასქესო ორგანოებთან შეხება. ევროპარლამენტარის მიერ მომზადებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მასტურბაციას დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის სქესობრივი განათლების საქმეში. პორტუგალიელი სპეციალისტის მტკიცებით, 6 წლამდე ბავშვებმა უნდა იცოდნენ ერთი სქესის წარმომადგენელთა**



ედიტე ესტრელა

**ინტიმური ურთიერთობის შესახებ. 9 წლის ბავშვები კი ინფორმირებულები უნდა იყვნენ კონტრაცეფციის მეთოდებზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, აგრეთვე, განსხვავებაზე ბიოლოგიურ სქესსა და სქესობრივ იდენტურობას შორის.**

სექსუალური განათლების სტანდარტები, რომლებსაც ეყრდნობა პორტუგალიელი ევროპარლამენტის რეზოლუცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის შემუშავებული. ახლა კი მასტურბაციაზე საუბრით სურთ გაანათლონ მცირეწლოვანი ბავშვები — აი, რა უნდა ასწავლონ ბავშვებს მშობლებმა და მასწავლებლებმა და ეს ყველაფერი ხდება ევროპაში (და არა მხოლოდ) განათლების დონის მკვთრი დაცემის ფონზე!

ხვდებით, საით სურთ კაცობრიობის დიდი ნაწილის წაყვანა?

**ბავშვებს თურმე არ უნდა ასწავლოთ ლიტერატურის შედევრების წაკითხვა და კლასიკური მუსიკის მოსმენა. მათ არ უნდა შეისწავლონ ფიზიკა და ასტრონომია, რადგან, ღმერთმა არ ქნას, თავი ზემოთ აწიონ და ოცნება დაიწყონ. ქვევით, მათ მხოლოდ ქვევით უნდა იმზირონ, ყურადღება უნდა გაამახვილონ თავიანთ სხეულზე, თავიანთ ინსტიქტებზე და არ უნდა შეეცადონ სამყაროს შეცნობას, მით უმეტეს — მის შეცვლას უკეთესობისკენ.**

2013 წლის 10 დეკემბერს ევროპარლამენტმა პორტუგალიელი ედიტე ესტრელას რეზოლუცია მიიღო, ოღონდ მასში ასეთი ცვლილება შეიტანა: „სექსუალური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობისა და უფლებების, აგრეთვე, სკოლებში სქესობრივი აღზრდის საკითხების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პოლიტიკა შედის ევროკავშირის წევრი ქვეყნების კომპეტენციაში“, თუმცა ლიტველი (სწორედ ამ ქვეყანას ახვევდნენ თავს ამ ექსპერიმენტს) და ევროკავშირის სხვა ქვეყნებს (აგრეთვე, საქართველოს) მშობლები, შეუძლებელია, მშვიდად იყვნენ.

**ბევრმა ქვეყანამ ხომ ევროსაბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის №201 კონვენციის „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ბოროტმოქმედებისგან ბავშვების დაცვის შესახებ“ რატიფიცირება მოახდინა, რომლის მე-6 პუნქტით ქვეყნებს ევალებათ, ბავშვები სქესისა და სექსის საკითხებში გაანათლონ, ხოლო როგორი შეიძლება იყოს ეს განათლება, ედიტე ესტრელას მიერ შემუშავებული რეზოლუციიდანაც ჩანს.**

განსაცვიფრებელი არის ის, რომ ცდილობენ, ეს ყველაფერი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოაქციონ, წერენ რეზოლუციებს და კენჭს უყრიან ასეთ საჭირო საკითხს — ვაიძულოთ მშობლები, ასწავლონ ბავშვებს მასტურბაცია!

განა ადამიანის სიგიჟეს საზღვარი აქვს?!

**P.S. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში პედოფილიისა და ინცესტის (სისხლის აღრევა, სქესობრივი კავშირი სისხლით ნათესავებს შორის) დაკანონებას ითხოვენ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილს დღეს იმას ვსაყვედურობთ, „პარაშის“ საჭმელად ოქროს კოვზს რომ შეგვპირდა, რატომ არ გვაძლევს, თორემ იმას არავინ ედავება — „პარაშას“ რატომ გვაჭმევო; წინა ხელისუფლება ხის კოვზით გვაჭმევდა, შენგან კი ოქროსას ველოდითო...“**



მამა ელიზბარი:

# მზად ვარ, ქალბატონ მაღრაძეს ნებისმიერ ადგილას შევხვდე და დავაშოშმინო

**რამდენიმე დღის წინ ობამასგან ნატოზე ოცნებაჩაფუშულმა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა სატელევიზიო ეთერი უკვე ევროკავშირთან ინტეგრაციის დაჩქარებაზე საუბრით დაიპყრეს. ისინი ცდილობდნენ, ხალხისთვის აეხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია, ევროინტეგრაციას დროულად თუ მოვახერხებთ. დებატებში ევროპის მოწინააღმდეგეებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც თითქოს უფრო თავდაჯერებულები იყვნენ, ვიდრე პროევროპელები. ასეთ დროს კი საჭირო გახდა, ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარი სიმართლე რაღაცით გაემყარებინათ, გუგული მაღრაძემ შტეფან ფულესთან ილია მეორეს შეხვედრის დეტალები გაიხსენა და თამამად განაცხადა, რომ პატრიარქი საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას მიესალმება.**
**მისი უწმინდესობის ეს სიტყვები ყველამ კარგად მოისმინა, მაგრამ ხალხის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ, ხელისუფლებას როცა ხელს აძლევს, მისთვის „პატრიარქიც ადამიანია და ისიც ცდება“ და, როცა უნდა, მაშინ მისი სიტყვა კანონია.**
**რამდენად სწორია ხელისუფლების მხრიდან ილია მეორეს ხსენება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და რატომ მანიპულირებენ ხალხზე პატრიარქის სახელით? — ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარი (დიაკონიძე) ესაუბრა.**

**— მამაო, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ილია მეორეს სახელს, როგორც უნდათ, ისე იყენებენ: თუ რამე არ მოეწონათ, აცხადებენ, რომ „ისიც ადამიანია და ცდება“, მაგრამ, თუ რამე ისეთი ბრძანა, რაც მათ წისქვილზე წყალს დაასხამს, ამაზე ზარ-ზეიმით ყველა გამოსვლაში ხმამაღლა აცხადებენ.**

— მკითხველს თავდაპირველად აუცილებლად უნდა ვუთხრა, რომ თქვენი გაზეთი ერთ-ერთი მაღალრეიტინგულია; ზოგი თვლის, რომ რეიტინგულია ის პრესა, რომელსაც „ბოტკინი“ დაემართება, არადა, რეიტინგი ინტელექტში უნდა იყოს.

რაც შეეხება, შეკითხვას, ხომ არ ჯობია გუგული მაღრაძის გამონათქვამების იგნორირება? რას წარმოადგენს გუგული მაღრაძის სიტყვები, განსაკუთრებით ზნეობის კუთხით?

**— გუგული მაღრაძე ხელისუფლების წარმომადგენელია.**

— აგაშენათ ღმერთმა. მეც მანდ ვარ. სამწუხაროდ, ის და მისთანები, ბიძინა ივანიშვილის ჩათვლით, ხელისუფლებაში არიან. ამდენად, ასეა თუ ისე, ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში ამინდს ქმნიან და გავლენაც აქვთ საქართველოს მოსახლეობაშიც და საზღვარგარეთაც და მუშტრის თვალით გვიყურებენ.

**ეკლესიის ბრია-ბრუად ხსენება ხეირს არ დაგვაყრის. ჩვენი ხელისუფლება უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების საამებლად ყველაფერს აკეთებს, თანაც, თუ დააკვირდებით, ისინი უცხოელებს თვალებშიც აღარ უყურებენ, ჯიბეს აკვირდებიან, ფაქტობრივად, „კიკუები“ გახდნენ.**

საქმე ისაა, რომ ხელისუფლებას ფული იმისთვის არ უნდა, რომ ქვეყანას მოახმაროს. არა, მათ ფული საკუთარი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ. ამ ხნის მანძილზე ეკლესიისა და მართლმადიდებლობის გასაძლიერებლად არც ერთი კაპიკი არ არის გათვლილი და არც ყოფილა.

დღეს ქვეყანაში სულისშემძვრელი და ამაზრზენი სიტუაციაა. სააკაშვილი მძაგს, როგორც სისტემა, მაგრამ სააკაშვილის გინებას უცხოელს არ ვაპატიებ, იმიტომ, რომ ჩემი ნაგავი მე თავად უნდა შევინახო. იმავეს ვიტყვი გუგული მაღრაძის გამოხდომაზეც. **მზად ვარ ქალბატონ მაღრაძეს ნებისმიერ ადგილას შევხვდე და დავაშოშმინო. დავიღალეთ, ბატონო, იმის ძახილით, რომ ქალია და უნდა დავუთმოთ, ქვეყნის დაქცევას ჩემს საკუთარ შვილსაც ვერ ვაპატიებ.**

ეკლესიაც ბევრს სცოდავს, უსაზიზღრესი სიტუაციაა, ამას სულ ვამბობ, თქვენი გაზეთი პირველი იყო, რომელმაც ამის დაწერა გაბედა. **ჩვენ ეკლესია აღარ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ შენობა, სადაც რიტუალებს ვასრულებთ. მისი უწმინდესობა დაბერდა და ეკლესიაც მისი ამ მდგომარეობით ძალიან სარგებლობს, ჩვენ ხომ უზრდელები ვართ და მოხუცის პატივისცემა არ ვიცით.** გიორგი მერჩულე ამბობს: „მხცოვანებაი არს სიმხნეი სიბრძნისა“, ეს ანდერძია.

**— მამაო, გუგული მაღრაძეს დებატებში რომ იბარებთ, შედავებას ვერ შეძლებთ, რადგან პატრიარქმა მართლა უთხრა ფულეს, რომ ევროპისკენ მიმავალ გზაზე ქართული ეკლესია საქართველოს ხელს არ შეუშლისო.**

— ამ სიტყვებით ილია მეორემ ის თქვა, რომ ქვეყნის წინსვლასა და აღმავლობას ეკლესია ხელს არ შეუშლის. ეს ნიშნავს ჯანსაღ წინსვლას და არა ჭაობში ჩაყოლას, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება გვთავაზობს სექსუალურად გაუკუღმართებული ადამიანების აღლუმების ჩატარებით, მათ პრივილეგირებულ ფენად წარმოჩინებით. ასეთ ქმედებას ეკლესია ყოველთვის შეეწინააღმდეგება, სხვა შემთხვევაში, ის ჩაიძირება. პატრიარქი მართალი იყო, როდესაც შტეფან ფულეს თუ საფულეს ეს სიტყვები უთხრა, ის ქვეყნის აღმავლობას გულისხმობდა.

**ვცოდავთ იმაში, რომ ხელს არ ვუშლით ხელისუფლების პარპაშს, რითაც ხელს ვუწყობთ უზნეობას, რასაც ზურგს უკან ქილიკი ჰქვია. მათ საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ, როდესაც ილია მეორეს საუბარს კონტექსტიდან ამოგლეჯილად სთავაზობენ, ასეთი ქმედებით ხალხი ჯოჯხეთისკენ მიჰყავთ.**

ჩვენი ხელისუფლებისთვის ილია მეორეს ავტორიტეტიც და ნებისმიერი მოკვდავისაც ერთ დონეზე დგას. ისინი საკუთარი ჯიბის გასასქელებლად ყველაფერზე წავლენ.

იქნებ ეკლესიაც დაფიქრდეს იმაზე, რომ ეკლესიასა და იერარქიულად მაღალ თანამდებობაზე მყოფ სასულიერო პირებს ხელისუფლება ასე მოიხსენიებს, რა საფუძველი უდევს ასეთ საუბარს, იქნებ შიგნით არის ამის მიზეზი?

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ეკლესიაში ხელისუფლებას თანამოაზრეები ჰყავს და ისინი ხელს უწყობენ?**

— რა თქმა უნდა, ჰყავს. ეკლესიაში სულ ხუთი ადამიანი მეგულება, რომელთა ლოცვაზეც, მამულისა და უფლის სიყვარულზეც დგას ჩვენი ქვეყანა. ეკლესიაში არსებული ვითარებით ხელისუფლება ძალიან ხეირობს და ყველა ფრაზას, სასულიერო პირთა მიერ წარმოთქმულს, თავის სასარგებლოდ იყენებს. ამის პატიება არ შეიძლება.

აუცილებლად უნდა ვილაპარაკო ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსის — რუსუდან გოცირიძის დაჯილდოებაზე. ეს ფაქტი საშიშიც არის და ირონიის საფუძველსაც იძლევა. ობამას ჰგონია, რომ ჩვენი სულის წარმწყმედის სიგელით დაჯილდოება აღიარებაა?

ქართულ ჯარში მუსლიმანი მინახავს, მაგრამ არ მინახავს ევანგელისტ-ბაპტისტი, იეღოველი, რადგან მათ სარწმუნოება ამას უკრძალავს. სწორედ ეს ფაქტი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ეკლესიად არ ვაღიარო. სად წავა ქვეყანა, მეოთხედამდე მაინც რომ გაიზარდოს იმათი რაოდენობა, ვინც იეღოველივით იაზროვნებს? ჩვენ ჩვენი მიწის დაცვით განთქმული ქვეყანა ვართ და ეს უფალმა გვასწავლა, დაგვავალა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

**მიკვირს, რომ ჩემი ქვეყნის მოსახლეობა ივანიშვილს დღეს საყვედურობს, „პარაშის“ საჭმელად ოქროს კოვზს რომ შეგპირდა, რატომ არ გვაძლევსო, თორემ იმას არავინ ედავება „პარაშას“ რატომ გვაჭმევო. წინა ხელისუფლება ხის კოვზით გვაჭმევდა, შენგან კი ოქროსას ველოდითო... პირის გემო ვერ გამოვიკეთეთ, ვერ გავიგეთ, რა არის უკეთესი; ვერ მივხვდით, რომ უფალთან არის უკეთესი და არა ობამას ჯილდო.**

ქალს უფალმა საუკეთესო ადგილი განუსაზღვრა. ჩვენთანაც მისდევენ ქალები სასულიერო გზას, მაგრამ ისინი მონაზვნებად რჩებიან, მათ სხვისი სულების გადარჩენა არ ევალებათ. როცა ქალი დედა უნდა გახდეს, ეს ყველაზე დიდი მადლია. თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა ვაშლი ჩაკბიჩა ევამ? იქნებ ეს ის შხამი იყო, რომელიც მიშელ ობამას ჯილდოთი განმტკიცდა? ამაზე დავფიქრდეთ. ვაშლი პირდაპირი გაგებით რომ ყოფილიყო ნახსენები, მაშინ ის სამარხო პროდუქტი არ იქნებოდა.

ისევ ჩვენს პრობლემას დავუბრუნდეთ. **ხელისუფლება როცა ამდენს ცოდავს, ქვეყანაში ერთი ტელევიზია მაინც უნდა არსებობდეს, რომელიც სულიერებაზე ისაუბრებდა. ასეთი ტელევიზია კი არ არსებობს. „ერთსულოვნება“ ყველაფერზე საუბრობს, გარდა იმისა, თუ როგორ ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას.**

როცა საშუალება მეძლევა, სულ მინდა, რომ რჩევა მივცე ხალხსაც და ხელისუფლებასაც, მაგრამ რჩევას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ითვალისწინებენ. ვიღაცას კი არა, საკუთარ თავსაც არ ეკითხებიან, ამას რომ ვამბობ, რა მოჰყვებაო; წამოაყრანტალებენ რაღაცას, ისე, როგორც გუგული მაღრაძემ გააკეთა, თითოოროლა ადამიანის ტვინი წაბილწა, პატრიარქიც გარია და მორჩა. საპატრიარქოსაც ევალება საკუთარ სიტყვებს კონტროლი გაუწიოს, რადგან ულვთო ხელმძღვანელობა, რომელიც მამა გაბრიელის საფლავზე საშვებით დადის, ამას სათავისოდ ძალიან კარგად იყენებს. დარწმუნებული ვარ, საშვებით მისულ ადამიანთაგან ბევრი ეკლესიასაც დასცინოდა და იმ წმინდანსაც, რომლის გამოც იქ მივიდნენ. ვიცი, ბევრს უთქვამს მამა გაბრიელზე ერთი ლოთბაზარა კაცი იყოო. რადგან ამ თემას შევეხე, მინდა გითხრათ, რომ **ეკლესიაში დღეს ერთ-ერთ მაღალ იერარქიაზე მყოფმა მღვდელმა სიონის ტაძარში ხმამაღლა მლოცველ მამა გაბრიელს ქეჩოში ჩაავლო ხელი და მუხლებზე დაჩოქილი ეკლესიიდან გამოათრია, პატრიარქს ლოცვაში ხელს უშლიო, ამით პატრიარქს „აამა“. დარწმუნებული ვარ, დღეს ამ ადამიანმა მამა გაბრიელის წმინდანად შერაცხვას ხელიც მოაწერა.**

ხელისუფლებას ვთხოვ, ნუ იზამენ უფლის საწინააღმდეგო საქმეს. ხალხს ნუ გააბრაზებენ, ნუ გაიხდიან საქმეს ისე, რომ საკუთარი ხელით ჩამოყვანილ თეთრ ზვიგენთან წყალში ჩახტომა მოუწიოთ ხალხის რისხვისგან გასაქცევად. ნუ იფიქრებენ, რომ ხალხი გასულელდა, ვიღაც აუცილებლად გამოჩნდება. ეს ხელისუფალთ ეხება, მაგრამ ხალხსაც მინდა ვუთხრა: დავფიქრდეთ, ვინ ავირჩიეთ და რა შეგვრჩა ხელში.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



**«ჩვენ ეკლესია აღარ გვაქვს, გვაქვს მხოლოდ შენობა, რომელშიც რიტუალებს ვასრულებთ. მისი უწმინდესობა დაბერდა და ეკლესიაც მისი ამ მდგომარეობით ძალიან სარგებლობს, ჩვენ ხომ უზრდელები ვართ და მოხუცის პატივისცემა არ ვიცით»**

**«საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ, როდესაც ილია მეორეს საუბარს კონტექსტიდან ამოგლეჯილად სთავაზობენ, ასეთი ქმედებით ხალხი ჯოჯხეთისკენ მიჰყავთ»**

**აშშ-ის პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, აღიარა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების არსებობა და მათი გათვალისწინების აუცილებლობა, რომელზეც ვაშინგტონი წლების განმავლობაში უარს ამბობდა.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები «ფინურ ვარიანტს» გვთავაზობენ?

**„ნებისმიერი პოლიტიკის საფუძველი რეალური ფაქტების გაცნობიერებაა“, — ეს ფრაზა, რომელიც ამოტვიფრულია ფინეთის პრეზიდენტის (1946-1956) იუხო პაასიკივის ძეგლის კვარცხლბეკზე დღევანდელი საქართველოსთვის, ალბათ, საკმაოდ აქტუალურია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გასულ კვირას, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ „არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად ნატოში გაწევრიანების გზაზე არ დგანან. არ ყოფილა და არ არის ნატოს დაუყოვნებელი გაფართოების გეგმა“ და ამით, უნებლიეთ, პროდასავლურ ძალებს საქართველოში მათი არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენა.**

შოკი მოკლე და, შესაძლოა, ყველაზე ზუსტი დახასიათებაა იმ რეაქციისა, რომელიც საქართველოში ობამას განცხადებამ გამოიწვია. **ქართველი პოლიტიკოსები წლების განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, რომ ხსენებულ „გზაზე“ გასავლელი სულ რამდენიმე ნაბიჯი დაგვრჩა და ნატოს „ღია კარში“ შევაღწევთ.** „ცოტაც, სულ ცოტაც მოვითმინოთ“, — გვეუბნებოდნენ ისინი 2008 წლის კატასტროფამდე და მის შემდეგაც, ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვის კვალობაზე და საერთოდ, ყველა იმ უბედურების კომენტირებისას, რომლებიც საქართველოში ხდებოდა. ახლა კი ნატოს №1 წევრი სახელმწიფოს ლიდერი გამოდის და ამბობს, რომ საქართველო ამ გზაზე საერთოდ არ დგას. **დღეს ნებისმიერმა მსურველმა მიიღო შესაძლებლობა, თავში ურტყას ქართულ პოლიტიკურ ელიტას ობამას ციტატა სევდიანი შეძახილით: „ხომ გეუბნებოდით!“, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის; უფრო სასარგებლო სიმშვიდის შენარჩუნება და ახალი რეალისტური პოლიტიკის ფორმირება ჩანს.**

გამოჩენილმა ამერიკელმა ექსპერტმა **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** ყირიმის კრიზისის ფონზე უკრაინას შესთავაზა XXI საუკუნის ფინეთად გადაიქცეს და **„შეინარჩუნოს ეკონომიკური ურთიერთობების ფართო სპექტრი რუსეთთან და ევროკავშირთან, მაგრამ ამავე დროს არ გაწევრიანდეს არც ერთ სამხედრო ალიანსში, რომელსაც მოსკოვი საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულად ჩათვლის“.** მალევე ობამამ ეს იდეა დიპლომატიურად მოქნილი ფომულირების ჩარჩოში მოაქცია: **„ვიცი, რუსეთმა მიანიშნა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არიან შეშფოთებულები უკრაინის გამო, არის უკრაინის ნატოში შესაძლო გაწევრიანება. მეორე მხრივ, ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც უკრაინას ოფიციალურად არ მოუმართავს ნატოს წევრობისთვის, არის მისი რთული ურთიერთობა რუსეთთან და არ მგონია, რომ ეს უახლოეს მომავალში შეიცვლება“.** ამით **აშშ-ის პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, აღიარა პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების არსებობა და მათი გათვალისწინების აუცილებლობა, რომელზეც ვაშინგტონი წლების განმავლობაში უარს ამბობდა.** როგორც ჩანს, უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ სათანადოდ ალიქვა სიგნალები ვაშინგტონიდან, ისევე, როგორც ამ დროისთვის შექმნილი სიტუაციის სიმძიმე: **„უკრაინის ერთიანობის შენარჩუნებისთვის, ნატოში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა.

ბჟეზინსკის განცხადების შემდეგ „საქართველო და მსოფლიომ“ ივარაუდა: **„თუ დასავლეთის ლიდერები ამ მოსაზრებებს გაიზიარებენ, გამორიცხული არაა, რომ იდეა უკრაინის ნეიტრალიტეტის თაობაზე პროეცირებული იქნება საქართველოზეც“** და რამდენიმე დღეში ბარაკ ობამამ მართლაც ახსენა საქართველო იქ, სადაც მისი ხსენება, ერთი შეხედვით, საჭირო არ იყო და თქვა, რომ ის ნატოში გაწევრიანების გზაზე არ დგას, ხოლო ნატოს დაუყონებლივი გაფართოების გეგმა არ არსებობს. რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის პრეზიდენტი დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ, ყველაფრის მიუხედავად, უკრაინა და საქართველო მალე ნატოს წევრები გახდებიან და ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებს გადადგამდა? დიდი ალბათობით, ეს გახდებოდა დამატებითი სტიმული კრემლისთვის, რათა უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე (და შემდგომ საქართველოში) ემოქმედა ისევე ხისტად, როგორც ყირიმში. **უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ვლადიმერ პუტინისთვის „წითელ ხაზს“ მიღმა მდებარეობს და ამას რუსეთისთვის სასიკვდილო საფრთხედ განიხილავს.**

ბარაკ ობამა და მითუმეტეს ზბიგნევ ბჟეზინსკი პუტინის რუსეთის გულშემატკივრების რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, შექმნილ სიტუაციაში ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ განრისხებული დათვის დამშვიდებას ალტერნატივა არ აქვს. **აშშ-ის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთის წინააღმდეგ** (მეტწილად სიმბოლური) **სანქციების შემოღება-არშემოღება, რადგან ის სტრატეგიულ პერსპექტივას ეხება და დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ვაშინგტონს არ სურს, რომ რუსეთს ჩინეთთან მჭიდრო ალიანსის შექმნისკენ უბიძგოს და ეს, სავარაუდოდ, მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ამა თუ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნის სტატუსი მომავალ ათწლეულებში.**

ჩვენ ვნახეთ, როგორ ალიქვა შექმნილი სიტუაცია უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ, მაგრამ, ვიდრე ოფიციალური თბილისის რეაქციაზე გადავალთ, ალბათ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ, უკრაინისგან განსხვავებით, სადაც ნატოში გაწევრიანების თემა ყოველთვის ექვემდებარებოდა ასე თუ ისე მშვიდ განხილვას, საქართველოში ის ნამდვილი კვაზირელიგიური მოძღვრების ქვაკუთხედად იქცა და ბევრ ქართველ პოლიტიკოსს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, რაზე უნდა ილაპარაკოს და რა უნდა გააკეთოს ნატოში გაწევრიანების თემაზე დემაგოგიის გარეშე. ზოგიერთ მათგანს, კლასიკური შიზოფრენიისთვის დამახასიათებელი აღტკინებით, ურჩევნია, რეალობა უარყოს, ვიდრე ბარაკ ობამას განცხადება ცივი გონებით გაანალიზოს.

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ საქართველო და უკრაინა არ არიან ნატოსკენ მიმავალ გზაზე** (ინტერპრესნიუსი). იმისთვის, რომ ამ რეპლიკის ადეკვატურობა შევაფასოთ, საკვანძო ციტატა, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა მოვიყვანოთ. **ბარაკ ობამა: „არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად ნატო-ში გაწევრიანების გზაზე არ დგანან“.** ეს, ალბათ, კარგი საბაბია იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავსვათ მარტივი კითხვა: **რა უნდა მაია ფანჯიკიძეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე?** თავი დავანებოთ მუდმივ ბრალდებებს მის აშკარა არაპროფესიონალიზმთან დაკავშირებით, საქმე ისაა, რომ **შავის თეთრად, ხოლო თქმულის ართქმულად წარმოჩენა ასეთ სტილში, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა ამომრჩევლების ცინიკური შეურაცხყოფა.**

ამ ფონზე პრემიერმინისტრის კომენტარი გაცილებით კეთილგონივრულად გამოიყურება: **„ჩვენ არ უნდა ვიყოთ ილუზიებში. ყოველთვის რეალურად უნდა შევაფასოთ არსებული სიტუაცია და მოცემულება. ის, რაც პრეზიდენტმა ობამამ თქვა, არის აბსოლუტურად ადეკვატური და ეს არის რეალობა, რომ ამ ეტაპზე არ იგეგმება ნატოს გაფართოება. ჩვენი ამოცანა და მიზანია, მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ, მცდარი მოლოდინები არ გავუჩინოთ, როგორც ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. მაშინ ხდებოდა მოლოდინის აწევა ხელოვნურად და შემდეგ იყო იმედგაცრუება. ჩვენ საპირისპიროს ვთავაზობთ მოსახლეობას და ჩვენ გვსურს მათ რეალობა შევთავაზოთ“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საერთოდ, ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების კომენტარებში, პირდაპირ ან ქვეტექსტში, ხშირად ფიქსირდება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ობამას განცხადება და მასზე დაფუძნებული სავარაუდო გადაწყვეტილებები დროებითია, ეხება მხოლოდ ნატოს წლევანდელ სამიტს ან მოკლევადიან პერსპექტივას, თუმცა **არავის უთქვამს, წლებზე ვსაუბრობთ თუ ათწლეულებზე, ან ვინ და როგორ დაიცავს საქართველოს, თუ მის რომელიმე** (ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ) **რეგიონში დაიწყება იგივე პროცესები, როგორიც ყირიმში, ან რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრიანების გარანტირებული დაბლოკვისთვის სხვა რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამს.**



**ნეიტრალიტეტის ამერიკული გარანტია შესაძლებელს ხდის კონსენსუსს რუსეთთან, რომელმაც არაერთგზის მიანიშნა, რომ ამ ვარიანტს დათანხმდება, თუ დარწმუნდება, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები არ გახდებიან**

**რა გვინდა საერთოდ: ნატოში გაწევრიანება თუ უსაფრთხოების რეალური გარანტიების მიღება? ეს არ არის ერთი და იგივე, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალების“ პროპაგანდის გადამკიდე, საზოგადოების ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს.** ზოგადად, ნატო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უსერიოზულესი მექანიზმია, მაგრამ, ვინაიდან მისი „ძველევროპელი“ წევრები (უპირველესად, გერმანია) და ახლა, ობამას განცხადების შემდეგ, უკვე აშშ, ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივას ძალზე სკეპტიკურად უყურებენ, **საქართველო იძულებული ხდება საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყოს, რათა მეზობლები არ მოეპყრონ ისე, როგორც ნადავლს.** კიდევ რამდენ რეგიონზე უნდა დავკარგოთ კონტროლი და რამდენი სამხედრო თუ მშვიდობიანი მოქალაქე უნდა დაიღუპოს იმისთვის, რომ ამ პრობლემის აქტუალურობა გავაცნობიეროთ? თუ დისკუსიას ამ თემაზე დაუყოვნებლივ არ დავიწყებთ, ცხოვრება ამის გაკეთებას მალე გვაიძულებს.

ფინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული და სტაბილური სახელმწიფოა. „ცივი ომის“ პერიოდში ის, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის პრივილეგირებულ ეკონომიკურ პარტნიორად იქცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ, შემდგომ კი რუსეთი არაფერს ერჩოდა ამ ქვეყნის ცივილიზაციურ არჩევანს დასავლეთის სასარგებლოდ, არც მის კაპიტალისტურ წყობას, ის დაკმაყოფილდა იმით, რომ ფინეთმა მოსკოვის წინააღმდეგ მიმართული ალიანსების (კერძოდ კი ნატოს) წევრობაზე უარი თქვა. ზოგიერთი ქართველი კომენტატორი მიიჩნევს, რომ „ფინური ვარიანტის“ გამეორებისთვის საკმარისი არაა ნეიტრალიტეტის დეკლარირება და საჭიროა მთელი რიგი წინაპირობების თანხვედრა, გლობალური ძალების კონსენსუსთან ერთად. მაგრამ, შესაძლოა, ახლა სწორედ ასეთი მომენტია; **ობამა** (და ოდნავ ადრე ბჟეზინსკი) **კიევს, ფაქტობრივად, ჰელსინკის გზით წასვლას სთავაზობს და ამავე განცხადებაში** (ერთი შეხედვით, უადგილოდ) **საქართველოს ახსენებს.** პრინციპში, სხვა რა უნდა ქნას სიტუაციაში, როდესაც აშშ-ს, უბრალოდ, არ ძალუძს ან არ სურს, შესთავაზოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უსაფრთხოების იგივე გარანტიები, როგორც ნატოს წევრებს, რაც ცხინვალის რეგიონშიც და ყირიმშიც დადასტურდა. **ნეიტრალიტეტის ამერიკული გარანტია** (რომელსაც, სავარაუდოდ, შეუერთდება ევროპა) **შესაძლებელს ხდის კონსენსუსს რუსეთთან, რომელმაც არაერთგზის მიანიშნა, რომ ამ ვარიანტს დათანხმდება, თუ დარწმუნდება, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები არ გახდებიან.** მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი ქვეყანა დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ფინეთი ომის შემდეგ, რადგან მათ არავინ აიძულებს, აღიარონ ტერიტორიული ცვლილებები და, ამ თვალსაზრისით, არსებობს სივრცე შუალედური სამშვიდობო გადაწყვეტილებებისთვის.

გახდებიან თუ არა მარგველაშვილი და ღარიბაშვილი ქართველი პაასიკივი და კეკონენი? საუბარი ამაზე დღევანდელი „ნატო-ისტერიის“ ფონზე ჯერჯერობით ნაადრევი ჩანს, მაგრამ **სტრატეგიული მანევრის შესაძლებლობა, როგორც ჩანს, ნამდვილად გაჩნდა.** ასე რომ, ურიგო არ იქნება, ემოციები გვერდზე გადავდოთ, კიდევ ერთხელ ყურადღებით გადავიკითხოთ ბარაკ ობამას განცხადება და გავიხსენოთ იუხო პაასიკივის საყვარელი ფრაზა **„ნებისმიერი პოლიტიკის საფუძველი რეალური ფაქტების გაცნობიერება“.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში ირაკლი ღარიბაშვილის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები შევა და ის დაახლოებით ისეთ სახეს მიიღებს, როგორც ლატვიის კონსტიტუციის 110-ე მუხლი, ის, სავარაუდოდ, ზუსტად ისევე გადაიქცევა „საკანონმდებლო ტრამპლინად“, როგორც ეს ლატვიაში მოხდა და მასზე დაყრდნობით კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ჯგუფების მიერ მალევე შეიქმნება კანონპროექტი „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“**

# ირაკლი ღარიბაშვილი ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ

**პრემიერმინისტრი გამოვიდა ინიციატივით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს ქორწინებას, როგორც ქალის და მამაკაცის კავშირს. რა იყო ეს — ერთჯერადი „წინასაარჩევნო პიარი“, მომავალი კრიზისის პრევენციის მცდელობა, რომლის შესაძლებლობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, თუ ელექტორატის კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ნაწილისთვის ალიანსის შემოთავაზება? ექსპრომტს ადგილი აშკარად არ ჰქონია, რადგან, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ინიციატივა წინასწარ განიხილა და მოიწონა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ. რა მოტივები დგას პრემიერმინისტრის განცხადების უკან და რა გაგრძელება ექნება ამ ისტორიას?**





**ევროკავშირის ჩინოვნიკების გაბრაზების შიშით, პარლამენტარების ნაწილი შეეცდება, ეს ინიციატივა დაბლოკოს, რასაც ასევე შეიძლება საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვეს**

## ქალისა და მამაკაცის კავშირი

მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილის განცხადება წინასწარ იყო მომზადებული, მან მაინც დაუშვა ტერმინოლოგიური შეცდომა, რის გამოც საჭირო გახდა დამატებითი განმარტებების გაკეთება. კერძოდ, მან ისაუბრა „ოჯახზე“ იქ, სადაც გაცილებით კორექტული „ქორწინების“ ხსენება იქნებოდა. პირვანდელი სახით, პრემიერ-მინისტრის განცხადება ასე ჟღერდა: **„გამოვდივარ ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შევიტანოთ ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ასე მოიქცა ლატვია, შარშან კი — ხორვატია, ევროკავშირში შესვლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდებლობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერპრეტირება, ვფიქრობ, სასურველია ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის არსებობა. ეს კანონი არ ქმნის არავისთვის რაიმე ტიპის ახალ უფლებას; ის საზოგადოების არც ერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს. კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ იმას, რომ ყველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რომელიც უკვე გვაქვს უზრუნველყოფილი საქართველოს კანონმდებლობით“** (ინტერპრესნიუსი).

„ოჯახის“ უადგილო ხსენებამ შექმნა საბაბი ხელისუფლების ოპონენტების მრავალფეროვანი სპეკულაციებისთვის და რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა: **„რა თქმა უნდა, პრემიერი ქორწინებას გულისხმობდა. ძალიან სასაცილო და არასერიოზულია, როდესაც ასე სიტყვაზე გამოეკიდები“.** ხიდაშელი საკმაოდ მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა — ერთი მხრივ, მან ხელისუფლების პოზიცია დაიცვა, ხოლო მეორე მხრივ, ქვეტექსტში ღარიბაშვილის კომპეტენტურობის ფარდობითობაზე მიუთითა და ეს, დიდი ალბათობით, სიამოვნებით გააკეთა.

ზოგს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: **რა საჭიროა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსში უკვე არის 1106-ე მუხლი, რომლის თანახმად, „ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია“ და ის ერთსქესიანთა ქორწინებას გამორიცხავს.** თუმცა საქმე ისე მარტივად არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ კონტექსტი — **ღარიბაშვილმა განცხადება მთავრობის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცების პარალელურად გააკეთა. ამ კანონს, რომელმაც დისკრიმინაციის ყველა წარმოსადგენი ფორმის აღმოფხვრა უნდა უზრუნველყოს, საქართველო ევროკავშირის მოთხოვნით იღებს.**

დღეს ძნელი წარმოსადგენია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში გამოჩნდება ერთსქესიანთა წყვილი, რომელიც ურთიერთობის დაკანონებას მოითხოვს, მაგრამ წამით დავუშვათ, რომ ასეთი წყვილი გამოჩნდა, მას, სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის საფუძველზე, ქორწინების რეგისტრაციაზე უარი უთხრეს, ხოლო მან დასახული მიზნის მიღწევისთვის ბრძოლა გააგრძელა. ყოველივე ეს, სავარაუდოდ, დასრულდება განხილვით საკონსტიტუციო სასამართლოში; **თემიდას სასწორზე დაიდება, ერთი მხრივ, კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომლის თანახმად „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენია, სქესისა...“ პლუს ახალმიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ამ საკონსტიტუციო ნორმის** (ასე ვთქვათ) **შემდგომ განვრცობას და დეტალიზაციას ახდენს; ხოლო მეორე მხრივ, — მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.** ზოგისთვის შეიძლება უცნაურად გაიჟღეროს, მაგრამ **„სუფთა იურიდიული თვალსაზრისით“ ასეთ სიტუაციაში 1106-ე მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობის ალბათობა საკმაოდ მაღალი იქნება.**

რა თქმა უნდა, ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ თავი დაიმშვიდონ იმით, რომ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის თანახმად, **„საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრს და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე, მისი შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის აზრს“,** მაგრამ ამან სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობას შეიძლება ხელი ვერ შეუშალოს. ამ გადაწყვეტილებას პრაქტიკულად გარანტირებულად მოჰყვება მწვავე საპროტესტო გამოსვლები, ურთიერთობის მკვეთრი დაძაბვა ხელისუფლებასა და ამომრჩევლების დიდ ნაწილს და (არც ესაა გამორცხული) ხელისუფლებასა და ევროპელ უფლებადამცველებს თუ ჩინოვნიკებს შორის. საბოლოოდ კი, **კიდევ რამდენიმე დამატებითი ფაქტორის ამოქმედების შემთხვევაში, საქართველომ შეიძლება მიიღოს კრიზისი, რომელიც მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე საკმაოდ სერიოზულ გავლენას მოახდენს.**

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი, ღარიბაშვილის ინიციატივის საფუძველზე, კონსტიტუციაში ცვლილებებს შეიტანს (სავარაუდოდ, 36-ე მუხლში) სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის გაუქმების საფრთხე მკვეთრად შემცირდება, მეტიც, ხელშესახებ პერსპექტივაში ის პრაქტიკულად ნეიტრალიზებული იქნება. **ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ევროკავშირის ჩინოვნიკების გაბრაზების შიშით** (რამდენად საფუძვლიანია ის, სხვა საკითხია), **პარლამენტარების ნაწილი შეეცდება, ეს ინიციატივა დაბლოკოს** (თანაც პირველ ეტაპზე ჩუმად, პროცედურული წინაღობების შექმნით, პოზიციის ღიად დაფიქსირების გარეშე), **რასაც ასევე შეიძლება საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვეს, თუმცა დაპირისპირება ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, არ იქნება ისეთი მწვავე, როგორიც 1106-ე მუხლის გაუქმების ჰიპოთეტურ სიტუაციაში, ხოლო მთავრობა** (თუ მოინდომებს) **მიზანს მაინც მიაღწევს.** მოგვარდება თუ არა პრობლემა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით? ერთი შეხედვით კი, მაგრამ ამავე დროს ამან შეიძლება „პანდორას ყუთიც“ გახსნას, რაზეც ქვემოთ, ლატვიის მაგალითზე დაყრდნობით ვისაუბრებთ, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა თავის განცხადებაში ახსენა.

## ერთხელ ლატვიაში

**ლატვიის კონსტიტუციის 110-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო იცავს და მხარს უჭერს ქორწინებას — კავშირს მამაკაცსა და ქალს შორის, ოჯახს, მშობლების და ბავშვების უფლებებს“.** ბოლო დრომდე ამ ჩანაწერს ძალიან იშვიათად ახსენებდნენ და ის არც ევროჩინოვნიკების განსაკუთრებული დაინტერესების საგანი გამხდარა. ლატვიელი კომენტატორები მას თეორიული მსჯელობის დროს თუ გაიხსენებდნენ, როდესაც ერთსქესიანთა ქორწინების დაშვების შესაძლებლობაზე საუბრობდნენ, რომლის ლეგალიზება ლატვიაში პრობლემა №1 დღესდღეობით ნამდვილად არ არის. მაგრამ სულ ახლახან ეს მუხლი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ტრადიციული ფასეულობების დამცველებმა გამოიყენეს ის, როგორც ერთგვარი ტრამპლინი, რათა სასურველი მიზნისთვის მიეღწიათ.

გასული წლის დეკემბერში ლატვიურმა ორგანიზაციამ „დავიცვათ ჩვენი შვილები“ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისთვის ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ცვლილების ტექსტი მან შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: **„ბავშვთა საგანმანათლებლო და ბავშვთა მოვლის დაწესებულებებში სქესობრივი აღზრდა უნდა ეფუძნებოდეს ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 110-ე მუხლს. ბავშვთა საგანმანათლებლო და ბავშვთა მოვლის დაწესებულებებში აკრძალულია ერთი სქესის პირებს შორის სექსუალური და ქორწინებითი ურთიერთობების რეკლამა და პოპულარიზაცია“.** პლუს ამას — **„აკრძალულია ბავშვების ჩართვა, როგორც მონაწილეების, ისე მაყურებლების სახით, ისეთ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია ერთი სქესის პირებს შორის სექსუალური და ქორწინებითი ურთიერთობების რეკლამა და პოპულარიზაცია“.** ბოლო თვეებში ორგანიზაციის მოთხოვნას ხელი საკმაოდ ბევრმა მოქალაქემ მოაწერა, რომელთა შორის არიან ლატვიური საზოგადოებისთვის ავტორიტეტული რელიგიური ლიდერებიც, მაგალითად, კარდინალი იანის პუიატსი და რაბინი მენახემ ბარკანი. თუ ერთი წლის განმავლობაში 30 ათასი ხელმოწერა შეგროვდება (რაც, სავარაუდოდ, უპრობლემოდ მოხერხდება), კანონმდებლები იძულებულნი გახდებიან, ეს ცვლილებები განიხილონ, მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის იუსტიციისა და კეთილდღეობის სამინისტროებმა, აგრეთვე, ომბუდსმენის ოფისმა, ხელმოწერების შეგროვებასთან დაკავშირებით ნეგატიური დასკვნები მოამზადეს და, საკანონმდებლო ცვლილებების ერთ-ერთი ინიციატორის — ვლადიმერ ლინდერმანის თქმით, განაცხადეს, რომ შემოთავაზებული ცვლილებების ევროპულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება (დელფი).

ჯერჯერობით უცნობია, რით დასრულდება ეს ისტორია; იმის ალბათობა, რომ ლატვიელი დეპუტატები საბოლოოდ შესაბამის კანონპროექტს დაბლოკავენ, საკმაოდ დიდია, მაგრამ აქ მთავარია სულ სხვა რამ. **თუ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში ირაკლი ღარიბაშვილის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები შევა და ის დაახლოებით ისეთ სახეს მიიღებს, როგორც ლატვიის კონსტიტუციის 110-ე მუხლი, ის, სავარაუდოდ, ზუსტად ისევე გადაიქცევა „საკანონმდებლო ტრამპლინად“ როგორც ეს ლატვიაში მოხდა და მასზე დაყრდნობით კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ჯგუფების მიერ მალევე შეიქმნება კანონპროექტი „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“** (ან რაიმე მსგავსი). ამ შემთხვევაში, ევროკავშირის წარმომადგენლების პოზიცია, სავარაუდოდ, გაცილებით ხისტი გახდება, ვიდრე კონსტიტუციის 36-ე მუხლის რედაქტირების შემთხვევაში და კრიზისი, დიდი ალბათობით, მაინც არ აგვცდება. ასე რომ, **პრემიერმინისტრის წინადადება ყველა შესაძლო გართულების პრევენციას როდი ახდენს, უბრალოდ, ხდება მათი გადავადება და არცთუ შორეულ მომავალში სხვა** (მომიჯნავე) **პრობლემებთან დაკავშირება.**

## დაუშვებელი და აკრძალული

ერთი შეხედვით, ერთსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგეებს თავი ქუდში აქვთ, მათ მძიმე ბრძოლის გარეშე მიიღეს პრემიერმინისტრისგან ის, რაც სურდათ, თუმცა აქ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა მივაქციოთ ყურადღება ღარიბაშვილის განცხადების და მთავრობის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის დამტკიცების სინქრონულობას. ამ კონტექსტში, ღარიბაშვილის ინიციატივა ზოგს შეიძლება მცირე დათმო- ▶

**ეგებ იმის დრო მოვიდა, გავჩერდეთ, ამოვისუნთქოთ და კარგად დავფიქრდეთ, რა გვინდა? ნატოში ჩვენი გაწევრება ამერიკას სასაცილოდ რომ არ ჰყოფნის, კი დაადასტურა ობამამ, ევროკავშირში ჩვენნაირ დამეულ ქვეყანას რომ არავინ მიიღებს, ესეც ცნობილია და იქნებ შევეშვათ ოქროს თევზის კეთებას და იდეა-ფიქსებს! იქნებ ის გზა ავირჩიოთ, დღეს და ახლა რომ წაადგება ქვეყანას, თორემ აურელიანო ბუენდიასი არ იყოს, შარდვის დროს პაპაჩვენის დარგულ კაკალთან ამოგვხდება სული და დამტირებელიც არავინ იქნება.**

მაპზე უკეთესი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბად, ერთგვარ სატყუარად მოეჩვენოს.

**ცხადია, დისკრიმინაცია ამაზრზენი და აბსოლუტურად შეუწყნარებელი რამ არის, მაგრამ განხილულ კანონპროექტში არის რამდენიმე ფორმულირება, რომელმაც მომავალში შეიძლება იურიდიული „ნაღმის" როლი შეასრულოს.** ავიღოთ ერთი პასაჟი: **„დაუშვებელია დისკრიმინაციის გამართლება როგორც კულტურულ, ტრადიციულ და რელიგიურ ფასეულობებზე, ასევე „დომინანტურ კულტურაზე" აპელირებით"** (ციტატა უსინათლოთა კავშირის საიტზე გამოქვეყნებული კანონპროექტიდან; საბოლოო ვერსია შეიძლება განსხვავებული იყოს). აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **ხომ არ მოხდება დროთა განმავლობაში ამ „დაუშვებელის" ტრანსფორმაცია „აკრძალულად" სხვა კანონებში შესაბამისი სანქციების დაფიქსირებით?** კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ სიტუაციას — **ერთსქესიანთა წყვილს, რომელმაც ქორწინების რეგისტრაცია მოისურვა და ჰიპოთეტურ განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოში, სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. მას, ბუნებრივია, მოჰყვება ხმაურიანი პოლემიკა, რომლის დროს ლგბტ-აქტივისტები ისაუბრებენ თანასწორობის ევროპულ იდეალებზე, ხოლო მათი ოპონენტები — ქართულ ტრადიციებზე. თუ სასამართლო 1106-ე მუხლს ანტიკონსტიტუციურად და დისკრიმინაციულად ცნობს** (და ამის გამორიცხვა არ შეიძლება), **ერთ-ერთი მხარის** (ტრადიციონალისტების) **რიტორიკა, იურიდიული თვალსაზრისით, მყისიერად გადაიქცევა „დაუშვებლად", თუ არა „დანაშაულებრივად"** (თუ ანტიდისკრიმინაციული კანონის ამ ნაწილის მიღებას სხვა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მოჰყვება). ეს კი დღის წესრიგში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემას დააყენებს. ასეთ სიტუაციაში ფრაზა (მაგალითად) „ერთსქესიანთა ქორწინება არ უნდა დაკანონდეს, რადგან ქართველ მართლმადიდებელთა ტრადიციებს ეწინააღმდეგება" გახდება „დაუშვებელი" ან სულაც კრიმინალური; მსგავსი რამ ახლო წარსულში ევროპის არაერთ ქვეყანაში მოხდა. **ნებისმიერ შემთხვევაში, კანონში იმის ჩაწერა, რომ „დაუშვებელია... აპელირება" ადრე თუ გვიან აუცილებლად მიგვიყვანს კრიზისამდე, რომელიც არა იმდენად დისკრიმინაციის, რამდენადაც სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობის გამო შეიქმნება.**

ქართველმა კონსერვატორ-ტრადიციონალისტებმა, ალბათ, მადლობა უნდა უთხრან ირაკლი ღარიბაშვილს ინიციატივისთვის და გააკონტროლონ მისი საკონსტიტუციო ნორმად გადაქცევის პროცესი. მაგრამ მათთვის ასევე და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი პარლამენტში შეტანილი ახალი კანონპროექტის ზოგიერთი ფორმულირების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, პროტესტის დაფიქსირება ჩანს.

**დიმიტრი მონიავა**

# აურელიანოს ოქროს თევზი

**გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი", ყველას თუ არა, ბევრს უნდა ჰქონდეს წაკითხული. ბევრში ორჰან ფამუქი არ იგულისხმება, როგორც გაირკვა, ეგ კაცი მარტო თავის დაწერილს კითხულობს და სხვა ერების კულტურა არ აინტერესებს. მოკლედ, არანობელიანტი მკითხველის იმედი მაქვს, რომ მარკესის შედევრი წაკითხული ექნება. „მარტოობის ასი წელიწადის" მთავარი გმირი აურელიანო ბუენდია გახლავთ, პოლკოვნიკი, რომელიც მთელი ცხოვრება იბრძვის, მთელი შეგნებული ცხოვრება და ამ შეგნებულ ცხოვრებას მას შემდეგ იწყებს, რაც სრულწლოვანი ხდება, სახლიდან მიდის და...**



**აურელიანოსი არ იყოს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძიებაში აჯანყებებს ვაწყობდით, პარალელურად, ოქროს თევზებს ვაკეთებდით და, როცა ლამაზი გამოდიოდა, სხვას ისე ვუძღვნიდით, არ გვენანებოდა...**

რა მოხდებოდა, მარკესს „მარტოობის ას წელიწადში" აურელიანოს ნაცვლად საქართველო რომ ეგულისხმა?! ჩვენც ხომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დავიწყეთ შეგნებული ცხოვრება და იმ ოქროს თევზების ძიება, პოლკოვნიკი აურელიანო თვითონ რომ აკეთებდა და ვიღაცებს ჩუქნიდა. ახლა არ მითხრათ, ჩვენ ოქროს თევზი არ გვქონია და არც არავისთვის გვიჩუქებიაო, მაგრამ, **ვისაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ოქროს თევზზე ნაკლები ჰგონია, ფამუქის „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები" წაიკითხოს.**

რაღაც ეს ფამუქი ცუდად ამეკვიატა, თურქეთის იმპერიასავით არ მაცდის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის წერას...

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბევრი სისულელე ჩავიდინეთ. სიმართლე გითხრათ, მოყოლა 1921 წლიდან მინდა, მაგრამ ამ ფამუქს ვერ ვიშორებ (რა ჯიუტი ყოფილა, არადა, მარკესზე ვწერ, გაბრიელ გარსიაც ნობელიანტია) და **იძულებული ვარ, ძალიან თუ არა, გვარიანად გადავწიო ისტორიის ბორბალი და ვახსენო, როგორ დადიოდა კარდაკარ სულხან-საბა ორბელიანი, როგორ სთხოვდა ევროპას, დაგვეხმარეთო, როგორ შევიდა ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან მეთხუთმეტე კაცად და როგორ დაბრუნდა სამშობლოში ხელცარიელი.** მაშინ არც ნატო იყო და არც ევროკავშირი, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენთან ოქროს ხანამ გაიარა (მაგ ოქროს ხანაში ტრაბზონში ქართველები იყვნენ, ორჰან! და შენი წინაპარი ქართველი იმპერატორის, ალექსი კომნენის თუქსუსი თუ ტუტუცი იყო, ნობელიანტი ტუტუცი, ორჰან!), ევროპა ზემოდან გვიყურებდა და მხცოვანი სულხან-საბას თეთრ წვერს პატივი არავინ სცა. მერე იყო, რუსეთის კარს რომ მივადექით და იმ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა სარწმუნოებამ ითამაშა. **ურჯულოებს გეძახდით მაშინ, ფამუქ, და ამას წინათ რომ თქვი, ჩემი დიდი ბებია წარმოშობით ქართველი იყოო, ის თუ გიფიქრია, ბებიაშენს თურქეთში რა უნდოდა და საიდან მოხვდა?! ორი ვარიანტია — ან შენმა წინაპრებმა ტყვედ გაიგდეს ბებიაშენი სხვა ქართველებთან ერთად, ან შენი წიგნის გმირივით ბოზი იყო და ფულის საშოვნელად ჩავიდა თურქეთში...** რუსეთმა კი კალთის ნაცვლად ჩექმა გადაგვაფარა და, რაც ხონჩით მივართვით, სრულად შეირგო.

აურელიანოსი არ იყოს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძიებაში აჯანყებებს ვაწყობდით, პარალელურად, ოქროს თევზებს ვაკეთებდით და, როცა ლამაზი გამოდიოდა, სხვას ისე ვუძღვნიდით, არ გვენანებოდა. ერთ-ერთი მცდელობა 1918 წელს წარმატებით დასრულდა და დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, თუმცა საქართველოში ბრიტანეთის ჯარი ჩავაყენეთ და რუსებს ენა გამოვუყავით.

1989 წლის 9 აპრილი გახდა ჩვენი მორიგი დამოუკიდებლობის დასაწყისი, თუმცა გამოუცდელი ქვეყნისთვის უდიდეს განსაცდელად იქცა. **კარგად მახსოვს, მთელი საქართველო რომ ამბობდა, მხოლოდ ბორჯომითა და ჩაით მოვახერხებთ ეკონომიკის აყვავებასო. აქეთ ევროპა გვიკიჟინებდა, გვერდით გვიგულეთო და ვაი, რომ მაშინ სულხან-საბა არავის გაახსენდა** („სიბრძნე-სიცრუისა" თუ წაგიკითხავს, ორჰან?! საბას ნობელის პრემია არ მიუღია, თუმცა იმხანად ნობელი არ იყო). საერთაშორისო ომებში არავინ მიგვიწვია და ამიტომ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დავანახეთ, რომ ომი შეგვიძლია და ერთმანეთს დავერიეთ — თუ რამ დასანგრევი იყო, დავანგრიეთ, თუ რამ გასაძარცვი იყო, გავძარცვეთ და ქვეყნიდან გავიტანეთ (ძირითადად, თურქეთში, ორჰან, და ახლა რომ ფოტოგრაფობ, რუსული „ზენიტი" მასობრივად სწორედ ქართველებმა განახეთ თურქებს), ერთი სიტყვით, ისე მოვიქეცით თითქოს დამოუკიდებლობა კი არ მოვიპოვეთ, არამედ დამამშვიდებელი პერანგი გავიხადეთ და შლეგობას მივყავით ხელი.

**ჩაისა და ბორჯომის მეშვეობით ეკონომიკის აყვავება არ გამოვიდა, ამიტომ ახალი, უფრო გრანდიოზული ტყუილი იყო საჭირო მშიერი ხალხის კუჭის ამოსავსებად და... გამოჩნდა აბრეშუმის გზა. ამ გზაზე ძაფის გაბმას წლების განმავლობაში ვცდილობდით, მორიგი დევიზი იყო ეს ჩვენთვის, აურელიანოს ოქროს თევზი, მაგრამ აბრეშუმის ჭია ვერ გამოვზარდეთ და, შესაბამისად, ეს გზაც ისე დაიშალა, როგორც მანამდე კომუნისტების მიერ გაკეთებული გზები და საქართველო ხან ევროპას მიშტერებული, ხან ამერიკის დაპირებებით გაბრუებული, ისე ჩაება რუსეთთან მორიგ ომში, თვალი არ დაუხამხამებია.** როცა დაახამხამა და ისევ გაახილა, აქეთ აფხაზეთი იყო დაკარგული, იქეთ — „სამხრეთ ოსეთი" და თურქეთი აჭარაზე იწევდა (შენი თურქეთი, ორჰან, შენი დიდი ბებიის სამშობლოზე იწევდა და... ისე, მაინც საიდან მოხვდა ბებიაშენი თურქეთში, იფიქრე რა?!).

**წაგებული, დამარცხებული და თავლაფდასხმული საქართველო ამერიკას შეეაჯა, — ნატოში მიმიღე, რუსებს რომ მოვერიოო. დაპირება ისე გაიცა, როგორც ჩვენ გვპირდებოდნენ დამოუკიდებლობის მოპოვების წინ დიად მომავალს, მაგრამ ნატოს კარამდე სავალ გზაზე კუჭი იყო ამოსავსები და ამიტომ, რაც კი გვებადა, ზოგი საზღვარგარეთ გავიტანეთ, ზოგი — მშრალ ხიდზე და ეს ადგილი მართლა პატარა საქართველოს დაემსგავსა. ქართულ დოვლათს კაპიკებში იტაცებდნენ უცხოელები და სუვენირებად გაჰქონდათ.**

„იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული"...

**ნიკო ლორთქიფანიძის მიერ წლების წინ დაწერილი ცხადად ხდებოდა მშრალ ხიდზე** (არც ლორთქიფანიძე წაგიკითხავს, ორჰან, მაგრამ არა უშავს, შენი ქვეყანა არ ყიდულობდა, შენი ქვეყანა იპყრობდა და თარეშობდა, ამიტომ არ ინერვიულო).

**აბრეშუმის გზის პერსპექტიულობაში ქართველებმა ეჭვი შეიტანეს და, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მთავარ მიზნად ნატო და ევროკავშირი დაისახეს.** მხოლოდ ეს ორი ორგანიზაცია საქმეს ვერ შველოდა და **პერიოდულად ისეთ საინტერესო პროექტებში ვეძებდით შველას, როგორიც არის ფოთის ჭაობების ბაყაყების იმპორტი და მოცვის პლანტაციების გაშენება... ნატოს ალიანსმა კი ერთგულების დამტკიცება საქმით მოგვთხოვა და ჩვენი ბიჭები ავღანეთში გავუშვით**

**ნატოს ალიანსმა ერთგულების დამტკიცება საქმით მოგვთხოვა და ჩვენი ბიჭები ავღანეთში გავუშვით საბრძოლველად, ახლა კი ცენტრალური აფრიკისთვის ვამზადებთ. აფრიკის კონტინენტზე ბრძოლას მაინც მიჩვეული ხართ ქართველები, მამლუქთა ნახევარი ხომ სწორედ ქართველი იყოო და ის კი აღარავის ახსოვს, მამლუქი ქართულად თეთრ მონას რომ ნიშნავს.**

**საბრძოლველად, ახლა კი ცენტრალური აფრიკისთვის ვამზადებთ. აფრიკის კონტინენტზე ბრძოლას მაინც მიჩვეული ხართ ქართველები, მამლუქთა ნახევარი ხომ სწორედ ქართველი იყოო და ის კი აღარავის ახსოვს, მამლუქი ქართულად თეთრ მონას რომ ნიშნავს.** ამასობაში კი რუსეთი (ერთმორწმუნე რუსეთი) კიდევ გავაბრაზეთ და, რაც შერჩენილი გვქონდა, ისე გადავულოცეთ ორ ღამეში, თითქოს არც გვქონია. **ჩვენი მხარდამჭერი ამერიკა აღშფოთდა, ევროპა შეშფოთდა და ისევ ისე დავრჩით გაღიმებული, როგორც დახვრეტის წინ კედელთან მდგარი აურელიანო იღიმოდა უეჭველი სიკვდილის მოლოდინში და მაინც იმედით იმისა, რომ ვიღაც თუ რაღაც არ გაწირავდა.**

**„გაივლის წლები და კედელთან დახვრეტის მოლოდინში მდგარი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს"...** გასახსენებელი ჩვენც ბევრი გვაქვს, ბევრი კი არადა, გასახსენებელიღა დაგვრჩა: ალაგ-ალაგ საამაყო წარსული, თორემ აწმყოთი ვერ ვიტრაბახებთ; რაც შეეხება დროს, ჩვენ ის აურელიანოზე ნაკლები გვაქვს, ძალიან ცოტა და, თუ გონს არ მოვეგებით, ვერაგი გეოპოლიტიკა თვალისდახამხამებაში დაგვაყენებს დასახვრეტ კედელთან...

წრეზე სიარულს ისევ განვაგრძობთ და **ეგებ იმის დრო მოვიდა, გავჩერდეთ, ამოვისუნთქოთ და კარგად დავფიქრდეთ — რა გვინდა. ნატოში ჩვენი გაწევრება ამერიკას სასაცილოდ რომ არ ჰყოფნის, კი დაადასტურა ობამამ, ევროკავშირში ჩვენნაირ დამეულ ქვეყანას რომ არავინ მიიღებს, ცნობილია და იქნებ შევეშვათ ოქროს თევზის კეთებას და იდეა-ფიქსებს!**

**იქნებ ის გზა ავირჩიოთ, დღეს და ახლა რომ წაადგება ქვეყანას, თორემ აურელიანო ბუენდიასი არ იყოს, შარდვის დროს პაპაჩვენის დარგულ კაკალთან ამოგვხდება სული და დამტირებელიც არავინ იქნება.**

თითქოს ისევ იმ გასაყარზე ვდგავართ, თავის დროზე ერეკლე მეფე რომ იდგა...

ერეკლე მეფე, იცი, ვინ არის, ორჰან?!

ბებიაშენს ჰკითხე!

**დავით მინდიაშვილი**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მეუფე სერაფიმე და მეუფე იაკობი, ეკლესიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფებში, დიდი ხანია, ყველაზე მეტ გაღიზიანებას იწვევენ. მეუფე სერაფიმე იმ იშვიათი სასულიერო პირების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ჟურნალისტებთან ინტერვიუზე ყოველთვის თანახმა არიან და არც წინა ხელისუფლების დროს მორიდებია კრიტიკული განცხადებების გაკეთებას... მეუფე იაკობის ამბიონიდან ქადაგების დროს გაკეთებული განცხადებები კი, უკვე დიდი ხანია, გარკვეულ ჯგუფებში განუზომელ აღშფოთებას იწვევს.

# სინოდის წევრების წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მზადდება

**ბრძოლა მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ახალ ძალას იკრებს და გადამწყვეტ ფაზაში შედის. სინოდის წევრების წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, შეთქმულების პირველი სამიზნე წმინდა სინოდის წევრი, ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა) გახლავთ. მომდევნო მსხვერპლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მეუფე იაკობი (იაკობიშვილი) იქნება. ვითომ ლუსტრაციის კეთილშობილური მიზნებით მოქმედნი სინოდის დანარჩენ წევრებსაც არ დაინდობენ და შურისძიებით შეპყრობილნი არც რადიკალურ ნაბიჯებს მოერიდებიან.**



ყველა სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეიტინგი განუზომელია. ამ ადამიანების მთავარი მიზანი სწორედ ეკლესიისა და პატრიარქის ავტორიტეტის დამცრობაა, ამისთვის კი ყველაზე მარტივი საშუალება სასულიერო პირების დისკრედიტაციაა. ბრძოლა, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, უკვე დიდი ხანია, დაწყებულია, თუმცა, ვინაიდან მხოლოდ კრიტიკით ვერაფერს მიაღწიეს, აღნიშნული ჯგუფების აზრით, მოვიდა დრო, „შედეგის მომტან" რადიკალურ ნაბიჯებს მიმართონ.

თუ რატომ შეარჩიეს დასაწყისისთვის სამიზნედ ეს ორი მეუფე, ალბათ, რთული მისახვედრი არაა. **მეუფე სერაფიმე და მეუფე იაკობი, ეკლესიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფებში, დიდი ხანია, ყველაზე მეტ გაღიზიანებას იწვევენ. მეუფე სერაფიმე იმ იშვიათი სასულიერო პირების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ჟურნალისტებთან ინტერვიუზე ყოველთვის თანახმა არიან და არც წინა ხელისუფლების დროს მორიდებია კრიტიკული განცხადებების გაკეთებას,** ხოლო გადაცემა „კვირის რეპორტაჟში" გასულმა ფარულმა ვიდეოჩანაწერმა, სადაც მეუფე დედაქალაქის მაშინდელი მერის, გიგი უგულავას, შესახებ არცთუ სასიამოვნო ამბავს ყვება, იმთავითვე ხელისუფლების დაუფარავი გაღიზიანება გამოიწვია. **მეუფე იაკობის ამბიონიდან ქადაგების დროს გაკეთებული განცხადებები კი, უკვე დიდი ხანია, გარკვეულ ჯგუფებში განუზომელ აღშფოთებას იწვევს.**

მოსალოდნელი არეულობის შესახებ ინფორმაციას ფლობს ჟურნალისტი **ირმა ინაშვილიც,** ის კონკრეტულ სასულიერო პირებს არ ასახელებს, თუმცა, საკუთარი „ფეისბუქის" გვერდიდან მიმართავს ხელისუფლებას: **„აპირებენ საეკლესიო პირების სრულ დისკრედიტაციას, წირვების ჩაშლას. მრევლის დაწიოკებას. მთავარ დარტყმას მიაყენებენ სინოდის წევრებს. წაიკითხეთ რასაც ვწერ და აამოქმედეთ ყველა საჭირო რესურსი... აამოქმედეთ სასწრაფოდ!.. იგეგმება შეტევა ერთ-ერთ მეუფეზე... აპირებენ აგინონ საეკლესიო პირებს, მრევლს და ჩაშალონ არაერთი რელიგიური რიტუალი. მიზანი რა არის? მეუფეს რომ ვინმე შეეხება, მრევლი იჩხუბებს. მერე ვინ გაარჩევს, ვინ, სად და რატომ ჩხუბობს. ისევ თავად ისარგებლებენ. მრევლშიც ამზადებენ „შესაგდებ" არამზადებს..."**

აშკარა აგრესიული კამპანია მეუფე სერაფიმეს წინააღმდეგ ცოტა ხნის წინათ დაიწყო. ყველაფერი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ მეუფე სერაფიმეს ინტერვიუს მოჰყვა, სათაურით **„მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა): საშიშია მაღალი ტრიბუნიდან მოწოდება, რომ არაფერი ცუდი ეკლესიის კრიტიკაში არ არის".** (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო", 12 თებერვალი, №240), რომელმაც რატომღაც **მამა ილიას (ვაშაკიძე)** გაღიზიანება გამოიწვია. მამა ილია ინტერვიუს გამოეხმაურა და არც მეტი არც ნაკლები, მეუფის საუბარს ბჟუტური უწოდა — **„ერთი გამაგებინოს, ამ მიტროპოლიტს რა აბჟუტურებს?** — წერს ის, საკუთარი „ფეისბუქის" გვერდზე. საკვირველია, მაგრამ მამაო, უფრო უხეშ სიტყვებსაც არ ერიდება: **„დამიწყო ძველბიჭურად ლაპარაკი და სულ დედა მაგინა ძალიან ბინძურად. სიმართლეს ვიტყვი, არც მე დავაკელი",** ან **„საქართველოს საპატრიარქოს ეპისკოპატი, როგორც საქართველოს ეკლესიის პრობლემა თბილი ტაკოს გაციება, სულ არ ნიშნავს დამცირებას"** — ეს მამა ილიას ფრაზებია და მისი სოციალური ქსელის გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ.

**მამა ილია მეუფე სერაფიმეს წინა ხელისუფლებასთან ფინანსური სიკეთეების მიღებაში სდებს ბრალს, მაშინ, როდესაც ავიწყდება, როცა მეუფე კრიტიკულ გამონათქვამებს არ იშურებდა, მართლაც ფუფუნებაში მცხოვრები სხვა მამაოები და მეუფეები ხელისუფლებას ხოტბას ასხამდნენ ან გატრუნული იყვნენ და იმ უსამართლობას, რომელიც ქვეყანაში ხდებოდა, მშვიდად ადევნებდნენ თვალს.**

მამა ილია ითხოვს ტელედებატებს მეუფესთან, თუმცა საზოგადოებრივი კომუნიკაციების სპეციალისტ არჩილ გამზარდიასთან დებატებზე უარს აცხადებს. ასევე უპასუხოდ ტოვებს **არჩილ გამზარდიას** მიერ მისთვის გაგზავნილ უწყინარ კითხვებს.

**«აპირებენ საეკლესიო პირების სრულ დისკრედიტაციას, წირვების ჩაშლას. მრევლის დაწიოკებას. მთავარ დარტყმას მიაყენებენ სინოდის წევრებს»**

**„გთხოვთ, მითხარით, თუ სიმართლე გაქვთ, როდის იყო ეკლესიაში მხილება მედიაზე გადიოდა? მით უმეტეს იდეაშივე ეკლესიის მაძულველ მედიასაშუალებებზე? ან იმ სიტყვებით, რომელსაც თქვენ იყენებთ ან იმ საკომუნიკაციო ფორმებით, რასაც თქვენ წარმოადგენთ? მამაო ილია, მითხარით, რას ფიქრობთ ისეთ ადამიანებზე, როდესაც ოჯახის სხვა წევრებზე აუგს ოჯახის მტრებთან გაიტანს და ოჯახის წინააღმდეგ დაიწყებს ბრძოლას, რა ჰქვია ასეთ ადამიანს? და რატომ იქცევით ზოგიერთი სასულიერო პირი სწორედ ასეთი ადამიანივით (შეიძლება უარესადაც)? მამაო ილია, თქვენი „ფეისბუქის" გვერდი რატომ ტოვებს პოლიტიკოსის გვერდის შთაბეჭდილებას? რატომ არიან თქვენ გვერდით, ძირითადად, დარაზმული კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების მქონე პირები, პარტიული აქტივისტები და მედიასაშუალებები? მით უმეტეს, რომ ეს ჯგუფები და წარმომადგენლები, წლებია, იმ სივრცეს მტრობენ, რომელსაც თავად თქვენ წარმოადგენთ? რატომ იღებთ სიამოვნებით, როდესაც თქვენს სოციალურ გვერდზე პატრიარს ლანძღავენ? ეძახიან „ილიათოლს", „კოლმეურნოების თავმჯდომარეს" და ა. შ. უფრო უარესი ტერმინებითაც? თქვენ ხომ ამბობდით, რომ პატრიარქის ერთგული ვარ და კონკრეტულ სასულიერო იერარქებთან მაქვს მხოლოდ ნეგატიური დამოკიდებულებებიო?"** — ეს მხოლოდ მცირედი ამონარიდია არჩილ გამზარდიას მიერ გაგზავნილი კითხვებიდან, რომლებზეც სიმართლისთვის მებრძოლ მამაოს დღემდე პასუხი არ გაუცია.

ამას გარდა, მამა ილია საპატრიარქოს **ჟურნალ „ქვაკუთხედის"** დახურვას მოითხოვს. **„მიმაჩნია, სასწრაფოდ ჩატარდეს სინოდის ღია სხდომა, რომელზეც განხილული იქნება ზემოთ ხსენებული ჟურნალის არსებობა-არარსებობის საკითხი ლუსტრაციის ფონზე",** — წერს ის. ამავე დროს, მამა ილია „ტაბულას" მედიასაშუალებების ხშირი და საპატიო სტუმარია.

რომელ ეკლესიაში მსახურობს მამა ილია, ჩვენთვის უცნობია. აი, რა გვითხრა ერთ-ერთ ინტერვიუში წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარმა, **დეკანოზმა დავით ისაკაძემ: „მე დამაინტერესა, გამერკვია, სად მსახურობდა ეს მღვდელმონაზონი და აღმოჩნდა, რომ ის არც ერთ ეპარქიაში არ მსახურობს. ამ ადამიანს აბსოლუტურად ანტიეკლესიური ცნობიერება აქვს. ის არის ლიბერალი, მოდერნისტი პიროვნება, რომლისთვისაც უცხოა ეკლესიის სწავლება, დოგმატიკა, კანონები. თუ მას რაიმე საკითხი აინტერესებს, შეუძლია ეს ყველაფერი ეკლესიის წიაღშივე გაარკვიოს. ეკლესიაში არსებობს ზნეობის კომისია, რომელიც, უკვე რამდენიმე წელია, მუშაობს. თუ გამოვლინდება ფაქტები, რომლებიც ეკლესიისთვის მიუღებელია, ზოგიერთ მღვდელს ეპიტიმია ეკისრება".**

ბრძოლა შემდეგ ეტაპზე გადადის. დაახლოებით ერთი თვის წინ „ფეისბუქზე" ჩნდება ახალი პროფილი, ვინმე **მაიკო შუბლაძის** სახელით (თუმცა, ვინ დგას ამ სახელის უკან, უცნობია), რომელიც ასევე მგზნებარედ მოითხოვს ლუსტრაციის პროცესის დაწყებას და მამა ილიას გვერდის ხშირი სტუმარია. იმთავითვე ცხადია მიზანი: **ეს ადამიანი პროფილის შექმნის დღიდან მეუფე სერაფიმეს გასამართლებას, დასჯასა და მხილებას მოითხოვს. სხვა ინტერესი რომ არ აქვს, მისი პირადი გვერდისთვის თვალის გადავლებითაც ჩანს.**

მეუფეს დაულალავი ლანძვაგინების შემდეგ, როდესაც ხვდება, რომ პასუხს არ სცემენ, ურეკავს მეუფე სერაფიმეს მძღოლს, სწერს მძღოლის მეუღლეს წერილებს და მეუფესთან ინტერვიუს დაჟინებით ითხოვს. თავდაპირველად აცხადებს, რომ ტელეკომპანია „მაესტროს" ჟურნალისტია, თუმცა, ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ ცხადი ხდება, რომ ასეთ ჟურნალისტს „მაესტროში" არასდროს უმუშავია.

კომენტარებზე, თუ სად მუშაობს, პასუხს არ სცემს, მხოლოდ იმუქრება, რომ ნებით თუ არა ძალით მაინც აიღებს ინტერვიუს. **„მოემზადეთ, მეუფეო!", „მეუფე სერაფიმე, ვითხოვთ პასუხს!"** — წერს ის და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ადამიანი აცხადებს, რომ **„პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, მიღებული იქნება შესაბამისი ეთიკურ-მორალური და სამართლებრივი ზომები. მიტროპოლიტი სერაფიმე ჯოჯუა არამც თუ საქართველოს, არამედ ქრისტეს გამყიდველია და არად მიაჩნია არაფერი მასში მყოფი ნარცისის ფასად, პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში მისი არამც თუ სასულიერო ხარისხის, არამედ საქართველოს მოქალაქეობის საკითხი დგება ეჭვქვეშ".**

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, ვინმე მაიკო შუბლაძის ნამდვილი ვინაობა და მოვახერხეთ მასთან გასაუბრება, მაგრამ **სიმართლისმანტიამოსხმული მაიკო ყველა კითხვაზე პასუხს გაურბის.** დასკვნების გამოტანა მკითხველისთვის მიგვინდვია.

**— მაიკო, გამარჯობა. ჟურნალისტი ვარო, წერთ და თან მეუფისგან ინტერვიუს აღება გინდათ. სად მუშაობთ, შეიძლება გავიგოთ? მგონი, დასამალი არაფერია.**

— გისმენთ, რა გაინტერესებთ? თქვენთვის რას აქვს მნიშვნელობა — ჩემს სამუშაო ადგილს თუ პრობლემას, რომელსაც ყველა ვხედავთ და ვდუმთ? **(აქაც და ქვემოთ სტილი დაცულია — რედ.)**

**— როგორც წესი, ჟურნალისტები როდესაც ითხოვენ კონკრეტული პიროვნებისგან ინტერვიუს, სამსახურს არ მალავენ. ეს უკვე ეჭვის საფუძველს აჩენს, რომ თქვენ არ ხართ ჟურნალისტი.**

— რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის — ქუჩის ნომერი, სადაც ჩემი სამსახური მდებარეობს თუ ის ▶

**კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“, ხელისუფლების მხრიდან იძულებული ნაბიჯია, რომელსაც ერთი მიზანი აქვს — ქართველი საზოგადოების ყურადღების გადატანა, მოდუნება და დამშვიდება... ხელისუფლება კი შეტევას მთელი პროპაგანდისტული ძალით განახორციელებს ერის თავდაცვის ყველაზე სუსტად გამაგრებულ და, უნდა ითქვას, მიტოვებულ „უბანზე“ — ბავშვებსა და მოზარდებზე!**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მტკივნეული პრობლემა, რის გამოც ხვალ და ზეგ შენი და ჩემი შვილი ეკლესიაში აღარ შევა აღსარების სათქმელად?

**— როდესაც ითხოვთ ეკლესიაში ლუსტრაციას, მეუფეს მხილებას, ელემენტარულად საკუთარ სახელსა და გვარს არ უნდა მალავდეთ, თუ თქვენ მართალი ხართ...**

— რა გჭირთ, ხალხო, რას დადუმებულხართ და მზად ხართ, ტალახი ესროლოთ იმასაც, ვინც ბედავს და ამდენი განუკითხაობის და სიბინძურის წინააღმდეგ ხმას იღებს?! თქვენ როგორ გგონიათ, მე მორწმუნე არ ვარ და ეკლესიაში არ დავდივარ?

**— რატომ გაგახსენდათ ეკლესიაში არსებული პრობლემები ახლა და არა ადრე, ვგულისხმობ თუნდაც იმ ბრალდებებს, რომლებშიც მეუფეს სდებთ ბრალს?**

— რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ პროფესიული ვალდებულება მალაპარაკებს?

**— თქვენ არც ერთ ჩემს კითხვას არ უპასუხეთ და რასაც მწერთ, ეს ზოგადი ფრაზებია. როგორ დავიჯერო, რომ მართლა კეთილი ზრახვები გამოძრავებთ?**

— მე არ ვიცნობ არც მეუფე სერაფიმეს, არც მეუფე იაკობს, მაგრამ წილად მხვდა, მენახა ბევრი ისეთი რამ, რამაც ჩემში შეარყია ბევრი რამ.

**— მით უმეტეს, თუ არ იცნობთ, არ ფიქრობთ, რომ ადამიანს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენოთ?**

— და როგორ ფიქრობთ, სასულიერო, ამხელა იერარქიის საფეხურზე მდგომთ რად უნდა „ვემტერებოდე“? მიპასუხეთ თუ შეგიძლიათ.

**— ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, თუნდაც ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა და მეუფეების დისკრედიტაცია.**

— არა, ჩემო კარგო. ერთი უბრალო ადამიანი ვარ, დედაეკლესიის შვილი.

**— თქვენ რომ მართალი იყოთ, თქვენი სახელით, გვარით იმოქმედებდით. თქვენს ფოტოს არ დამალავდით. ხომ ასეა?**

— არავის მიმართ ზიზღი და მტრობა არ მამოძრავებს.

**— გასაგებია. ვთქვათ, დავიჯერეთ, რომ კეთილი ზრახვები გამოძრავებთ, მაგრამ რატომ გაგახსენდათ ახლა ეს ყველაფერი? რატომ გახდა ასე უცებ მეუფე ცუდი და დამნაშავე? თქვენ სერიოზული ბრალდებებს უყენებთ...**

— კი, საკმაოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, სიმართლეა.

**— და რატომ ახლა, აქამდე სად იყავით?**

— რად გაურბის მეუფე ინტერვიუს? მე მართლა არ ვიცი, რა დამთხვევას აქვს ადგილი. იქნებ მითხრათ.

**— ვიცნობ მეუფეს და არასდროს არც ერთი კითხვისთვის თავი არ აურიდებია...**

**სხვა მეუფეების წინააღმდეგ რატომ არ აღიმაღლეთ ხმა, თუნდაც წინა ხელისუფლების დროს, როცა გაცილებით სერიოზულ საქმეებში სდებდნენ მათ ბრალს?**

— მაშინ ნიადაგი მზადდებოდა, ახლა მომწიფდა ისე, რომ, ვილაცამ ხმა თუ არ ამოიღო, ძალიან ცუდი შედეგები გვექნება. მეუფე ტყუის, ის ჩვენთან ინტერვიუს გაურბის.

**— და ფიქრობთ, რომ ასე ანონიმური პროფილით შედეგს მიაღწევთ? თუ მართალი ადამიანი ხართ, რატომ თქვენი სახელით არ მოქმედებთ, რა პრობლემაა?**

— მან გვითხრა, შეგვპირდა, რომ მოგვცემდა ინტერვიუს, შემდეგ ავადმყოფობა მოიმიზეზა და...

**— და ვინაობას რატომ მალავთ?**

— აქ ასეა საჭირო. ინტერვიუზე ნიღაბს არ ავიფარებ, ჩემი სახით წარვსდგები. დაესწარით, თუ გნებავთ.

**— რომელი გამოცემისთვის გინდათ ინტერვიუ? მითხარით, ვეტყვი მეუფეს და მოგცემთ ინტერვიუს.**

— ახლა სხვა წყარო მუშაობს რაღაც საკითხებზე, ნუ შეწუხდებით, თუ ის გაინტერესებს, ვინ ვარ, მეუფის დავალებას კი კარგად ასრულებთ, მაგრამ იმედს გაგიცრუებთ, ამ ეტაპზე ასე ჯობია.

**— თქვენ წერთ, რომ, თუ მეუფე პასუხს არ გაგცემთ, შესაბამის ეთიკურ-მორალურ და სამართლებრივ ზომებს მიმართავთ. რას გულისხმობთ?**

— დროებით. ამას ყველა ნახავს. მზადდება სერიოზული სატელევიზიო გადაცემა, რომელიც მეხის გავარდნა იქნება.

**— არავის დავალებას არ ვასრულებ. ვწერ ჩემი სახელით. თქვენგან განსხვავებით, ჩემი ფოტოც მიდევს და არ ვიმალები. პირდაპირ გეკითხებით: ვინ ხართ?**

— მეუფეს ყოველთვის საუკეთესოს ვუსურვებ.

**— რატომ იცრუეთ ამას წინათ, რომ „მაესტროში“ მუშაობდით? ან არ ფიქრობთ, რომ, რასაც თქვენ წერთ, ეს მუქარა და დანაშაულია?**

— რა თქმა უნდა, არა. როცა ფაქტები ხელთ გაქვს, არანაირად. მე ჰაერზე არ ვლაპარაკობ.

**— თქვენ მალავთ სახელს, გვარს, სამსახურს... ასე მხოლოდ პროვოკატორები იქცევიან და არა ჟურნალისტები.**

— დამშვიდდი, ჩემო კარგო.

**— მეუფისგან ითხოვთ პასუხებს, მაგრამ თქვენ არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გამეცით.**

— ტალახის სროლას, შანტაჟს, მუქარას, ძალიან მიჩვეული ვარ.

**— ახლა ვინ დაგემუქრათ?**

— დროებით, სასიამოვნო დღეს გისურვებთ.

**— მაშინ გეტყვით, რომ თქვენ ემუქრებით მეუფეს. მე ჟურნალისტი ვარ და არასდროს მქონია პრობლემა მეუფისგან ინტერვიუს ჩაწერაზე. თქვენი სახელით რომ დაგერეკათ და გეთქვათ, სად მუშაობთ, დარწმუნებული ვარ, პრობლემა არ შეიქმნებოდა.**

**ჩვენი წყაროს ინფორმაციით, წმინდა სინოდის წინააღმდეგ მოსალოდნელი შეთქმულების შესახებ საქმის კურსშია საქართველოს საპატრიარქოც, თუმცა, ჯერჯერობით ამ ამბის გახმაურებას ერიდებიან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარს არც მეუფე სერაფიმე აკეთებს.**

აღნიშნული სტატია პრევენციის მიზნით დაიწერა, რათა ხელისუფლებამ დროულად მიიღოს ზომები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად და პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. „ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია“...

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

# ბერმა გაბრიელმა საქართველო უზნეობისგან იხსნა!



# ვინ გაიტანს ქაღლს?



**„...მოხდეს კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთება, რომლის მიხედვით, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა... მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდებლობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება, როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერპრეტირება, ვფიქრობ, სასურველია ამ ჩანაწერის არსებობა კონსტიტუციაში...“ — პრემიერის ამ ისტორიულ სიტყვებზე ბედნიერების ცრემლი უხვად ჩამოვყარე, ხოლო მის დანარჩენ ნალაპარაკევს ყურადღება არ მივაქციე. „გავიმარჯვეთ!“ — გავიფიქრე და იმ ღამეს მკვდარივით მეძინა.**

მეორე დილით, ეიფორიაში მყოფს, კვლავ მომინდა მოსმენა ბატონ ღარიბაშვილის მთავრობის ისტორიულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვისა! მოვუსმინე ბოლომდე... და ეს, რა გაიგო ჩემმა ყურებმა!.. **„...ჩვენ აღნიშნული საკითხი განვიხილეთ კოალიციის პოლიტსაბჭოზე, სადაც ერთხმად მოგვიწონეს აღნიშნული ინიციატივაო“.**

— ეს კაცი უთუოდ „გვაბოლებს!“ — ამჯერად სიმწრის ცრემლებმა დამივსო თვალები. — გამორიცხულია, ასეთი ინიციატივა მოსწონებოდა კოალიციის პოლიტსაბჭოს **ყველა** (ხაზს განსაკუთრებით ვუსვამ) წევრს, მაგალითად, ჯორჯ სოროსის ოფიციალურ მოჯამაგირეებს, ე. წ. რესპუბლიკელებს ან თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს, ვილნიუსში რომ გაურკვეველი სქესის კეტრინ ეშტონთან ერთად „დააპარაფირა“ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება; და, ჩემი რწმენით, სრულიადაც არაშემთხვევით დემოკრატიული საქართველოს ჰიმნად გაისმა „შალახოს“ (ცვედანთა ცეკვის) „დიდებული“ ჰანგები...

მიხვდი, ალბათ, ძვირფასო მკითხველო, რომ **ბატონი ღარიბაშვილის ეს მაამებელი ინიციატივა ხელისუფლების მორიგი „ტროას ცხენია“!** ქურუმ ლაოკოონის გაფრთხილებას მოვიშველიებ, რა თქმა უნდა, გათანამედროვებულ ვარიანტში, დავუშვათ ასე: **„მეშინია „მეოცნებეების“ მიერ კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის განსაზღვრისაც კი!“, და ვიმედოვნებ, რომ „ქართული ოცნების“ „ათინა“ — ხიდაშელი** (რომელსაც, როგორც საგარეჯოს მაჟორიტარს, დღემდე ვერ მოუგვარებია სოფელ გომბორში წყალდიდობის შედეგად მოშლილი პატარა ხიდის აღდგენაც კი!) **მოსახრჩობად არ გამომიგზავნის ორ გველს — თეა თუთბერიძისა და ნინია კაკაბაძის სახით!...**

სამხედრო ხელოვნებაში არსებობს ყურადღების გადატანის მანევრი, ანუ როდესაც მცირე ძალებით შეტევის იმიტაციას ახორციელებ მოწინააღმდეგის დაცვითი ხაზის ყველაზე ძლიერ მონაკვეთზე და, ამავე დროს, ძირითადი ძალებით უტევ მის ყველაზე სუსტად გამაგრებულ წერტილს.

საქმე კი ასეა: **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი წინამძღვარი უეჭველად ელოდნენ ფსევდოლიბერალების მორიგ, საზღვარგარეთიდან უხვად დაფინანსებულ თავდასხმას, კერძოდ, 17 მაისს. სამი თვით ადრე გაიხსნა ბერი გაბრიელის საფლავი და სალოსის წმინდა სხეული სამების ტაძარში დააბრძანეს. ამ თვე-ნახევრის განმავლობაში წმინდანის თაყვანსაცემად სამ მილიონამდე ადამიანი მივიდა! ასეთი „სიბნელის“ და „შუა საუკუნეების ფანატიზმის“ დამნახავმა ევროკავშირის და აშშ-ის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ „ნაყოფი“** (ქართველი ერი) **არაა მომწიფებული წალეკვისთვის და ქვეშევრდომებს** (საქართველოს ხელისუფლებას) **სასწრაფოდ უბრძანეს „თანამედროვე ევროპული ფასეულობებისგან“ 180 გრადუსით შემოტრიალება, ანუ მისთვის ზურგის მიქცევა, დროებით.** მაშასადამე, **კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა“, ხელისუფლების მხრიდან იძულებული ნაბიჯია, რომელსაც ერთი მიზანი აქვს — ქართველი საზოგადოების ყურადღების გადატანა, მოდუნება და დამშვიდება** (ყურადსაღებია, რომ ღარიბაშვილის პარალელურად, ე. წ. ლგბტ-ს ქართულმა ფილიალმა „იდენტობამ“, ქვეყანაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზეზით, უარი განაცხადა 17 მაისის აქციის ჩატარებაზე). **ხელისუფლება კი შეტევას მთელი პროპაგანდისტული ძალით განახორციელებს ერის თავდაცვის ყველაზე სუსტად გამაგრებულ და, უნდა ითქვას, მიტოვებულ „უბანზე“ — ბავშვებსა და მოზარდებზე!** და ეს არაა ჩემი ფანტაზია!

ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანიის სკოლებში შემოიღეს ე.წ. სექსის გაკვეთილი, როგორც სავალდებულო. გაცდენებისთვის მოსწავლეები და მათი მშობლებიც კი უმკაცრესად ისჯებიან (ამ უკანასკნელებს აპატიმრებენ). ყველაზე აღმაშფოთებელია, რომ ეს „გაკვეთილი“ უტარდებათ უმცროსი კლასის მოსწავლეებს. **აი, ბრიტანეთმა კი, „დემოკრატიის“ ამ ციტადელმა, გაუსწრო გერმანიას მსგავს „პროგრესში“ და უკვე 5 წლის ბავშვებს ონანიზმის გაკვეთილებს უტარებს.** „სახელმძღვანელოს“, რომლითაც ბრიტანეთის მთავრობა „ანათლებს“ ბავშვებს, ასეა დასათაურებული: **„სექსუალური განათლება, განმარტებული 5 წლის ბავშვებისთვის“.** ამიერიდან ხუთი წლის ბავშვებს ყველაფერს მოუყვებიან სქესობრივ ურთიერთობებზე, მეტიც, ასწავლიან ონანიზმს. ეს „მსოფლიო ბესტსელერი“ უკვე 30 ენაზე გადათარგმნეს (ქართულზეც) და მისი ავტორები არიან **რობი ჰარისი** და **მაიკლ ებერლი.** „წიგნი“, როგორც მოსალოდნელი იყო, უხვადაა ილუსტრირებული უხამსი, ბავშვის ფსიქიკის გამანადგურებელი „სურათებით“; შინაარსზე კი, საერთოდ, უხერხულია ლაპარაკი!

**საუბედუროდ, ამგვარი მაკულატურა ჩამოტანილია თბილისშიც. დედაქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის დამწყებ კლასებში უცხოელი „ტრენერები“ ჩვენს ბავშვებს „ატრენინგებენ“: „ვახომ ცოლად უნდა მოიყვანოს არა ნუცა, არამედ ბექა“...**

თუ ამჟამინდელი ხელისუფლების ზემოხსენებული ინიციატივა თავისებურ „ნირვანაში“ გადაგვიყვანს, ამ „ტრენინგებთან“ ერთად ქართველ ბავშვებს ჩაუნერგავენ შემწყნარებლობას პედერასტობის, ლესბოსელობის, პედოფილიის, ზოოფილიის და, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა გაუკუღმართებისადმი! **ამგვარად აღზრდილი ბავშვები რომ გაიზრდებიან, თავად გააუქმებენ კონსტიტუციაში ჩანაწერს: „ოჯახი არის მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა“. ქვეყნის მთავარი კანონის „გადაკერ-გადმოკერვის“ უსწრაფესი მაგალითი ნაპრეზიდენტალმა სააკაშვილმა ხომ უკვე „გვიბოძა“.**

ო! სხვათა შორის, სააკაშვილზეც. ამ საბრალო ორგანიზმს პატრონები არ აპატიებენ მის მიერ ერის ვერ გარყვნას. მართლაც, ბოლოს და ბოლოს, რისთვის მისცეს გასაძარცავად, საჯიჯგნად და ასაწიოკებლად საქართველო?! იმისათვის, რომ უამრავ ადამიანს თაყვანი ეცა წმინდა ბერი გაბრიელისთვის?! — შეცდა „გრუზინებშიო“! — დახმარების ხელს გაუწვდიან მისი გულშემატკივრები. უპასუხებენ: შეცდაო?! მსგავს შეცდომებს მხოლოდ საკუთარი სისხლით ასწორებენო!

ასეთია „თამაშის“ წესი. თუ ადრე პოლიტიკოსები „ჭადრაკს“ თამაშობდნენ, დღეს „დომინოს“ დროა და „დომინოს პრინციპი“ ბატონობს!

დაბოლოს, **თუ ბატონ ღარიბაშვილს მართლა სურს ხალხში ავტორიტეტის მოპოვება, იგი ვალდებულია, იბრძოლოს იმისთვის, რომ კონსტიტუციაში ეს სიტყვები ჩაიწეროს: „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალება უზნეობის პროპაგანდა და ბავშვთა სულების გახრწნა!“.**

**გიორგი კორძაძე**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ ფონზე, რომ ტერიტორიების ოცი პროცენტი დაკარგული გვაქვს, ვამბობთ, მოსკოვს ბერკეტები არ გააჩნიაო, ეს რას ნიშნავს? მზად ვართ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევიდეთ ევროკავშირში ან ნატოში?! რისთვის გვჭირდება ჩვენ ნატო: იმისთვის, რომ ამ სისტემამ უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება თუ მხოლოდ იმისთვის, რომ ალიანსის წევრი გვერქვას?!“**



## აკაკი ასათიანი:

# ობამა ყველაზე დიდი ქართველი გამოდგა



**მაპის მოლოდინში ეიფორიაში მყოფი საქართველოს ხელისუფლება ბარაკ ობამამ სრულიად დაამშვიდა. მან გარკვევით თქვა ის, რაც აქამდე ყველამ ვიცოდით, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება რატომღაც იხტიბარს არ იტეხდა — რომ ნატო უახლოეს მომავალში გაფართოებას არ გეგმავს და საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხი არც განიხილებაო. ამით ამერიკის პრეზიდენტმა ნატოზე ოცნების საშუალებაც კი მოგვისპო. რამდენად რეალური იყო ოცი წელიწადი ნატოსთან დაახლოების ილუზიით ცხოვრება? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ თავმჯდომარე — აკაკი ასათიანი ესაუბრება.**

— **ობამა ყველზე დიდი ქართველი გამოდგა. ჩვენ, ქართველებს, როგორც წესი, რეალობის დანახვა არ გვინდა ხოლმე, ამიტომ ვიღაცას ეს უნდა ეთქვა, ეს ვიღაც კი ობამა აღმოჩნდა.**

მეტსაც გეტყვით, რუსეთთან შეუთანხმებლად ნატოში არასოდეს მიგვიღებდნენ, ამერიკა და ევროპა რუსეთთან საქმეს არ გაირთულებდნენ და ეს თავშივე ცხადი იყო ყველასთვის, ვისაც ამ რეალობის დანახვა სურდა. ობამამ რომ დაინახა, ქართველები დამოუკიდებლად დასკვნებს ვერ გამოვიტანდით, გარკვევით გვითხრა: — ნატო არ გაფართოვდება, უკრაინისა და საქართველოს საკითხი არ განიხილება. ეს აქამდეც ცხადი იყო და ვწუხვარ, რომ ქართველებმა სახელმწიფოს ცხოვრების ოცი წელიწადი ქიმერას გადავაყოლეთ.

— **ეს ყველაფერი, რასაც ახლა თქვენ ამბობთ, რიგითმა ქართველმაც კი იცოდა... მაშინ ამხელა მოლოდინი რატომ ჰქონდა ხელისუფლებას, რაც განსაკუთრების ყირიმის მოვლენების შემდეგ გამძაფრდა? გასაგები იყო წინა ხელისუფლების კურსი, მაგრამ ახალი ხელისუფლებიდან ასეთ „აგონიას“ არავინ ელოდა.**

— არ ვიცი, ამ ხელისუფლებას რა სჭირდა. ვფიქრობ, რომ ინერცია უფრო იყო, ისინი ინერციით წავიდნენ. შიშობენ, პრორუსულობა და გზიდან გადახვევა არ დააბრალონ. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ — გზიდან მათ არ გადაუხვევით, **ევროკავშირთან ასოცირებაზე საუბარი კვლავ ძალაშია, თანაც ეს არ არის ისეთი რამ, რის გამოც რუსეთთან უსიამოვნება მოგვივა. სიმართლე რომ ვთქვათ, რუსებს არც ეს არ მოეწონებათ, მაგრამ მაინც საგანგაშო არ არის.**

— **რა რეალობის წინაშე დადგება უახლოეს მომავალში საქართველო?**

— დიდად რაიმე განსაკუთრებულს არ ველოდები, რუსეთშიც, ამერიკაშიც, ევროპაშიც და საქართველოშიც პროცესები უახლოეს მომავალში შენელდება, თუ ჩვენი ხელისუფლება სისულელეებს არ ჩაიდენს.

— **რას გულისხმობთ სისულელეებში?**

— მაგალითად, თუ არ შეასრულებენ „ნაციონალების“ ისეთ მოთხოვნებს, საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერის მიერ დემონსტრაციულად რუსოფობური ნაბიჯების გადადგმის თაობაზე.

— **ბევრი პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ივანიშვილი კარგად მოიქცა, როდესაც სააკაშვილი დაკითხვაზე სწორედ ახლა დაიბარა, რადგან „ნაცები“ ნატოსთან ინტეგრაციის პროცესის ასე განვითარებას სააკაშვილის პროკურატურაში დაბარებას აბრალებენ.**

— არა მგონია, სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებას რაიმე კავშირი ჰქონდეს ობამას განცხადებასთან, თუმცა ჟვანიას თემის ამოწევა „ოცნებას“ წინასაარჩევნოდ ნამდვილად წაადგება. „ნაცებს“ ძალიან უნდათ, რომ მიშას სახელს დაუკავშირონ ყველაფერი, მაგრამ ობამა ასე არ ფიქრობს...

— **ბატონო აკაკი, პრეზიდენტისა და ივანიშვილის დაპირისპირებაზე მინდა გკითხოთ. ივანიშვილმა თითქმის მკლავის გადაგრეხვის მეთოდი გამოიყენა და ისე აარჩევინა ქართველ ხალხს მარგველაშვილი. ჩვენ გვახსოვს მისი განცხადებები, პირდაპირ და აშკარად გაცემული დავალება, რომ საქართველოს პრეზიდენტი 60%-მა უნდა აირჩიოს. გვახსოვს ისიც, რომ ამბობდა, მე წავალ, მაგრამ ძალიან კარგ გუნდს გიტოვებთო. კარგი ბიჭები უცბად ცუდ ბიჭებად გადაიქცნენ.**

— რა მოხდა ივანიშვილსა და მარგველაშვილს შორის, ნამდვილად არ ვიცი. მგონია, რომ კონსტიტუცია არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, ამას სრული სერიოზულობით გეუბნებით. **ივანიშვილი დღეს ჩვეულებრივი მოქალაქეა და ჩვენც, ყველას გვაქვს უფლება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, ოღონდ ივანიშვილის განცხადებას კორექტირება იმ მხრივ სჭირდება, რომ მან არ უნდა თქვას სიტყვა „არ დამიჯერა“. ღარიბაშვილს რაც შეეხება, ის, ვფიქრობ, ადექვატურია, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო ასპარეზზე. მისი მოქმედების არ გვრცხვენია, არადა, ამის მწარე გამოცდილება გვაქვს.**

მარგველაშვილ-ივანიშვილის საკითხი, ალბათ, მათივე გადასაწყვეტია, მორიგდებიან, მეგობრები არიან. კონსტიტუციაში ყველაფერი ეწერა, მაგრამ არავინ ჩაიხედა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, ხელშეკრულებას ხელს ვინ მოაწერსო. რა მნიშვნელობა აქვს, ხელს ვინ მოაწერს? ინგლისის შემთხვევაში, ამას პრემიერი გააკეთებდა, მაგრამ, დედოფალს რომ მოეწერა ხელი, ამითაც არაფერი დაშავდებოდა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## ვასილ ჭიჭინაძე:

# სწრაფვამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ მალე, შესაძლოა, პრობლემური გახადოს ურთიერთობა სომხეთთანაც

**საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესზე, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივასა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

— **ბატონო ვასილ, წინა კვირას ბარაკ ობამას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, არც საქართველო და არც უკრაინა ახლა ნატოს წევრობისკენ მიმავალ გზაზე არ დგანანო, ჩვენი საზოგადოება ერთობ შეაშფოთა. ბევრს ჰგონია, რომ ვაშინგტონმა უკან დაიხია და მათგან ღია მხარდაჭერას აღარ უნდა ველოდოთ. თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ამერიკის პრეზიდენტის ეს განცხადება?**

— არ ვიცი, ვის რა მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ბარაკ ობამას არაფერი უთქვამს ისეთი, რაც საღად მოაზროვნე ადამიანს ისედაც არ უნდა სცოდნოდა. ჩვენ ადრეც გვისაუბრია ძალიან ბევრჯერ და ახლაც იმავეს ვიტყვი, რომ **გამორიცხულია საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ყოველ შემთხვევაში უახლოესი 20-25 წელიწადი ეს არ მოხდება და მერე რა იქნება, არავინ იცის.** ასე რომ, კიდევ ვიმეორებ: **ობამამ თქვა ის მწარე სიმართლე, რომელსაც, არ ვიცი, ბუში ან გვიმალავდა და იმედს გვაძლევდა, ან, უბრალოდ, გვატყუებდა და ამით დრო გაჰყავდა...**

სხვათა შორის, ამასწინანდელ გამოსვლაში ღარიბაშვილმა პირდაპირ თქვა ის სიმართლე, რომელზეც ობამამ ისაუბრა, მაგრამ რად გინდა! გამოვიდნენ მერე ეს ჩვენი ბედოვლათი მინისტრები და ისეთი განცხადებები გააკეთეს, ვერანაირ კონტექსტში და ლოგიკაში რომ ვერ ჯდებოდა.

— **რომელ განცხადებებს გულისხმობთ?**

— მაგალითად, ერთმა მინისტრმა თქვა ასეთი რამ: ჩვენ ახლა არც გვქონდა იმედი, რომ ალიანსში მიგვიღებდნენ, მაგრამ, აი, მომავალში აუცილებლად წავიწევთ წინ... მეორემ კიდევ უფრო დიდი „სიბრძნე“ დაახეთქა: ამ სამიტზე აუცილებლად დაგვიფასებენ სწრაფვას ნატოსკენ და ეს ძალიან მნიშვნელოვანიაო. რით დაგვიფასებენ, ერთი გამაგებინეთ! იმით, რომ ჩვენი ბიჭები იღუპებიან ავღანეთში, ერაყში და ახლა კიდევ აფრიკაში?! ვის რაში სჭირდება ეს სისულელე, ეს გულისამრევი სიცრუე და ყალბი რიტორიკა, რომელიც ყელში აქვს უკვე ყველას ამოსული?! გარდა ამისა, **მთავრობაში შეთანხმებულნი არ უნდა იყვნენ, რას ამბობენ?! პრემიერი აცხადებს ერთს, მინისტრები გაიძახიან მეორეს. ასეთი რამ ნორმალურ სახელმწიფოში წარმოგიდგენიათ?!**

რომელიც ჩემთვის პირადად გაუგებარია: **იმ ფონზე, რომ ტერიტორიების ოცი პროცენტი დაკარგული გვაქვს, ვამბობთ, მოსკოვს ბერკეტები არ გააჩნიაო, ეს რას ნიშნავს? მზად ვართ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევიდეთ ევროკავშირში ან ნატოში?!**

**ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოება საქართველოსთვის არა მხოლოდ მოსკოვისგან შეიცავს საფრთხეს, არამედ ამან შეიძლება პრობლემური გახადოს ურთიერთობა სომხეთთანაც.** დღეს რატომღაც არავინ საუბრობს ამ თემაზე, მაგრამ, ალბათ, ნახეთ, რა განცხადება გააკეთა სულ მცირე ხნის წინ სომხეთის პარლამენტის დეპუტატმა თოროსიანმა: თუ საქართველო ნატოში შევა, ჯავახეთში თურქეთის ბაზები განთავსდება და ჩვენ ამას არ დავუშვებთო. ანუ „რუსეთი, რუსეთიო“ რომ გაიძახიან ეს ვაიექსპერტები და პოლიტიკოსები, აგერ შუაგულში ნაღმი გაქვს. რას აკეთებენ ამ მიმართულებით, ვინმე დაინტერესდა, რა ხდება?! ეს თოროსიანი ვიღაც რიგითი მოქალაქე ხომ არაა, დეპუტატია და, ასეთ განცხადებას რომ აკეთებს, ხელისუფლებას ჰქონდა რამე რეაქცია?!

— **ჯავახეთის პრობლემა, ამ შემთხვევაში, რუსეთისგან დამოუკიდებლად არსებობს თუ ესეც კრემლის ერთ-ერთ ბერკეტად უნდა განვიხილოთ?**

**«თუ ხელისუფლება გონივრულად არ იმოქმედებს, მალე აჭარაში დაპირისპირება დაიწყება აღმსარებლობის ნიადაგზე...»**

ხშირად მესმის ხოლმე ე. წ. ექსპერტებისგან შეფასებები, რომ თურმე რუსეთს, უკრაინისგან განსხვავებით, ჩვენ წინააღმდეგ ბერკეტები არ გააჩნია და ვერ დაგვაბრკოლებს. ეს სასაცილოა და რატომ: პირველი. რაც კი სტრატეგიული ობიექტებია საქართველოში, უმეტესობა რუსებისაა. მათ ხელშია პრაქტიკულად ყველაფერი, დაწყებული ენერგორესურსებით, დამთავრებული იმ წილებით, რომლებიც საბანკო სისტემაში გააჩნიათ. გარდა ამისა, არის ერთი მომენტი,

— რუსეთი რა შუაშია აქ, კრემლს არც კი დასჭირდება ჩარევა, ისე აგიფეთქდება ჯავახეთი, თუ კი ნატოში შეხვალ; **სომხებსა და თურქებს შორის რამხელა ისტორიული მტრობა და სიძულვილია, ხომ ვიცით, ეს უკვე საკმარისი მიზეზი იქნება სეპარატისტული ძალებისთვის, რომ აგიჯანყოს მოსახლეობა.** ახლა ცალკე საკითხია აჭარაც. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ თურქეთს თვალი უჭირავს ამ რეგიონზე. თან გაიხსენეთ, რა გააკეთა სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო დღეებში — სულ უფრო მეტ თურქს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. დღესდღეობით 100 ათასზე მეტი ასეთი ე. წ. მოქალაქეა რეგისტრირებული და წარმოიდგინეთ ახლა, ყველა რომ შემოვიდეს, აქ რა იქნება. კიდევ ვიმეორებ: **აჭარის რეგიონი, ფაქტობრივად, უკვე არის ამოქმედებული ნაღმი და, თუ ხელისუფლება გონივრულად არ მიუდგება ამ საკითხს, იქ შეიძლება დაიწყოს სერიოზული დაპირისპირება აღმსარებლობის ნიადაგზე.**

პირველი: რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, უბრალოდ, საჭირო კი არა, აუცილებელი და ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ახლა გინდა, აგინე ვლადიმერ პუტინის და გინდა, ოკუპანტი უძახე, ამით მას არაფერი დააკლდება. ფაქტია, რომ **იქ მოვიდა კაცი, რომელიც ძალიან ნიჭიერია და თავის ქვეყანაზე ფიქრობს. ასეთი მმართველი რუსეთს, დიდი ხანია, არ ჰყოლია; მეტიც, ვფიქრობ, რომ სტალინის შემდეგ ასეთი მმართველი არ მჯდარა კრემლში.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„გამოდის თემურ ალასანია და აცხადებს, საერთოდ არ ვერეოდი ხელისუფლების საქმიანობაში, როცა ოფიციალურად საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩევლად მუშაობდა და კანცელარიაში საკუთარი კაბინეტი ჰქონდა. ამას გარდა, როგორც მისივე თანაგუნდელების მხრიდან გაცხადდა, კორუფციულ ბიზნესგარიგებებშიც მონაწილეობდა.“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მანანა კობახიძე:

# ვურჩევ უკრაინელ მეგობრებს, სააკაშვილს სიფრთხილით მოეკიდონ!

**რას ფიქრობენ „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმებზე და რამდენად არის მზად ჩვენი ქვეყანა შიდა თუ გარე საფრთხეებისთვის, ქვეყანაში მიმდინარე ამ და სხვა მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი — მანანა კობახიძე ესაუბრა.**



**— „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საკმაოდ თამამ და ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებენ და არ მალავენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავენ. არ ფიქრობთ, რომ მათი განცხადებები სწორედ შეუსრულებელი დაპირებებით, ნეპოტიზმითა და ახალი ხელისუფლების სისუსტითაა განპირობებული?**

— შეუსრულებელი დაპირებები, ნეპოტიზმი — ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოგონილი ფრაზებია. საზოგადოება ასე არ ფიქრობს, რადგან სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ დროს იყო წარმოუდგენელი ნეპოტიზმი ხელისუფლებაში და, სამწუხაროდ, ზოგიერთი დღესაც მისთვის სრულიად შეუსაბამო ადგილზე მუშაობს, რაც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. მაგრამ, ალბათ, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ყველაფერი შეიცვლება.

**— თუმცა, ქალბატონო მანანა, ფაქტია, რომ თქვენს ხელისუფლებაშიც აქტუალურია პრემიებისა და ჯიპების თემა...**

— ვფიქრობ, ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. **საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობამ შეიმუშავა ძალიან მკაცრი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოხდება სახელმწიფო უწყების აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის მანქანით და ვერც ერთი მინისტრი თუ დეპუტატი ვერ შეიძენს ძვირადღირებულ მანქანას ან ფუფუნების საგანს.**

**გამოდის თემურ ალასანია და აცხადებს, საერთოდ არ ვერეოდი ხელისუფლების საქმიანობაში, როცა ოფიციალურად, საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩევლად მუშაობდა და კანცელარიაში საკუთარი კაბინეტი ჰქონდა.** ამას გარდა, როგორც მისივე თანაგუნდელების მხრიდან გაცხადდა, **კორუფციულ ბიზნესგარიგებებშიც მონაწილეობდა.** გამოიძიოს ეს ყველაფერი პროკურატურამ. იმის გამო არ უნდა შევჩერდეთ, რომ პოლიტიკური დევნა არ დაგვაბრალონ, პირიქით — ყველა საქმე ძალიან მალე და ეფექტურად უნდა გაიხსნას.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებს, ყველა დაპირება ერთ წელიწადში ვერ შესრულდებოდა, ყველაფერი ეტაპობრივად 4 წლის მანძილზე შესრულდება, თუმცა ძალიან ბევრი რამ უკვე გაკეთდა, თუნდაც ის, რომ ადამიანი ქუჩაში აღარ კვდება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე, მგონი, ცოტას არ ნიშნავს.

უბრალოდ, **ახლა „ნაციონალები“ ისტერიკაშიც არიან და ცდილობენ, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიც საკუთარი პიარისთვის გამოიყენონ. ფიქრობენ, საკუთარი მომავალი უკრაინაში გადაწყვიტონ, რაც ჩვენი საზოგადოების დაცინვაა.** უკრაინელები კი ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან, სადაც „ნაციონალები“ გამოჩნდნენ, იქ ყველამ ცუდად დაასრულა. სწორედ ამას ვურჩევდით უკრაინელ მეგობრებს, რომ სააკაშვილისნაირ ოდიოზურ ფიგურებს სიფრთხილით მოეკიდონ.

> **«ნაციონალებს» დასავლეთში უკვე არანაირი ავტორიტეტი აღარ აქვთ და სწორედ ამიტომ ებღაუჭებიან უკრაინის პრობლემებს, რომ იქნებ ვილაცის ყურადღება მიიქციონ»**

**— პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ „მივმართავთ ევროკავშირსა და ნატოს, დააჩქარონ იმ სახელმწიფოების ინტეგრაციის პროცესი, რომლებიც საამისოდ მზად არიან, რადგან საფრთხეები იზრდება ამ ქვეყნების მიმართ“. როდესაც საფრთხეებზე ვსაუბრობთ, არ ფიქრობთ, რომ თუნდაც ასეთი განცხადებების ან თუნდაც, დავუშვათ, მაპის მინიჭების, ან ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ რუსული აგრესიის საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება და შესაძლო შედეგებზე ვინ აიღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერზე ვიღებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რაც ქვეყანაში ხდება ან მოხდება. უბრალოდ, სხვა არჩევანი არ გვაქვს, ჩვენი უსაფრთხოების გარანტია ნატოში და ევროკავშირში რეალური ინტეგრაციაა, ამიტომ უნდა დაჩქარდეს ეს პროცესი.

ჩვენი ხელისუფლება იმ მეთოდებითა და აგრესიული რიტორიკით, რომელსაც „ნაციონალები“ მიმართავდნენ, არ მოქმედებს.

ჩვენ კითხვები გვაქვს ყოფილ ხელისუფლებასთან. რეალურად ხელისუფლების ქმედებები არაადეკვატური იყო, გახსოვთ, ალბათ, როგორ მოგვიწოდებდა დავით ბაქრაძე დანა-ჩანგლით ბრძოლისკენ.

ახალი ხელისუფლება ძალიან თანმიმდევრულ და გონივრულ პოლიტიკას ახორციელებს, როგორც ამერიკასა და ევროკავშირთან, ასევე რუსეთთან. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი გზით და არა სხვა ფორმით, მოვაგვაროთ ეს პრობლემა, მაგრამ ეს ერთ და ორ დღეში ვერ მოხდება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# რას მოითხოვს ჩვენგან ევროკავშირი და რას მოგვიტანს რეალურად ევროინტეგრაცია

**დასავლური პროპაგანდით გათიშული და გაბრუებული საზოგადოება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას, როგორც მესიის მოსვლას, ისე ელოდება. ხალხმა ლამის გულწრფელად დაიჯეროს, რომ „ისტორიულ არჩევანთან“ დაახლოება საქართველოში ერთბაშად ეკონომიკურ ბუმს გამოიწვევს. არადა, ამის ფონზე მით უფრო გაუგებარია, ეს პროცესი ესოდენ საიდუმლოდ რატომ მიდის. რას მოითხოვს ჩვენგან ევროკავშირი და რეალურად რას მოგვიტანს ევროინტეგრაცია, — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს რესპონდენტების გამოკითხვას.**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, უფლებადამცველი:**

— საქართველოს გააჩნია სერიოზული გამოწვევები და მისი გლობალური უსაფრთხოების საკითხი მხოლოდ ნატოთი ან ევროკავშირით არ წყდება. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამერიკის პრეზიდენტის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომ საქართველო და უკრაინა არ არიან მზად ნატოს წევრობისთვის. ასე რომ, **ბოდვა, თითქოს ჩვენი მთავარი მიზანი არის ევროატლანტიკური სტრუქტურები, საბოლოოდ უნდა დასრულდეს. ჩვენთვის მიზანია გლობალური უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა და ქართული სახელმწიფოს მშენებლობა.**

**— ფიქრობთ, რომ ევროკავშირის წევრობა ვერ უზრუნველყოფს ამ ყველაფერს?**

— ჩვენთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო არის ის მთავარი ტკივილი, რომლის მოუშუშებლადაც რაიმე თემაზე რაიმე გლობალურ გამოწვევებზე საუბარი აბსოლუტურად ზედმეტი იქნება. ამიტომ ჩვენი პოლიტიკაც უნდა იყოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების ადექვატური. რაც შეეხება ეკონომიკას, არანაირი მიმზიდველობა ამ ევროატლანტიკურ სივრცეს საქართველოსთვის ეკონომიკურად არ გააჩნია, ვინაიდან საქართველო დღეს ძირითადად არის მომხმარებელი და არა მწარმოებელი.

**გიორგი გერმანიძე, „გლობალური ტენდენციების კვლევის ინსტიტუტის“ პრეზიდენტი:**

— ევროკავშირთან ასოცირების ეკონომიკური ნაწილის ხელმოწერა არაფრით შეიძლება. ეს ნიშნავს უპირობო შესვლას ამ ორგანიზაციაში, რაც იქნება დამღუპველი ჩვენი ეკონომიკისთვის. ნახეთ, რა დღეშია ბალტიისპირეთი, საბერძნეთი, ესპანეთი და კიდევ მრავალი ევროპული ქვეყანა. სანამ შევიდოდნენ, მათაც ეგონათ, რომ აყვავდებოდნენ და დღეს, ფაქტობრივად, კატასტროფული მდგომარეობა აქვთ.

**— ღირებულებით ნაწილში თუ ხედავთ ევროკავშირის წევრობაში საფრთხეს?**

— აქ საფრთხეს კი არ ვხედავ, უკვე შედეგზე შეგვიძლია ვისაუბროთ. **ამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია, ცალკეული სუბიექტები რომ ებრძვიან ეკლესიას, სამღვდელოებას, ეროვნულ მენტალიტეტს და ფასეულობებს, ეს ხომ შემთხვევით არ ხდება?!** საკმარისია, ცოტა ჩაუღრმავდე ამ ყველაფერს და ნათლად დაინახავ, ვინ და რა ძალები დგანან მათ უკან.

**— დასავლეთი უმაგრებთ ზურგს?**

— რა თქმა უნდა. აბა, ეს ორგანიზაციები ციდან ხომ არ ჩამოცვივდნენ. ეს არის პირდაპირ მიზანმიმართული, გაწერილი გეგმა, რომელიც დროში უნდა განხორციელდეს. ჩვენი პირობების გათვალისწინების გარეშე, **რაც უფრო დავუახლოვდებით ევროპას, ბუნებრივია, მით უფრო ღია შეტევები განხორციელდება ეკლესიაზე, სულიერებაზე, მენტალობაზე და ზოგადად, ყველაფერზე, რაც შენი ეროვნული იდენტობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.**

**— თქვენი აზრით, საქართველო იმდენად სჭირდება ევროკავშირს, რომ ჩვენ მათთან ჩვენი პირობებით შეგვიძლია საუბარი?**

— და თუ არ ვჭირდებით, მაშინ რატომ უნდა შევიდეთ იქ? უკვე 20 წელია, ჩვენი ხელისუფალნი სხვის ინტერესებს ემსახურებიან და ბოლოს და ბოლოს წერტილი ხომ უნდა დაესვას ამ უგუნურებას!

**ლევან ჩაჩუა, ყოფილი პოლიტპატიმარი:**

— ევროინტეგრაციის ეს ყბადაღებული პროცესი საქართველოში, შეიძლება ითქვას, ჩუმი დივერსიის სახით მიმდინარეობს, არ ხდება ამ მნიშვნელოვანი საკითხების არანაირი საჯარო განხილვა, არ იმართება დისკუსიები, თუ კონკრეტულად რატომ არის იგი ჩვენთვის ისტორიული არჩევანი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ, სხვათა შორის, მივმართეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს და ვთხოვეთ, იქნებ გამოყონ გარკვეული საეთერო დრო ამ საკითხისთვის. ჯერჯერობით რა როგორ იქნება, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ხალხს აინტერესებს, რა არჩევანზეა საუბარი, რას გვაძლევს ეს ყველაფერი და საერთოდ, რატომ ვდგამთ ამ ნაბიჯს.

**— საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საიტზე ხომ დევს ის დოკუმენტი, რომელსაც ვილნიუსში მოეწერა ხელი?**



— დოკუმენტი დევს, მაგრამ მას არ აქვს ჩატარებული არც ლინგვისტური და არც სხვა სახის საჭირო ექსპერტიზა. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღესდღეობით საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 35 პროცენტს მიუწვდება ხელი ინტერნეტზე და მათგან კიდევ ნახევრის ნახევარს არ ექნება ეს დოკუმენტი ნანახი, პრაქტიკულად სულ რაღაც 8 პროცენტმა იცის მისი რეალური შინაარსი. ახლა რა გამოდის? **ხელისუფლება, ფაქტობრივად, საზოგადოების გვერდის ავლით აწერს მასზე ხელს. აქედან გამომდინარე, პირდაპირ ვამბობ: ეს ხელშეკრულება არალეგიტიმურია.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკა არასოდეს ყოფილა და ვერც იქნება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი

# მადლობა ბარაკს...

**უკრაინის მოვლენების კვალდაკვალ საერთაშორისო პროცესები სულ უფრო მკვეთრ ხასიათს იღებს. განცხადებებში კონკრეტიკა მატულობს, ხოლო პოლიტიკური რომანტიზმი დასასრულს უახლოვდება. როგორც ჩანს, ოკეანის გაღმა პუტინისთვის დამახასიათებელი პირდაპირობა გადაედოთ და „თეთრი სახლის" მესვეურმა დიპლომატიურ კეკლუცობას უკლო, — წინა კვირას ბარაკ ობამას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, უკრაინა და საქართველო ნატოსკენ მიმავალ გზაზე არ დგანანო, რიგ საკითხებში, შეიძლება ითქვას, წერტილი დასვა. მოკლედ, სანამ საქართველოში „ნეტარ მორწმუნენი" მოახლოებული „ისტორიული არჩევანის" გამო ათბალიან ნირვანაში არიან, „სტრატეგიულმა პარტნიორმა" ჩვენზე ხელი დაიბანა. მწარე რეალობას შუბლით შევეჯახეთ. ასე რომ, ამიერიდან თამამად შეგვიძლია, არ ველოდოთ არც მაპს და არც მაპზე უკეთესს, 2008 წლის აპრილში რომ ერთხელ უკვე ვეზიარეთ.**



ეს ყველაფერი — ხუმრობით, სიმართლე კი ასეთია: მხოლოდ ყალბი რიტორიკის ნაწილია საუბრები, რომ თითქოს საქართველო ცივილიზაციათა გადაკვეთის ცხელი წერტილია, რომ ჩვენი პოლიტიკური ფასი გასაგიჟებლად მაღალია და ამიტომ დასავლეთი მზად არის, თვით რუსეთსაც შუბლით შეასკდეს ამ სივრცეში გასაბატონებლად. არაფერი მსგავსი, სინამდვილეში **ვაშინგტონმა უკვე ფაქტობრივად აღიარა ყირიმის დამოუკიდებლობა და ამით გარკვეული წითელი ხაზებიც გაავლო. დასავლეთი ამ ხაზის მიღმაა, ჩვენ კი აშკარად საპირისპირო მხარეს დავრჩით; ამიტომ ახლა ლოგიკურად ის დროა, ხელისუფლება საგარეო მიდგომებში სერიოზულ ცვლილებებზე ფიქრობდეს.** სამწუხაროდ, ამის ნაცვლად ფანჯიკიძე-პეტრიაშვილის ტანდემისგან კვლავინდებურად „ოპტიმისტური" განცხადებები გვესმის. ერთი ამბობს, რომ დასავლეთი განაგრძობს ჩვენს მხარდაჭერას, მეორე კი უმოწმებს და ორ ხმაში გვარწმუნებენ. სინამდვილეში ეს ყველაფერი, შესაძლოა, მთლად უსაფუძვლოც არ იყოს, მაგრამ აქ საინტერესოა, რაში გამოიხატება დასავლეთის მხარდაჭერა — ისევ და ისევ იმ ტიპის მაპროვოცირებელ განცხადებებში ხომ არა, უკრაინელი ხალხი რომ წააქეზა და ქვეყანა ორად გახლიჩა? როგორც ჩანს, უფრო რთულადაცაა საქმე, რადგან რამდენიმე დღის წინ ობამამ ბრიუსელში ხაზგასმით აღნიშნა: **„ყველა ზომებს მივმართავთ, რათა მხარი დავუჭიროთ უკრაინას, მის არჩევნებს, მის ეკონომიკას და გავაძლიეროთ რუსეთის იზოლაცია იმ ნაბიჯებზე საპასუხოდ, რომლებიც მან გადადგა".** ეჰ ბარაკ, ბარაკ, ბარემ ბოლომდე გეთქვა მწარე სიმართლე და გაგემხილა ამ ხალხისთვის, რას აპირებთ, რის იმედი უნდა ჰქონდეთ უკრაინელებს და ჩვენც. თუმცა ახლა უკვე ისედაც ნათელია ყველაფერი, გასაგებია, რომ ერთმაც და მეორემაც, ანუ **უკრაინამაც და საქართველომაც ამ შემთხვევაში მსხვერპლის როლი უნდა შეასრულონ. დასავლეთი მერე, ალბათ, ძალიან დიდხანს გააკრიტიკებს რუსეთის იმპერიას, როგორც მსოფლიო ჟანდარმს და დემოკრატიის სულთამხუთავს, მაგრამ ამით ჩვენ რა, ჩვენ ხომ ამ ქაოსის მონაწილეები ვართ და არა მაყურებლები, განსხვავებით მისი ავტორებისგან...**

ისე, კაცმა რომ თქვას, ობამასთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის, ასე ხმამაღლა და დაუფარავად რომ განაცხადა სიმართლე. ვინ იცის, ამით რამდენ პოლიტიკურ ყეყეჩს, ბაქიას და მზარდი ამბიციების მქონე ელემენტს ამოსდო ლაგამი კოალიციაში, თორემ მაპს ვინ ამბობს, „მაპზე უკეთესის ბუშიც" რომ მოეცათ, სამპროცენტიანი პოლიტიკური „ჭუჭულებისგან" ერთბაშად, შესაძლოა, დაფრთიანებული ვარიებიც მიგვეღო. ცალკე საკითხია, „ნაცებისთვის" რამხელა დივიდენდი იქნებოდა ეს თავისთავად. „ვარდოსანთა ბელადი" სულ მისხალ-მისხალ შეგვახსენებდა მის მიერ დადებულ თითოეულ „აგურს" ამ დიად საქმეში. ერთი სიტყვით, **ალიანსის პერსპექტივის მირაჟი ბევრისთვის პოლიტიკური დღეგრძელობის გარანტი იყო და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბარაკს, რომ მსგავს ილუზიებს საბოლოოდ წერტილი დაუსვა.**

რაც შეეხება საქართველოს მომავალ სტრატეგიას, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წინაშე, ფაქტობრივად, დგას ორი შესაძლებლობა: ერთი — ან ჯიუტად დავრჩეთ პროდასავლური ორბიტის ვირტუალურ სივრცეში, მეორე — მთლიანად გადავეწყოთ მსოფლიო მოთამაშეთა მიერ გაცხადებული ახალი რეალობის კონიუქტურაზე. პირველ შემთხვევაში გასაგებია, რა ფუნქციაც დაგვეკისრება, — **დასავლეთი და, უწინარესად, შეერთებული შტატები მუდმივად გამოგვიყენებს ერთგვარ „ამრევებად" კრემლის გეოპოლიტიკურ „ციხესიმაგრეში"; ოღონდ ამრევებად არა გარედან, არამედ „ციხესიმაგრის" შიგნით და პრაქტიკულად ეს იქნება უსასრულო ქაოსი ქვეყანაში.** უკანასკნელი ცხრა წელი სრულიად ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ტიპის მარიონეტულმა პოლიტიკამ, თუმცა ეს პოლიტიკა დღეს ათმაგად საშიშია. საშიშია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ **ვაშინგტონს ახლა ბევრად უფრო მწვავე შეტევები სჭირდება რუსეთის წინააღმდეგ** და მეორე, იმიტომ, რომ **თვითონ რუსეთია უკომპრომისო გლობალისტთა ნებისმიერ რეციდივზე.**

მოკლედ, **სანამ „თეთრი სახლის" სტრატეგიულ მჭიდში შემდეგი „ვაზნა" ვიქნებით, სერიოზული სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ეტყობათ.** საერთოდ, ახალი რეალობის პოლიტიკურ კონიუქტურაზე როდესაც ვსაუბრობთ, საკითხავია, არსებული ხელისუფლება არის თუ არა მზად ამ მოცემულობისთვის. ანუ, გუნდი, რომელიც ჯერ კიდევ სათავეში მოსვლამდე აცხადებდა, საგარეო ორიენტირები უცვლელი დარჩებაო, რამდენად შეძლებს საკუთარი მიდგომები ძირეულად გარდაქმნას?! დღევანდელი კურსი ამის წინაპირობა ნამდვილად არ არის და მეტიც, **ახლა რასაც ვხედავთ ან რა განცხადებებიც გვესმის, „ქართულ ოცნებაში" კვლავინდებურად სრული მზადყოფნაა დასავლეთის მითითებებისთვის.** ეს გასაგებიცაა, **მათი ერთადერთი პოლიტიკური გარანტორი სწორედ დასავლეთია, ამიტომ ძალაუნებურად აქ ისევ ნარჩუნდება ის ცალსახა, დაუბალანსებელი რიტორიკა, რომელიც ცხრა წლის მანძილზე მუდმივად გვესმოდა.**

არ მინდა, უკიდურეს პესიმიზმში გადავვარდე და გარკვეულწილად თქვენც დაგზაფროთ, მაგრამ შავი და თეთრი უკვე ძალიან იოლი გასარჩევია. გვინდა, არ გვინდა, იკვეთება — ვინ მეგობარია და ვინ — საიმედო პარტნიორი, ვისი იმედით შეიძლება ვეჯაჯგუროთ რუსეთს ან ვიოცნებოთ მის დაშლა-დანგრევაზე და შესაბამისად, „იბერიის გაბრწყინებაზე". ნეტარ არიან მორწმუნენი, მე კი, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ბარაკს პირწმინდა სიმართლისთვის. ისე, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ასეთივე მადლობა ვუთხრა მაია ფანჯიკიძეს, ალექსი პეტრიაშვილს, დავით უსუფაშვილსა და სხვებს, რომლებსაც ცოცხალი თავით არ სურთ, თვალი გაუსწორონ ნატოს დახშულ კარიბჭეს, მაგრამ ისინი ჯერჯერობით ამის საშუალებას არ გვაძლევენ. რას ვიზამთ, ასეთია რეალობა და ნათქვამია: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო". ერთი ფანჯიკიძის სურვილი კი ამხელა ალიანსს ვერ მოიყვანს...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. საკითხავი კიდევ ერთია: ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, დაწყებული მეთიუ ბრაიზადან, დამთავრებული ჯეიმზ აპატურაით, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ საქართველო, თავისი ელვისებური რეფორმებით, გიგანტურ ნაბიჯებს დგამდა ნატოსკენ. ახლა ვგებულობთ, რომ თურმე არც კი ვდგავართ ალიანსის წევრობის გზაზე. ელემენტარული ადამიანური ცნობისმოყვარეობა მიბიძგებს, მარტივი შეკითხვა დავსვა: მაშინ გვატყუებდნენ ამერიკელი მაღალჩინოსნები თუ დღეს? ან პირიქითაც შეიძლება ვიკითხოთ: მაშინ გვეუბნებოდნენ სიმართლეს თუ ახლა? ნებისმიერ შემთხვევაში, მადლობა ბარაკს!**

# ბარაკის არაკის UNHAPPY END-ი და ღარიბაშვილის პენალტი

**რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების ფონზე ობამას მოულოდნელი „გულწრფელობა" „ნაცებ-ქოცებისთვის" ზურგში სატევრის ჩაცემას ჰგავდა.**

**როგორც დიდი შოთა ამბობდა, „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა", გნებავთ, ზღაპარი საქართველო-ნატოს პლატონური სიყვარულისა, რომელსაც, ზვიად გამსახურდიას გამოკლებით, ყველა მომდევნო ხელისუფალი გვიყვებოდა ბოლო 20 წლის განმავლობაში.**

დიახ, „გასრულდა", მაგრამ არა — happy end-ით, ანუ ბედნიერი ფინალით, როგორც სრულდება ხოლმე ჰოლივუდის მელოდრამები. ეს ყველაფერი დასრულდა unhappy end-ით, ანუ უბედური ფინალით — **აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, უკრაინა და საქართველო არ მიდიან ნატოსკენ და, საერთოდაც, ნატოს შემდგომი გაფართოება არ იგეგმებაო!**

აი, ასე დაუსვა წერტილი ბარაკმა ნატოს არაკს, რამაც შოკში ჩააგდო ქართველი საზოგადოების ის მცირე ნაწილი, რომელსაც დღემდე გულწრფელად სჯეროდა „ბარაკების არაკებისა". შოკშია „ნაცებ-ქოცების" კოაბიტაციური ხელისუფლებაც — **რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების ფონზე ობამას მოულოდნელი „გულწრფელობა" „ნაცებ-ქოცებისთვის" ზურგში სატევრის ჩაცემას ჰგავდა.**

სულ ტყუილი ყოფილა ჯერ მაპი და შემდეგ მასზე უკეთესი — „ნატოს ასპირანტობა", უელსში გასამართი ნატოს სამიტის იმედიც, სადაც ასპირანტობას, ალბათ, „ნატოს დოქტორობა" უნდა მოჰყოლოდა და შემდეგ დოქტორობაზე საუბრით განეგრძოთ საზოგადოების, განსაკუთრებით — ახალგაზრდობის დაბოლება...

ობამას ნათქვამზე ერთადერთი ადეკვატური კომენტარი პრემიერმა ღარიბაშვილმა გააკეთა — **დროა, ილუზიებში ცხოვრებას თავი დავანებოთ და ხალხს სიმართლე ვუთხრათო.** დანარჩენი „ნაცებ-ქოცები" კი მალე გამოვიდნენ შოკიდან და მათი სამიზნე სწორედ ღარიბაშვილი აღმოჩნდა, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში „მეოცნებეთა" შორის ერთ-ერთ ნათელ წერტილად, ეროვნულ გამონათებად აღიქმება!

**რაც შეეხება პოტომაკის ნაპირებზე სხვადასხვა პერიოდში ლიბერასტული ნალებით დაჭედილ „ქოცებს", მაია ფანჯიკიძით დაწყებული და ალექსი პეტრიაშვილ-გიორგი მარგველაშვილით დამთავრებული, ყველამ ერთად და ცალ-ცალკე „გაუნათლებელი" საზოგადოებისთვის, ობამას სკანდალური განცხადების „ნამდვილი შინაარსის" გაშიფრვა დაიწყო — „მაგან (ეს) რომ თქვა, (ის) იგულისხმა, ნატოს კარი ღიაა და აუცილებლად შევალთო", რაც, სულ ცოტა, ღარიბაშვილის კომენტარისგან გამიჯვნასა და დასავლეთისთვის ასეთი** შინაარსის გზავნილს ნიშნავს — **ჩვენც პრემიერივით ქიზიყელი „გრუზინი" ვირები კი არა, თქვენი ერთგული მონები ვართო. ისე, მეტი რა გზა აქვთ, რო?**

თუმცა, ღირსეული საზოგადოება რომ ვიყოთ, „ნაცებ-ქოცებს" მაგ გზასაც მოვუჭრიდით, თუკი ობამას განცხადებისთანავე თბილისში, ნატოს ოფისთან მივიჭრებოდით და, „მოლოტოვის კოქტეილებს" თუ არა, ლაყე კვერცხებს მაინც დავუშენდით. შემდეგ იმასაც ვიკითხავდით, **რა საჭიროა ალექსი პეტრიაშვილის სამინისტრო და, საერთოდაც, რისთვის დადიან ევროპა-ამერიკაში ნატოს სხვადასხვა ღონისძიებაზე ბიუჯეტის, ანუ ჩვენი ფულით ეს იდიოტები**?..

**ღარიბაშვილის მოულოდნელი განცხადება ოჯახის, როგორც მხოლოდ ქალისა და კაცის ერთობის შესახებ და ამ დეფინიციის კონსტიტუციაში ასახვის ინიციატივა, ერთსქესიანი ქორწინებების აკრძალვას ნიშნავს და აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იგულისხმება ლგბტ-პედერასტიის პროპაგანდისა და გეიპარადების აკრძალვაც. ბოლო 2-3 წელიწადია, ყველა ნორმალურ ქართველსა და არაქართველსაც სწორედ ამ სიბინძურის პერმანენტულმა მოლოდინმა ლამის შეგვაძულა მშვენიერი თბილისური მაისიც და ცისარტყელას ფერებიც!..**

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პრემიერის ინიციატივამ ქართველი ლიბერასტების ბანაკში ობამას „აღიარებაზე" არანაკლები შოკი გამოიწვია, რისი დასტურიც იყო მეორე დღესვე „იდენტობის" მიერ გამართული საპროტესტო აქცია კანცელარიასთან, სადაც, საბედნიეროდ, ერთსქესიანი ქორწინებების საწინააღმდეგო აქციაც გაიმართა!

ერთი რამ ცხადია — ირაკლი ღარიბაშვილს სრულიად საზოგადოების, ერისა და ბერის მხარში ამოდგომა სჭირდება, მისი ინიციატივა მხოლოდ კეთილ სურვილად რომ არ დარჩეს!

**ის კი, რამდენად გულწრფელია ირაკლი ღარიბაშვილი, 17 მაისს გამოჩნდება და ვნახავთ, სად დადგება პრემიერი — ქართველ ხალხთან თუ ევროპელ საპატიო პედერასტებთან, რომელთა ჩამოყვანასაც აპირებს „იდენტობა" 17 მაისს!..**

**დავით მხეიძე**

ერთ-ერთი კომპანია, რომელთანაც სააკაშვილის ხელისუფლებამ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 40 მილიონი დაახარჯა, საკმაოდ ცნობილი შვედური ფირმა REAB-ი იყო. 2006 წელს კი ამ ფირმის შეფი სწორედ კარლ ბილდტი გახლდათ.

30 ვერცხლი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენი მილიონი მიიღო კარლ ბილდტის ფირმამ სააკაშვილის ხელისუფლებისგან

**დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები, არც თუ იშვიათად, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს მაშინაც კი იცავდნენ, როცა ყველამ ვიცოდით, რომ არასწორად იქცეოდნენ. სწორედ ევროპელებმა და ამერიკელებმა „გაუპრავეს" მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას 7 ნოემბერი, აგვისტოს ომი, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და კიდევ ბევრი სხვა რამ. ისიც გვახსოვს, მთელი საქართველო რომ გაიძახოდა, ციხეებში პატიმრები შავ დღეში არიანო, უცხოელები კი ამაზე თვალს ხუჭავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი გამოირჩეოდა.**



ბილდტი ევროპაში ნამდვილად არ არის ვიღაც, მის სიტყვას წონა და გავლენა აქვს და სწორედ ეს კაცი საქართველოში ყველა ევროპელ ლიდერზე მეტჯერ, 11-ჯერ, ჩამოვიდა. ყოველი სტუმრობა „ნაციონალების" რეცხვითა და სააკაშვილთან ხვევნა-კოცნით მთავრდებოდა. ისიც გვახსოვს, ბილდტმა მიშას ყურძენი რომ დააკრეფინა და მერე რადოსლავ შიკორსკისთან ერთად დაწურა. ვიღაც იტყვის, ადამიანები მეგობრობენ და ამაში გასაკვირი რა არისო, მაგრამ პოლიტიკაში სიტყვა მეგობრობა ცოტა „უმადურად" ჟღერს.

სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარი თავის პიარში დიდძალ ფულს რომ ხარჯავდა, ცნობილი ამბავია. **ერთი კომპანია, რომელთანაც წინა ხელისუფლებამ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 40 მილიონი დაახარჯა, საკმაოდ ცნობილი შვედური ფირმა REAB-ი იყო. ჰოდა, 2006 წელს ამ ფირმის შეფი სწორედ კარლ ბილდტი გახლდათ.**

**„ჩვენი კომპანია იყო საქართველოს „დამატებითი ხელი ბრიუსელში". ჩვენ ვეხმარებოდით მმართველ პარტიას ევროპელ პოლიტიკოსებთან და ორგანიზაციებთან ახლო კავშირების დამყარებაში. ჩვენ, აგრეთვე, ვეხმარებოდით მათ მედიასთან თანამშრომლობაში, რათა მომხდარიყო საქართველოს შესახებ ინფორმაციის დადებითად გაშუქება მედიაში**", — ეს განცხადება კომპანიის ბრიუსელის ბიუროს ხელმძღვანელ **კარლ ისაკსონს** ეკუთვნის.

აქვე მისტერ ისაკსონი ადასტურებს, რომ **ბილდტი პოლიტიკაში წასვლამდე კომპანიის დირექტორი იყო და კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებასთან, უშუალოდ კი, მიხეილ სააკაშვილთან და ეს ურთიერთობა სწორედ „საკმაოდ საინტერესო" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დაიწყო.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბილდტისთვის სულერთი ნამდვილად არ იყო, ვინ იქნებოდა საქართველოს ხელისუფლებაში და საკუთარი პოზიცია ღიად უკვე 2008 წელს დაადასტურა.

2008 წელს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში შვედეთის იმდროინდელმა ელჩმა ჰანს გუნარ ადენმა არ მოიწონა. მის მიერ შვედეთში გაგზავნილ წერილში პირდაპირ ეწერა: **„მე ეჭვქვეშ ვაყენებ ამ არჩევნების გამჭვირვალობასა და ლეგიტიმურობას".** და რა მოხდა ამის შემდეგ? საქართველოში სასწრაფოდ ჩამოვიდა ბილდტი, სიტუაციას გაეცნო და არ დამალა ის, რასაც ფიქრობდა.

**„არჩევნების შედეგები არანირ ეჭვს არ ბადებს და ყველას გვაქვს მიზეზი, მივულოცოთ საქართველოს კიდევ ერთი არჩევნები, რომელმაც მოახდინა დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის დემონსტრირება, მიუხედავად ზოგი ხარვეზისა",** — ეს წერილი შვედეთში თბილისიდან უკვე ბილდტმა აფრინა.

ამ ამბავს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა — **ადენი საქართველოდან სასწრაფოდ გაიწვიეს, ელჩად კი ბილდტის ყოფილი თანაშემწე დაინიშნა.**

აღნიშნული თავად შვედებსაც იმდენად საეჭვოდ ეჩვენათ, რომ იქაურმა მედიამ ჟურნალისტური გამოძიება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრს ვერაფერი დაუმტკიცა, საინტერესო კომენტარი დასტყუა.

**„მე არასდროს მქონია ბიზნესკავშირები საქართველოში. ვიცი, რომ არის ხალხი, ვინც აქტიურად ავრცელებს ამ ინფორმაციას, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს"**,— აი, ბილდტის პასუხი, რომელიც შვედურ მედიაში დაიბეჭდა.

აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის, რაც მიმდინარე წლის 22 მარტს მოხდა. **მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი მოწმის სახით დაკითხვაზე ოფიციალურად დაიბარა, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა ბილდტის კომენტარი გაავრცელა, აქაოდა, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამას პოლიტიკურ დევნად აფასებსო.** ის კომენტარი გასული წლის ნოემბერში იყო ჩაწერილი და, რაღა თქმა უნდა, ეს ტყუილი მალე გამჟღავნდა, მაგრამ ამის გამო პროტესტი არც თავად შვედ პოლიტიკოსს გამოუთქვამს, რაც მთავარია, **დაწყებული ტყუილი ტელეკომპანიამ ბოლომდე მიიყვანა და ბილდტს ჰააგაში მიაგნო. ჟურნალისტმა ისე განაცხადა, სააკაშვილის პროკურატურაში დაბარებაზე ბატონი კარლი კიდევ ერთ კომენტარს აკეთებსო, თითქოს პირველი კომენტარი შარშან არ ყოფილიყო თქმული.** კიდევ ვიტყვით, რომ ბილდტს არ გაუპროტესტებია ის, რომ მის მიერ ნოემბერში ნათქვამი საქართველოს მოსახლეობას მარტის კომენტარად შეასაღეს.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. ბატონი კარლი ჩვენს სამშობლოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდეც ეწვია და მაშინ დაუფარავად განაცხადა, რომ საქართველო უკვე მიეჩვია დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და მომავალი არჩევნების შედეგის ქუჩაში გაპროტესტებას საფუძველი არ ექნებოდა, ანუ **ბილდტი დარწმუნებული იყო, რომ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა" გაიმარჯვებდა და ქუჩის აქციების აღკვეთის პრევენცია მანამდე გააკეთა.** ბილდტს ანალოგიური რამ პირად საუბარში ბიძინა ივანიშვილისთვისაც უთქვამს.

**სულ ეს იყო, რაც ბილდტზე გვინდოდა გვეთქვა. თუ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები იტყვიან, რომ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში მხოლოდ მეგობრობის გამო დარბოდა და „ნაციონალებს" კბილებით მხოლოდ ამის გამო იცავდა, ვერ დავიჯერებ, იმიტომ, რომ პოლიტიკაში „მეგობრობა" უმადური სიტყვაა.**

**დავით მინდიაშვილი**

# 2013 წლის მონაცემებით, უკრაინაში ჩვენი პროდუქციის ექსპორტი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ევროკავშირის 28 ქვეყანაში

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრის" ინიციატივითა და ორგანიზებით, „ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ზოგიერთი ასპექტის შესახებ" კონფერენცია გაიმართა. რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმება, რამდენად მომგებიანი იქნება ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკისთვის და ამის შემდეგ დაიხურება თუ არა რუსეთის ბაზარი საქართველოსთვის, შესაძლო საფრთხეებისა და გამოწვევების შეფასებას 29 მარტს სასტუმრო „ვერე პალასში" საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ეკონომიკის ექსპერტები და პოლიტიკოსები ცდილობდნენ.**

**„გლობალური კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელის — ნანა დევდარიანის** განცხადებით, ქართულმა საზოგადოებამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ თითქმის არაფერი იცის და ამ საკითხზე დღეს მსჯელობაც არ მიმდინარეობს: „ბევრი ექსპერტი საქმის კურსშიც არ არის. სწორედ ამიტომ დღევანდელი ჩვენი შეკრების მიზანია, რამდენიმე საექსპერტო შეფასება მოვისმინოთ, გავაანალიზოთ და განვიხილოთ, თუ რა საფრთხეები და გამოწვევები დგას ჩვენ წინაშე და რას შეიძლება ველოდოთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ.

რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება იმ ყველაფრის შესრულება, რაზეც ხელშეკრულებაშია საუბარი, ამიტომ, ამ შემთხვევაშიც, გადაჭარბებული მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, ვინაიდან ევროპის ბაზარი დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა, მისი წესები და სტანდარტები, უკვე ათწლეულებია, შემუშავებულია, რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, არაერთ პრობლემას ნიშნავს, რომელსაც მომზადებულები უნდა შევხვდეთ".

**ეკონომიკის ექსპერტის, სტატისტიკის სპეციალისტის, პროფესორ იოსებ არჩვაძის** თქმით, ევროკავშირი მართლაც დიდი და მიმზიდველი ბაზარია, თუმცა დღემდე ამ ბაზარზე საქართველოს შეღწევადობის ხარისხი ძალიან დაბალია. „საქართველოსთვის განსაკუთრებით სუსტი რგოლი ევროკავშირის მიმართულებაა. მაგალითად, 2013 წლის მონაცემებით, უკრაინაში, ჩვენი აგროსამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ევროკავშირის 28 ქვეყანაში ერთად. გასათვალისწინებელია ევროპის ბაზრის სტრუქტურაც. რუსული ბაზრის ჩანაცვლებას ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით. მაგალითად, 2005 წლის შემდეგ ჩვენი ღვინის ექსპორტი დანარჩენ მსოფლიოში 3,2-ჯერ გაიზარდა, მაგრამ რუსეთის ბაზრის ჩანაცვლება მაინც ვერ მოვახერხეთ. მაგალითად, საქართველოს ღვინის ექსპორტი ჩინეთში, რუსეთში მხოლოდ 2006 წლის პირველი ოთხი თვის მანძილზე, ემბარგოს შემოღებამდე გასული პროდუქციის მხოლოდ 10%-ს შეადგენდა.

საქართველოს წინსვლა ევროპისკენ მხოლოდ დეკლარაციის დონეზე დარჩება, თუ ჩვენ არამხოლოდ საქონლის ექსპორტზე, არამედ მომსახურების ექსპორტზეც არ ვიზრუნებთ. კარგი იქნებოდა, აღნიშნული საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება მთავრობასაც გამოეხატა. სხვათა შორის, რამდენიმე სახელმწიფო უწყებაში გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ სამინისტროებს მართალია, ევროკავშირთან აქვთ კონტაქტი, მაგრამ მათ არ აქვთ გაანალიზებული რისკები, დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუ რას მოუტანს ეს ხელშეკრულება ქართულ მხარეს. არადა, დაახლოებით 20-30 მიმართულებაა, დაწყებული ზოგად პოლიტიკური სფეროდან, ეკოლოგიითა და სტატისტიკით დასრულებული და აუცილებელია, შესაბამისი დასკვნის მომზადება თითოეულ მიმართულებაზე, ეს ამ ხელშეკრულებით მიღებულ შედეგსაც, მომეტებულ რისკებსაც და სხვა ფაქტორებსაც გაცილებით გასაგებს გახდის", — **აღნიშნავს ექსპერტი.**

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში მამუკა ჩხეიძე ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს:** „ნებისმიერი სავაჭრო ხელშეკრულება ახალ სავაჭრო პარტნიორთან, მით უფრო, ევროკავშირთან, რომლის ბაზარიც ყველაზე მდიდარია მსოფლიოში, იწვევს ქვეყნის ბაზრის დივერსიფიკაციას, რაც, რასაკვირველია, დადებითი მომენტია, მაგრამ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობიდან, იმ პოლიტიკური პრობლემებიდან გამომდინარე, რაც დღეს რუსეთთან გვაქვს, ქვეყანასთან, რომელთანაც ყველაზე მზარდი საექსპორტო დინამიკა შეინიშნება, თუ ხელისუფლებამ პარალელურად რუსეთთან არ აწარმოებს მოლაპარაკებას ამ საფრთხეების განეიტრალებისთვის, შეიძლება უარესი შედეგიც მივიღოთ".

**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი** ამბობს, რომ, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, თუ რამე პუნქტი ხელშეკრულებაში მიუღებელია, ეს, პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლების არასწორი მუშაობის შედეგია. „რა პროდუქციას ვაწარმოებთ, რომ ევროკავშირის ბაზარზე გავიტანოთ? არაფერი არ გვაქვს, რა შევთავაზოთ ევროკავშირის ბაზარს? კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ. იცით, რომ ხაჭო, არაჟანი, კარაქი რაც დღეს საქართველოში იყიდება, ერთ გრამ რძეს არ შეიცავს, რძის შრატსაც არ შეიცავს?! როდესაც დღეს ვიღაცები საუბრობენ ასი გადამამუშავებული საწარმოს მშენებლობის შესახებ, ესეც ტიპიური სოციალისტური ხაფანგია, მაშინ, როდესაც საბაზისო წარმოება არ გაქვს და ძეხვეულის ქარხანას სთავაზობ მოსახლეობას. უამრავი ასეთი საწარმო გაიხსნა 90-იანი წლების დასაწყისში და დღეს არც ერთი არ ფუნქციონირებს. ჩვენ წარმოების პრობლემა გვაქვს და არა ექსპორტის. ჩვენ საკუთარი ბაზრიდან ქართული პროდუქცია გავდევნეთ."

**მოამზადა შორენა ციჯქარაშვილმა**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამჟამინდელი ხელისუფლება, თითქოს ერაყი და ავღანეთი არ არის საკმარისი, ჩვენს ბიჭებს ახლა ცენტრალურ აფრიკაში გზავნის, სადაც აისაფის მისიით, კაციჭამიებთან ომში უნდა ჩაერთონ. ამით საზარბაზნე ხორცს კიდევ მიამატეს ქართველი ბიჭები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გენოფონდს წარმოადგენენ“**



ბესო დანელია:

# «ნაციონალური მოძრაობის» წევრებმა საქართველოდან 19 მილიარდი ლარი გაიტანეს

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი, ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში ბესო დანელია ქვეყანაში მომდინარე პროცესებზე გვესაუბრება.**

— დროა, ამ ხელისუფლებამაც დაასრულოს ნატოში შესვლის საკითხით სპეკულაცია, რადგან აშშ-ის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში შესვლის არანაირი შანსი არ აქვს. ქართველი ხალხისთვის ის ტყუილებიც საკმარისია, რომლითაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წლების განმავლობაში გვკვება — რომ მაპზე უკეთესი მივიღეთ, რომ მაპი აღარ იყო საჭირო, რადგან ნატოს წესდება შეიცვლებოდა და საქართველო გახდებოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. ხოლო **იმ მუხლზე, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ არ განიხილება ნატოს რიგებში იმ ქვეყნის მიღება, რომელსაც დაკარგული აქვს ტერიტორიები, არავინ ლაპარაკობდა. არადა, ეს ცოტა ხნის წინათ ბარაკ ობამამაც დაადასტურა და ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხი არათუ ამ ეტაპზე, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც არ დგას დღის წესრიგში.** ამიტომ მაინტერესებს, საქართველო, რომელიც აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზეა მსოფლიოს ცხელ წერტილებში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნის მხრივ, კიდევ რატომ გზავნის ქართველ ბიჭებს ცენტრალურ აფრიკაში საომრად? ქართველ ბიჭებს საზარბაზნე ხორცად იყენებენ ნებისმიერი ცხელი წერტილის წინა ხაზზე. **ამჟამინდელი ხელისუფლება კი, თითქოს ერაყი და ავღანეთი არ არის საკმარისი, ჩვენს ბიჭებს ახლა ცენტრალურ აფრიკაში გზავნის, სადაც აისაფის მისიით კაციჭამიებთან ომში უნდა ჩაერთონ. ამით საზარბაზნე ხორცს კიდევ მიამატეს ქართველი ბიჭები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გენოფონდს წარმოადგენენ.** ეს ბიჭები სამშობლოს უნდა ემსახურებოდნენ, რეალურად კი, ამ და წინა ხელისუფლებების მოთხოვნით, სხვის ომში უმოწყალოდ იხოცებიან. არადა, მაგალითად, გერმანიიდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ცხელ წერტილებში სულ რამდენიმე ადამიანს გზავნიან, ისიც — ფორმალურად. ჩნდება შეკითხვა — რატომ იქცევა საქართველოს ხელისუფლება ასე, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ობამას განცხადება ყველასთვის გასაგებია? დროა, „ქართულმა ოცნებამ“ შეწყვიტოს ტყუილები და ნუ დაემსგავსება „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელსაც 9 წლის განმავლობაში ტყუილების რახარუხის მეტს არაფერს აკეთებდა! ობამას განცხადებაზე დღევანდელი მინისტრების კომენტარები კი რეალობას იყო აცდენილი.

**— კონკრეტულად რომელ მინისტრებს გულისხმობთ?**

— ყველაზე ადეკვატური განცხადება პრემიერმინისტრმა გააკეთა, დანარჩენებმა კი — რა გითხრათ, რით გაგახაროთ. **კვლავაც გრძელდება ის პოლიტიკა და რიტორიკა, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ წლების განმავლობაში ეწეოდა. ახალი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ ეყო გამბედაობა, ეთქვა, რომ ნატო საქართველოსთვის ვირტუალური სამყაროა და იქ მოხვედრის შანსი არ გვაქვს.** სხვათა შორის, ობამამ უკრაინის მიმართაც იგივე განაცხადა და აღნიშნა, რომ რუსეთი ყირიმს აღარ დათმობსო. სანქციები კი, რომლებითაც დასავლეთი ემუქრებოდა რუსეთს, სასაცილოა. **დასავლეთი თავის მუქარას ისევე შეასრულებს, როგორც 2008 წელს შეასრულა — აგვისტოს ომის დროსაც წაუყენა რუსეთს მთელი რიგი პირობებისა, მაგრამ ძალიან მალე ხელი დაიბანა, მხოლოდ აღშფოთება გამოხატა, განზე გადგა და საქართველო დარჩა ტერიტორიის 20 პროცენტის გარეშე. ანალოგიურად მოექცევიან უკრაინასაც.**

**— ამჟამინდელ ხელისუფლებას რისთვის სჭირდება ნატოში შესვლით მანიპულირება?**

— გაიხსენეთ პრეზიდენტობა ედუარდ შევარდნაძისა, რომელიც ასევე კარგად იყენებდა ნატოში შესვლის საკითხს. ის ამბობდა, ჯერ გაზსადენს გავიყვან და შემდეგ ნატოსკენ მიმავალი გზა გაგვეხსნებაო. მოგვიანებით სააკაშვილიც იმავეს გაიძახოდა და ასე ცდილობდა ხალხის „დაბოლებას“. ისე, სააკაშვილს ნამდვილად ჰქონდა შანსი, საქართველოს ნაბიჯები გადაედგა ევროინტეგრაციისკენ, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ მოიქცა პირიქით — ნაცვლად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დავახლოებოდით, უფრო დავშორდით. მეტიც — **საქართველოსა და ნატოს შორის იმხელა უფსკრულია, რომ დღეს ნატოში შესვლაზე, მაპის მიღებაზეც კი, აბსურდია საუბარი.**

**— უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე ვისაუბროთ...**

— აღსანიშნავია, რომ კიევის **მაიდანზე, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც პროტესტს გამოხატავდნენ, იდგნენ ნაცისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. რეალურად სწორედ ბანდერელი ნაცისტები მართავდნენ პროცესს და იარაღს აჟღარუნებდნენ.** დასავლეთმა არაერთხელ განაცხადა, რომ უკრაინის რადა სამართლიანად მოიქცა, როცა პრეზიდენტი იანუკოვიჩი პოსტიდან გადააყენა, რეალურად კი იანუკოვიჩის იმპიჩმენტი უკრაინის კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა იყო. უკრაინის კონსტიტუციაში შავით თეთრზე წერია, რომ ქვეყნის პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის დეპუტატების 75 პროცენტის თანხმობაა საჭირო. იანუკოვიჩის იმპიჩმენტს კი მხოლოდ 73 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ანუ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიღეს. ეს ყველაფერი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დასავლეთმა, უხეშად რომ ვთქვათ, გაატარა. რუსეთი კი, რა თქმა უნდა, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს და არც დათმო ყირიმი. ასე რომ მოხდებოდა, ყველამ კარგად იცოდა.

შეუძლებელია, არ გავიხსენო კოსოვოს მაგალითი, როდესაც დასავლეთ ევროპამ და აშშ-მა კოსოვო — სერბეთის ტერიტორია — დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. ამ გადაწყვეტილებას მხარი ესპანეთმა არ დაუჭირა და განაცხადა: დღეს კოსოვოს დამოუკიდებლობა რომ ვაღიარო, ხვალ რა ვუთხრა კატალონიელებს, ბასკებს, რომლებიც ასევე ითხოვენ დამოუკიდებლობასო. და დღეს, როდესაც ამერიკა და ევროპა რუსეთს აფხაზეთსა და ყირიმში მის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე სთხოვენ პასუხს, რუსეთს მოჰყავს კოსოვოს მაგალითი, რომლის დამოუკიდებლობას თავის დროზე რუსეთიც ეწინააღმდეგებოდა. ასე რომ, **მართალი თქვა ობამამ, რუსეთი ყირიმს არასდროს დათმობს, ხოლო ამერიკა საქართველოს და უკრაინის გამო რუსეთთან ომს არ დაიწყებს.**

დღეს ისიც ცხადად გამოჩნდა, რომ უკრაინულ შავ ძალებს დასავლეთი უხვად აფინანსებდა, იანუკოვიჩისთვის რევოლუცია რომ მოეწყოთ, და მოუწყვეს კიდეც, რის გამოც უკრაინაში სავალალო მდგომარეობაა. უკრაინაში სწორედ ისეთი ვითარებაა, როგორიც საქართველომ 1990-იან წლებში გამოიარა. კიევის ქუჩებში შეიარაღებული პირები მაროდიორობენ, მაღაზიებში პროდუქტებზე რიგები დგას, ეკონომიკა უკან მიდის ა. შ. და როდესაც დღევანდელ უკრაინასა და 2003 წლის საქართველოს ადარებენ, არასწორია, რადგან დღევანდელი უკრაინა 1990-იანი წლების საქართველოს უფრო ჰგავს.

**— უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებზე რას ფიქრობთ?**

— უკრაინელ ხალხს შევახსენებ, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში დავკარგეთ საკმაოდ დიდი ტერიტორია, სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა საქართველო უფსკრულის პირას მიიყვანეს და დღეს უკრაინაში სააკაშვილის სირბილი მათ ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. **სააკაშვილს უკრაინა არ აინტერესებს, მისი მთავარი ამოცანაა, ქართველებს რუსეთი მტრის ხატად წარმოუჩინოს და თქვას, ნახეთ, ამდენ მილიონიან უკრაინას რას უშვრება პუტინი და ჩვენ რას გვიზამდაო. სააკაშვილი უკრაინაში სირბილით 2008 წლის ომის გამართლებას ცდილობს.**

**— მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბარა, თუმცა...**

— ამ ხელისუფლების ქმედება ძალიან ჰგავს „ნაცმოძრაობის“ ქმედებებს, თუნდაც წინასაარჩევნოდ მძაფრი საკითხების წამოწევით. თითქმის 2 წელია, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება, მის წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარება გაცილებით ადრე შეეძლო. თუ ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობა არ აღდგება, თუ „ნაციონალების“ მიერ ამ 9 წელიწადში ჩადენილ ყველა დანაშაულს არ გამოიძიებენ და თუ ადამიანებს არ დაუბრუნდებათ წართმეული ქონება, საქართველო სახელმწიფოდ ვერ შედგება. **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ქვეყნიდან 19 მილიარდი ლარი გაიტანეს, ეს ფული კვლავ მათ ხელშია და, დღეს რომ საუბრობენ თბილისში მაიდნის მოწყობზე, სააკაშვილი რომ ამბობს, საქართველოში მხოლოდ ქვეყნის გასათავისუფლებლად ჩამოვალო, ამ სიტყვების არასერიოზულად მიღება არ შეიძლება, რადგან ის ყველაფერზეა წამსვლელი.**

სააკაშვილს, ამჟამინდელი ხელისუფლების უუნარობისა და არაკომპეტენტურობის წყალობით, დღესაც აქვს სიტუაციაზე ზემოქმედების ბერკეტები. ამჟამინდელ ხელისუფლებას ერთი რამ ავიწყდება: ვიდრე ქვეყანაში არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობაც!

ნინო ბურჯანაძე ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ამბობდა, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება დიალოგის გზით, დიპლომატიური ძალისხმევით უნდა მოხდესო, რასაც დღეს ახალი ხელისუფლება ვითომ ცდილობს. არადა, იმხანად ბურჯანაძე ლამის მოღალატედ და რუსეთუმედ გამოაცხადეს. **დღეს, მართალია, რუსეთის მიმართ ტონი შერბილდა და აღარ გაისმის მარაზმატული გამონათქვამები პუტინის მისამართით, როგორც ამას წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა, მაგრამ ამჟამინდელი ხელისუფლების ნაბიჯებიც არ არის ქმედითი.**

ყველას ავიწყდება, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი ტერიტორიული მთლიანობაა. რა თქმა უნდა, კარგია, ღვინო, „ბორჯომი“ და ციტრუსი რომ გაიყიდება რუსეთის ბაზარზე, მაგრამ ამით ვერ გადაწყდება ის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. ამიტომ, პირველ რიგში, ყველაფერს თავი უნდა დავანებოთ და დავიწყოთ ურთიერთობის მოგვარება მეზობელთან. ეს ქვეყანა მოგვწონს თუ არა, ამის გაკეთება გარდაუვალია, ამიტომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებები. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, მერე რა მოხდა, თუ რუსებმა მავთულხლართები კიდევ გადმოსწიესო. მარგველაშვილისთვის შეიძლება არაფერი მოხდა, რადგან მთაწმინდაზე ცხოვრობს და ფეხით ჩაირბენს სამსახურში, მაგრამ რა ჰქნას ათიათასობით ქართველმა, რომლებიც იძულებულნი შეიქნენ, მშობლიური კერა მიეტოვებინათ?! ისე, სიმართლე გითხრათ, არც მაქვს იმედი, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ამ ყველაფერს მოაგვარებს. საერთოდ კი, დროა, ერი გამოფხიზლდეს და თვალი გაუსწოროს რეალობას, რომლის წინაშეც ვდგავართ.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«ამჟამინდელი ხელისუფლების უუნარობისა და არაკომპეტენტურობის წყალობით, სააკაშვილს დღესაც აქვს სიტუაციაზე ზემოქმედების ბერკეტები»**

**«ახალი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ ეყო გამბედაობა, ეთქვა, რომ ნატო საქართველოსთვის ვირტუალური სამყაროა და იქ მოხვედრის შანსი არ გვაქვს»**

**«დღეს რომ საუბრობენ თბილისში მაიდნის მოწყობაზე, სააკაშვილი რომ ამბობს, საქართველოში მხოლოდ ქვეყნის გასათავისუფლებლად ჩამოვალო, ამ სიტყვების არასერიოზულად მიღება არ შეიძლება, რადგან ის ყველაფერზე წამსვლელია»**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### 10. ბრაზილია.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,69.

რეგულარულ არმიაში მსახურობს 371 ათასი კაცი, გასამხადროებულ ორგანიზაციებში - 385 ათასი. **1000 კაცზე მოდის 1,55 სამხედრო მოსამსახურე**. თავდაცვის **ბიუჯეტი** შეადგენს 31,5 მლრდ დოლარს.

**შეიარაღებულია** 822 საფრენი აპარატითა და 106 საზღვაო ხომალდით.



# 10 უმძლავრესი არმია

**სამყარო იდეალური რომ იყოს, არანაირი არმია და იარაღი არ იქნებოდა საჭირო და არც ომები გაჩაღდებოდა. მაგრამ რეალობა ისეთია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში წარმოქმნილი საფრთხეები ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაციონალურ უსაფრთხოებას ემუქრება და, აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფობს აიძულებს, ცოცხალი ძალისა და შეიარაღებით მძლავრი არმიები შექმნან.**

**აი როგორ გამოიყურება მსოფლიოს უმძლავრესი არმიების სია, რომელიც ორგანიზაცია Global Firepoiwer-ის სპეციალისტებმა შეადგინეს საომარი სიმძლავრის ინდექსის გამოთვლის მეთოდით:**



### 1. აშშ.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,24.

ამერიკის შეერთებული შტატების არმია 1775 წელს შეიქმნა. დღეს ამ ქვეყნის რეგულარულ ჯარებში მსახურობს **1,4 მლნ კაცი**. გასამხედროებულ ორგანიზაციებში — 53 ათასი. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 4,7 სამხედრო მოსამსახურე.** აშშ-ის თავდაცვის ყოველწლიური **ბიუჯეტი** შეადგენს 689 მილიარდ დოლარს.

**შეიარაღება:** 8325 ტანკი; 18,5 ათასი ჯავშნიანი მანქანა: 1934 თვითმავალი იარაღი; 290 საზღვაო ხომალდი და 15,2 ათასი თვითმფრინავი. აქვს 6350 ატომური რაკეტა.



### 4. ინდოეთი.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,43.

ინდოეთი მსოფლიოში იარაღის ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი და მიმწოდებელია. რეგულარულ არმიაში მსახურობს **1,3 მლიონი** კაცი, გასამხედროებულ ორგანიზაციებში — 1,2 მლნ. ყოველ**1000 კაცზე მოდის 1,2 სამხედრო** მოსამსახურე.

**ბიუჯეტი** — 44 მლრდ დოლარი წელიწადში.

**შეიარაღება**: 1962 საფრენი აპარატი; 170 სამხედრო-საზღვაო ხომალდი და 80 ატომური რაკეტა.



### 7. გერმანია.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,64.

გერმანიის რეგულარულ არმიაში **200,7 ათასი** კაცი მსახურობს, გასამხედროებულ ორგანიზაციებში — 40 ათასი. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 3,45 სამხედრო მოსამსახურე.**

**სამხედრო ბიუჯეტი**: 43 მლრდ დოლარი.

**შეიარაღება**: 925 საფრენი აპარატი და 67 საზღვაო ხომალდი.



### 2. რუსეთი.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,26.

რუსეთის ფედერაციის რეგულარულ არმიაში **1,3 მილიონი** ადამიანი მსახურობს. სარეზერვო ჯარებში მომსახურეთა რიცხვი შეადგენს 2 მლნ კაცს, გასამხედროებულ ორგანიზაციებში კი 3,6 მლნ კაცი მსახურობს. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 7,4 სამხედრო მოსამსახურე.**

**ბიუჯეტი** — ყოველწლიურად 64 მილიარდი დოლარი. **შეიარაღებაში აქვს**: 3 ათასი ტანკი; 10.7 ათასი ჯავშანმანქანა; 2645 თვითმავალი ქვემეხი; 224 საზღვაო ხომალდი და 4498 თვითმფრინავი. რუსეთს მსოფლიოში ყველაზე მეტი — 8570 ერთეული — ბირთვული რაკეტა და მათ გასაშვებად საჭირო სისტემა აქვს.



### 5. დიდი ბრიტანეთი.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,51.

დიდი ბრიტანეთის რეგულარულ არმიაში მსახურობს **224 ათასი** კაცი. ყოველ **ათას კაცზე მოდის 3,1 სამხედრო მოსამსახურე.** თავდაცვის **ბიუჯეტი** შეადგენს 57,8 მლრდ დოლარს.

**შეიარაღებულია** 1412 საფრენი აპარატით, 77 საზღვაო ხომალდითა და 225 ატომური რაკეტით.



### 8. სამხრეთ კორეა.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,65.

აქტიური სამხედრო პერსონალის რიცხვი შეადგენს **653 ათასს.** გასამხედროებულ ორგანიზაციებში მსახურობს 22 ათასი კაცი. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 14,2 სამხედრო მოსამსახურე.**

**თავდაცვის ბიუჯეტი** შეადგენს 28 მლრდ დოლარს.

**შეიარაღება:** 871 საფრენი აპარატი და 190 საზღვაო ხომალდი.



### 3. ჩინეთი.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,33.

გასაკვირი არ არის, რომ არმიაში მომსახურეთა რიცხვის მიხედვით მსოფლიოში პირველი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა. ჩინთის სახალხო-განმანთავისუფლებელი არმია 1927 წელს შეიქმნა. მისი შემადგენლობის ძირითად ნაწილს შეადგენს 18-დან 49 წლის მოქალაქეები. არმიაში მსახურობს **2,3 მილიონი** ადამიანი. გასამხედროებული ორგანიზაციები — 3,9 მლნ. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 1,7 სამხედრო მოსამსახურე.**

**ბიუჯეტი** — ყოველწლიურად 129 მილიარდი დოლარი.

**შეიარაღება:** 8500 ტანკი; 54 საზღვაო ხომალდი და 4 ათასი თვითმფრინავი. ომის შემთხვევაში შეუძლია 200 მლნ ადამიანის მობილიზება. აქვს **200-ზე მეტი ატომური რაკეტა.**



### 6. საფრანგეთი.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,61.

საფრანგეთის რეგულარულ არმიაში **362,4 ათასი** სამხედრო მსახურობს, 410, 101 ათასი — გასამხედროებულ ორგანიზაციებში. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 4,27 სამხედრო მოსამსახურე.**

შეიარაღებულია 544 საფრენი აპარატით, 180 საზღვაო ხომალდითა და 300-მდე ბირთვული რეკეტით.



### 9. იტალია.
### საომარი სიმძლავრის ინდექსი — 0,68

რეგულარულ არმიაში მსახურობს **293 ათასი** კაცი. გასამხედროებულ ორგანიზაციებში — 238 ათასი. **ყოველ 1000 კაცზე მოდის 3,42 სამხედრო მოსამსახურე.**

**სამხედრო ბიუჯეტი** შეადგენს 31 მლრდ დოლარს.

**შეიარაღება:** 770 საფრენი აპარატი და 179 საზღვაო ხომალდი.

*** საომარი სიმძლავრის ინდექსი — ეს არის 40 სხვადასხვა პარამეტრისგან შედგენილი მაჩვენებელი, რომელშიც გათვალისწინებულია საფრენი აპარატებისა და საზღვაო ხომალდების რაოდენობა, სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი, შრომითი რეზერვები და ა.შ. რაც უფრო მცირეა საომარი სიმძლავრის ინდექსი, მით მეტია არმიის ბრძოლისუნარიანობა. ამ ინდექსში გათვალისწინებული არ არის ატომური რაკეტების რიცხვი.**

**ატომური რაკეტები აქვს შემდეგ ქვეყნებს: რუსეთს; აშშ-ს; დიდ ბრიტანეთს; საფრანგეთს; ჩინეთს; ინდოეთს; პაკისტანს; კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას (ჩრდ. კორეა) და, სავარაუდოდ, ისრაელს.**

კონფერენცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი დიდი ბაბუების, ბაბუების და მამების ასეთი მემკვიდრეობა, მათი საერთო გმირული წარსული — უზარმაზარი ფასეულობაა. ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება — არ გავფანტოთ, არ დავკარგოთ, შევინარჩუნოთ ის! ისტორიული წარსულისადმი პატივისცემა ეროვნული სიამაყის გრძნობას აყალიბებს, გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს არა მარტო გამარჯვების დღეებში, არამედ დანაკარგებისა და დამარცხების მომენტებშიც.“**

# ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება

**თბილისში გაიმართა მრგვალი მაგიდა «ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი»**

**2014 წლის 31 მარტს, თბილისში, სასტუმრო BETSYS HOTEL-ის საკონფერენციო დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია “ისტორიულმა მემკვიდრეობამ” მრგვალი მაგიდა გამართა სახელწოდებით „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინის და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი და რუსი ექსპერტები — ცნობილი მეცნიერები, პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები, არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, პუბლიცისტები და ჟურნალისტები.**



მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლებისთვის ბრძოლების მონაწილეები **შოთა ბუაძე, ნიკოლოზ ჩარაშვილი, ტარას იჩქიტიძე** და **მოსე მდინარაძე,** რომელთა მოგონებებმა ყველა დამსწრე ძალიან აალელვა.

მთავარი მომხსენებლები დანარჩენი მონაწილეებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე წარდგნენ მოხსენებებით, რომლებიც მრგვალი მაგიდის ზემოხსენებულ თემას ეხებოდა:

**1. ოქსანა სოლოპოვა, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სწავლული მდივანი, დოცენტი: „ფაშიზმის წინააღმდეგობის ფორმების ეროვნული და რეგიონული თავისებურებები ბელორუსიაში“;**

**2. ფიოდორ გაიდა, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი: „ეკლესიის ფაქტორი იდეოლოგიურ ცვლილებებში დიდი სამამულო ომის დროს“;**

**3. გრიგოლ ონიანი,** **საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარე: „უმაღლესი მთავარსარდალი, როგორც დიადი გამარჯვების შემოქმედი“;**

**4. დარეჯან ანდრიაძე,** ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი: „ქართული პრესა უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების შესახებ“;

**5. ვილჰელმ მახარაძე, საქართველოს სახალხო-პატრიოტული კავშირის თავმჯდომარე: „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“;**

**6. ნანა დევდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი: „დიდი სამამულო ომის ისტორიის გადაწერის მცდელობა, შედეგები, შეფასებები“;**

**7. თამარ კიკნაძე,** **კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარე: „დიდი სამამულო ომი და ისტორიული მეხსიერება“;**

**8. ვალერიან დოლიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი: „დიდი სამამულო ომი, როგორც თანამედროვე პოლიტიკის შემეცნების წყარო“;**

**9. არნო ხიდირბეგიშვილი, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი: „ფაშიზმის რესტავრაცია, როგორც დასავლეთის მიზანმიმართული პროვოკაციული პოლიტიკის შედეგი“;**

**10. დავით ფურცხვანიძე, უსაფრთხოების პრობლემების ანტიკრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი: „ფაშიზმის შედეგები და თანამედროვე საფრთხეები“;**

**11. ირაკლი უბილავა, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ ხელმძღვანელი: „დიდი სამამულო ომი და რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის მნიშვნელობა“;**

**12. ვიტალი ქარჩავა,** „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი“: „დიდი სამამულო ომი — სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე“.

მრგვალ მაგიდას „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი“ უძღვებოდა ღონისძიების ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი

**ტარიელ გაგნიძე**, **რომელმაც საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ კორესპონდენტ ნატა წერეთელთან საუბარში აღნიშნა:** „დღევანდელი ღონისძიება ვეტერანთა კავშირთან ერთად დავგეგმეთ და იგი დიდ სამამულო ომში უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავს ეძღვნება. მსგავსი ღონისძიებები ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ტარდება, მათ შორის — ჩვენთანაც. დასკვნითი შეხვედრა აპრილში კურსკში გაიმართება, სადაც სტუმრები საქართველოდანაც იქნებიან მიწვეულნი. მრგვალ მაგიდაზე გავიხსენეთ ომისდროინდელი პერიპეტიები და რას ნიშნავდა იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის, მათ შორის ქართველებისთვის.

გარდა ამისა, დღეს განვიხილეთ უკრაინაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენები, რომლებიც შეიძლება ფაშიზმის აღორძინების მცდელობად ჩაითვალოს. უკრაინელი ხალხი 70 წლის წინ იმისთვის არ სწირავდა სიცოცხლეს, რომ 21-ე საუკუნეში იგივე განმეორებულიყო.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ ტიპის ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა ჩვენი ისტორიული მეხსიერება არ დაიკარგოს და დღევანდელი ინფორმაციული ვაკუუმის ფონზე ძველსა და ახალ თაობასაც შევახსენოთ და გავაგებინოთ, თუ რისთვის იყო ეს ომი, რას ნიშნავდა იგი კონკრეტულად ქართველებისთვის და საერთოდ, საბჭოთა კავშირის ხალხებისთვის. **ჩვენ, ყველანი ვალდებულნი ვართ, პატივი მივაგოთ ჩვენს გმირებს, რომლებმაც სისხლი დაღვარეს დიდ სამამულო ომში, რათა ჩვენთვის მომავალი, მშვიდობა, კეთილი ცხოვრება, სამშობლო და ქვეყანა შეენარჩუნებინათ“.**

მრგვალი მაგიდის გახსნაზე მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა

**რევაზ ნაცარიშვილმა,** რომელმაც აღნიშნული ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „მეორე მსოფლიო ომში ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღეს საქართველომ, უკრაინამ და ბელორუსიამ. ცხადია, ამ თემაზე კონფერენციის გამართვა ძალიან მნიშვნელოვანია, ეს, პირველ რიგში, იმ გმირების უკვდავსაყოფად ხდება, რომლებმაც თავი გაწირეს ფაშიზმთან ბრძოლაში, იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყნებში ყოფილიყო მშვიდობა.

დღეს მსოფლიო გლობალიზაციის საკითხი დგას, რომელიც ყველა ქვეყანას განადგურებით ემუქრება. ვფიქრობ, რომ **უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებშიც სწორედ გლობალისტების ხელი ურევია, თუმცა დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მათი ეს მცდელობა მარცხით დამთავრდება, რადგან ხალხმა იცის, რა საშინელებაა ფაშიზმი და მას 21-ე საუკუნეში ფესვების გადგმის საშუალებას არ მისცემს. დღეს უკრაინის ხელისუფლებაში მოსული ძალები თანამედროვე ფაშისტები არიან, რომელთაც ერთგვარი რევანში უნდათ და იმედია, უკრაინელი ხალხი მათ მოღვაწეობას ადეკვატურად შეაფასებს“.**

**ოქსანა სოლოპოვამ** თავის მოხსენებაში უამრავი ქართველი გმირი (კონკრეტული სახელებით და გვარებით) გაიხსენა და ფაშიზმთან ბრძოლაში მიღწეულ საერთო გამარჯვებაში მათ პირად დამსახურებებზე ვრცლად ილაპარაკა. ქალბატონმა ოქსანამ „საქინფორმთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ იმ გმირულ წარსულს, რომელიც ჩვენმა მებრძოლებმა დაგვიტოვეს, გაფრთხილება სჭირდება: „მსგავსი ღონისძიების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძალიან ძნელია ერთი მარტივი მიზეზის გამო: ჩვენ საერთო ისტორია გვაქვს. ჩვენი მამები, ბაბუები და დიდი ბაბუები, რომლებმაც თავის დროზე მორალური არჩევანი გააკეთეს და საკუთარი სიცოცხლე რეალურად შესწირეს, ახლაც ცოცხლები არიან, ჩვენ გვერდით არიან და უნდა ვაჩვენოთ მათ, რომ ფაშიზმთან ბრძოლაში მათი მონაპოვარი გვახსოვს და ვიცავთ, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. დღეს ჩვენ სხვადასხვა სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაგრამ განა ბევრ სახელმწიფოს შეუძლია ასეთი საერთო ისტორიით, ასეთი სიმდიდრით იტრაბახოს? ის, რომ დღეს შეგვიძლია რაღაც ნიუანსები დავივიწყოთ და ვთქვათ, რომ გვახსოვს ჩვენი ნათესაობა — იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს საზოგადოებებში მოქალაქეობრივი პოზიცია მომწიფდა და ადამიანები მიხვდნენ — სად არის აბსოლუტური ფასეულობა, სად — ამწუთიერი გეოპოლიტიკური სარგებელი, სად — უბრალოდ, ადამიანური წესიერება და ისტორიული არჩევანის წინაშე პასუხისმგებლობა. ამიტომ ამგვარი ღონისძიებები მხოლოდ ჰუმანიტარულ საზოგადოებას კი არ აერთიანებს, მათ მაღალი მნიშვნელობის მორალური ხასიათიც აქვს.

მე ეროვნებით ბელორუსი ვარ და ის მოვლენები, რომლებიც ბელორუსიაში, რუსეთში, უკრაინასა და საქართველოში აღინიშნება, პირადი ხასიათის მოვლენებიც არის. და რადგან ბედმა ქართულ მიწაზე მომიყვანა, მე, როგორც ისტორიკოსმა, სიტუაციით ვისარგებლე და მოვამზადე მოხსენება იმ ქართველებზე, რომლებიც ბელორუსიის მიწის გათავისუფლებაში მონაწილეობდნენ. ეს გვარები და სახელები ბელორუსიაში ახსოვთ და პატივს მიაგებენ, მათი სახელობის ქუჩები არსებობს, ალბათ, სწორედ ეს არის იმ კავშირის მაჩვენებელი, რომლის დარღვევა შეუძლებელია. ამიტომ მინდა, უბრალოდ, მოგიყვეთ ამ ადამიანებზე, მათ გმირობაზე, იმაზე, რატომ გახდნენ ისინი ომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირები.

რა თქმა უნდა, ეს მათი საერთო გამარჯვება იყო და ისინი ერთი სამშობლოსთვის იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. **ჩვენი დიდი ბაბუების, ბაბუების და მამების ასეთი მემკვიდრეობა, მათი საერთო გმირული წარსული — უზარმაზარი ფასეულობაა. ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება — არ გავფანტოთ, არ დავკარგოთ, შევინარჩუნოთ ის! ისტორიული წარსულისადმი პატივისცემა ეროვნული სიამაყის გრძნობას აყალიბებს, გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს არა მარტო გამარჯვების დღეებში, არამედ დანაკარგებისა და დამარცხების მომენტებშიც.**

სწორედ ამიტომ ისტორიული მეხსიერება ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი სა-





# უკრაინისათვის ამ მძიმე წუთს ჩვენ თანავუგრძნობთ დიდი სამამულო ომის უკრაინელ ვეტერანებს და სოლიდარობას გიცხადებთ. ხანდაზმული წლების მიუხედავად, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით და ვიქნებით — ამას გვავალდებულებს მათი ხსოვნა, ვინც ცოცხალი აღარ არის, აგრეთვე, ჩვენი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მომავალი, რომელშიც ფაშიზმის ადგილი არ უნდა იყოს!

## კონფერენცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფუძველია და გამოიხატება ხალხის მიერ თავისი ისტორიისა და თავისი გმირების ცოდნაში, საკუთარი ქვეყნის წარსულის სწორად აღქმაში, ეროვნული ტრადიციების და ზნეობრივი საფუძვლების დაცვაში. ამიტომ დიდი სამამულო ომის თემა არა მარტო გუშინდელი დღის, არამედ მომავლის საქმეც არის. და ჩვენ — ბელორუსებს, ქართველებს, რუსებს — საერთო გმირები გვყავს! ჩვენმა დიდმა ბაბუებმა და ბაბუებმა მძიმე წუთებში საკუთარი თავისა და ჩვენთვის, თანამედროვეებისთვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღეს, საკუთარი თავი არ დაინდეს და გაიმარჯვეს! შესაძლოა, დღეს ჩვენი ჯერია...".

**ფიოდორ გაიდამ** თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ღონისძიების თემა უაღრესად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ თბილისში, საქართველოში ვიმყოფებით. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთ — საქართველოს ურთიერთობის უახლესი ისტორია რთულია, მაგრამ ის, რომ ჩვენს გმირულ წარსულს ვიხსენებთ, რომელიც გვანათესავებს — ძალიან კარგია, და სწორედ ამ წარსულში ვიპოვით ყლორტებს ჩვენი საერთო მომავლისათვის. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ძმები ვართ, ამიტომ უფრო მნიშვნელოვან თემას ძნელად თუ ვიპოვიდით.

ჩემი მოხსენება ეხება ეკლესიის როლს 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის მოვლენებში და როგორ გააერთიანა მან საბჭოთა კავშირის ყველა მართლმადიდებელი ხალხი — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები; რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებს სულის მხნეობა შეენარჩუნებინათ და არ დემორალიზებულიყვნენ იმ საშინელ პირობებში, რომლებშიც აღმოჩნდნენ.

მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, სიტუაცია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებით ისეთი იყო, რომ მან, როგორც ორგანიზაციულმა სტრუქტურამ, უბრალოდ, არსებობა შეწყვიტა, დაიკეტა თითქმის ყველა ტაძარი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც, დარჩენილი იყო 400-ზე ნაკლები მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი და არცერთი მონასტერი. თუმცა 1939-ში დასავლეთის საზღვრებზე ახალი ტერიტორიები შემოვიერთეთ და სიტუაცია შეიცვალა, რადგან იქ ბევრი მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარი იყო, მაგრამ 1941 წელს ყველა ეს ტერიტორია მაშინვე ოკუპირებული აღმოჩნდა.

ეკლესიამ, რომელიც იქ იმყოფებოდა, არ დაკარგა კავშირი რუსეთის ეკლესიასთან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, და თუმცა ისინი ფრონტის ხაზის სხვადასხვა მხარეს იმყოფებოდნენ, სულიერი ერთობა შენარჩუნებული იქნა. ამის შესახებ საბჭოთა ხელმძღვანელობამ იცოდა და სწორედ იმის შედეგად, რომ ეკლესია ომში ჩართულ საბჭოთა კავშირსა და ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის დამაკავშირებელი ძალა იყო, მთავრობა დათმობაზე წავიდა და საბჭოთა იდეოლოგიის ისე შეცვლა დაიწყო, რომ ის უკვე ისტორიულ წარსულს და ეკლესიას ეფუძნებოდა. აღორძინება დაიწყო ტრადიციებმა, რომლებიც საერთო იყო როგორც რუსების, ისე უკრაინელების, ბელორუსების და ქართველებისთვის. გაჩნდა ახალი ორდენები და დაიწყეს 1912 წლის სამამულო ომის დროინდელი მხედართმთავრების სახელების განდიდება, მათ შორის — ბაგრატიონის. ბელორუსიის გათავისუფლების ოპერაციას „ბაგრატიონი" ერქვა, თუმცა 1941 წლამდე ასეთი რამის წარმოდგენა რთული იყო. შედეგად, **1943 წლის თეირანის კონფერენციის წინ, რუსულ ეკლესიას ნება დართეს, ახალი პატრიარქი აერჩიათ, რომელიც 1925 წლიდან არ ყოფილა. დაიწყო სასულიერო განათლების აღდგენა, მასობრივად იხსნებოდა ტაძრები და მონასტრები. ცვლილებები მოხდა არმიაშიც, მაგალითად — ფორმა შეცვალეს, რადგან შეტევაზე გადასული არმია გარეგნულად პრინციპულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო იმ არმიისგან, რომელიც 1941-ში ფრონტზე მიდიოდა.**

1943 წელს აღდგენილ პატრიარქს ახალი ტიტული მიენიჭა — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის (ᲕᲧᲔᲫ ᲞᲣᲧᲛ), ნაცვლად 1925 წლამდე მოქმედი ტიტულისა — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის (ᲕᲧᲔᲫ ᲞᲠᲧᲧᲛᲛ). რუსეთი (ᲞᲠᲧᲧᲛᲤ) 15 რესპუბლიკიდან ერთ-ერთი იყო, ხოლო „ᲞᲣᲧᲢ" აღნიშნავდა საბჭოთა კავშირის მთელ მართლმადიდებელ სივრცეს (საქართველოს გარდა, საქართველოში საკუთარი ეკლესია იყო). ამავე დროს მოხდა რუსეთის და საქართველოს ეკლესიების შერიგება, აღდგა 1917 წელს გაწყვეტილი ურთიერთობა.

საინტერესოა ისიც, რომ **პატრიარქისთვის ახალი ტიტულის მინიჭებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დამტკიცდა სსრკ-ის ახალი ჰიმნის ტექსტი სიტყვით „ᲞᲣᲧᲢ". ჰიმნის ავტორის — სერგეი მიხალკოვის მოგონებების მიხედვით, სწორედ ამ სიტყვამ მიიქცია სტალინის ყურადღება და სწორედ ეს ტექსტი გახდა სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი. ამგვარად, ის, რაც ეკლესიას უკავშირდებოდა, სახელმწიფო იდეოლოგიაში აღწევდა. ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ეკლესიის აქტიური როლი მოვლენებში, დაწყებული 1941 წლიდან".**

**არნო ხიდირბეგიშვილმა** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ „სსრკ-ის დაშლის შემდეგ განადგურებულმა ერთიანმა რუსულენოვანმა საინფორმაციო სივრცემ, განადგურებულმა ფასეულობათა ერთიანმა სისტემამ, საშუალო და უმაღლესი განათლების განადგურებულმა ერთიანმა სისტემამ, ახალმა, რეფორმირებულმა, ბრჭყალებში, ისტორიის სახელმძღვანელოებმა, რომლებშიც ყველაფერი თითქმის საპირისპიროდაა გაყალბებული, და, როგორც შედეგი, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ვნებიანმა ევროატლანტიკურმა მოძრაობებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ საბჭოთა ხალხის ფაშიზმზე გამარჯვება, დიდ სამამულო ომში დიდი გამარჯვება და, კერძოდ, უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლება დღეს საიმედოდ არის დაარქივებული.

საზოგადოებაში საგანგებოდ ჩამოაყალიბეს ისეთი სტერეოტიპი, სადაც ეს ყველაფერი წარმოდგენილია ვირტუალურ და დიდი ხნის წინანდელ, არანამდვილ, კომპიუტერულ ომობანას თამაშად, ხოლო ჩვენი ძვირფასი ვეტერანები — ისტორიული მუზეუმის ცოცხალ ექსპონატებად, ერთგვარ ძველი კინობოევიკების გმირებად. საკითხი წარმატებით იქნა გადატანილი სხვა მენტალურ სიბრტყეში, მაგალითად, საქართველოში ახალგაზრდა თაობის უმრავლესობა ვეტერანებს უკვე არა პატივისცემით, არამედ სიბრალულით უყურებს. აქაოდა, თქვენ, ბაბუებო და ბებიებო, სულელები და გულუბრყვილოები ხართ, ცდებოდით და საბჭოთა კომუნისტური პროპაგანდისტული მანქანის მიერ მოტყუებული აღმოჩნდით. თქვენ სისხლს სხვის ომში, სხვისი ინტერესებისთვის ღვრიდით. აი, ასე ზრდიან ჩვენთან ახალგაზრდობას, რომელსაც ჩააგონეს, რომ აი, ერაყსა და ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები საქართველოსთვის ღვრიან სისხლს.

ეს ბუნებრივია, **როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკა აგებულია საკუთარი წარსულის უარყოფაზე, რომლითაც კი არ უნდა იამაყო, არამედ უნდა გრცხვენოდეს, ხოლო საქართველოს ისტორია ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად „სუფთა ფურცლიდან" იწერება, როდესაც ცოტა ვინმე თუ გარისკავს, საჯაროდ უარყოს საქართველოში „ცეერუს" მრჩევლების მიერ ეროვნული ქართული ელიტის** (გამყიდველი პოლიტისტებლიშმენტის და პოლიტიკური მეძავის — ინტელიგენციის) **დახმარებით დანერგილი სტანდარტი, რომ სსრკ ხალხების ციხე იყო, სტალინი — სისხლიანი ჯალათი, ხოლო რუსეთი — ისტორიული დამმონებელი, ოკუპანტი და აგრესორი, რომელთან ერთადაც მის მიერ დამონებული ევროსაქართველო მხოლოდ გაუგებრობის გამო იყო 2 საუკუნის განმავლობაში..."**

**დავით ფურცხვანიძემ** შენიშნა, რომ „არ მოხერხდა ამ გამარჯვების განმტკიცება და დღეს გვიწევს ისევ და ისევ დავუპირისპირდეთ ფაშიზმისა და ექსტრემიზმის ტრანსფორმირებულ გამოვლინებებს. საქართველოში რეჟიმის შეცვლამ 2012 წლის ოქტომბერში მხოლოდ დროებით გადასწია უკანა პლანზე პრობლემა, რომელმაც უკვე ახალი ძალით და სრულიად ახალი სახით იჩინა თავი. თითქმის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა უკრაინაშიც, სადაც მისი გადაჭრის საუკეთესო საშუალება შესაძლოა „ბელგიური გადაწყვეტა" აღმოჩნდეს, ანუ უკრაინის საერთაშორისო დონეზე გარანტირებული ნეიტრალიტეტი. **უკრაინაში რელიგიურ ექსტრემიზმს სეპარატისტული ხასიათი აქვს და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ჯიბრზე შექმნილი არაღიარებული ე.წ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის თვითგამოცხადების შემდეგ ორგანიზებული სახე მიიღო. ასეთივე სცენარის განვითარების ხელშეწყობის ტენდენცია ჩანს საქართველოშიც, სადაც პატრიარქი ილია მეორის წინააღმდეგ მობილიზებულია გარკვეული გარეშე და შიდასაეკლესიო ძალები.**

ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოში კრიმინალიტეტის რეანიმაციის და უკრაინაში მისი წახალისების მცდელობა, ქართველმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა ხომ მათი მასობრივი განდევნის შემდეგ ნაყოფიერი ნიადაგი უკრაინაში იპოვეს".

**დასასრულს მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს დიდი სამამულო ომის ქართველ ვეტერანთა მიმართვა უკრაინელ ვეტერანებს:**

დიდი სამამულო ომის ქართველ ვეტერანთა — მრგვალი მაგიდის „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინის და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი" მონაწილეთა მიმართვა უკრაინელ ვეტერანებს:

ძვირფასო უკრაინელო ძმებო!

ჩვენ, დიდი სამამულო ომის ვეტერანები საქართველოდან — კონფერენციის „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება. ფაშისტი დამპყრობლებისგან უკრაინის და ბელორუსიის გათავისუფლების 70 წლისთავი" მონაწილეები უკიდურეს აღშფოთებას გამოვხატავთ იმ შეუწყნარებელი ფაქტის გამო, რომ უკრაინაში ხელისუფლებაში ნეოფაშისტური ძალები მოვიდნენ.

70 წლის წინ ჩვენ, რომლებიც ყველა ერთად ვღვრიდით სისხლს ფაშისტური უწმინდურებისგან უკრაინის გათავისუფლებისთვის, ვერც კი ვივარაუდებდით, რომ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ბანდერასა და შუხევიჩის საქმის გამგრძელებლებთან ბრძოლა მოუწევდათ, რომ წაიბილწებოდა ჩვენი თანაპოლკელების საფლავები და შეიბღალებოდა ჩვენი გმირების ძეგლები.

რუსები, უკრაინელები, ქართველები, ყოფილი სსრკ-ის ყველა ხალხი, ეროვნების მიუხედავად მივდიოდით შეტევაზე, დღეს კი, 21-ე საუკუნეში, უკრაინაში კვლავ წამოყვეს თავი ნაცისტებმა, რომლებიც ადამიანებს ყოფენ „მოსკალებად", „ურიებად" და გიორგის ჯვრის ბაფთებს გვაგლეჯენ.

უკრაინისათვის ამ მძიმე წუთს ჩვენ თანავუგრძნობთ დიდი სამამულო ომის უკრაინელ ვეტერანებს და სოლიდარობას გიცხადებთ. ხანდაზმული წლების მიუხედავად, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით და ვიქნებით — ამას გვავალდებულებს მათი ხსოვნა, ვინც ცოცხალი აღარ არის, აგრეთვე, ჩვენი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მომავალი, რომელშიც ფაშიზმის ადგილი არ უნდა იყოს!

**„საქინფორმი"**



ოქსანა სოლოპოვა, ტარიელ გაგნიძე და ფიოდორ გაიდა







ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს



**ფერფაქსის ოლქის (ვირჯინიის შტატი, აშშ) პოლიციამ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადმინისტრაციის ლობისტი და ყოფილი თანამშრომელი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა.** 44 წლის არლინგტონელი სლოან უილსონ რაპაპორტი გასულ კვირაში დააპატიმრეს. აშშ-ის ვაჭრობის ყოფილი მინისტრის, დონალდ ლ. ევანსის, მრჩეველი რაპაპორტი მაღაზია Bailey's Ckossroads-ში მყოფ ქალს ესპანურად გამოელაპარაკა. მაღაზიიდან გამოსულ ქალს რაპაპორტი ვერცხლისფერი „მერსედესით" დახვდა და შინ მიყვანა შესთავაზა. შემდეგ კარი ჩაკეტა, ავტომობილი უკაცრიელ ადგილას გაიყვანა და ქალის გაუპატიურებას შეეცადა. რაპაპორტს ბრალი ადამიანის გატაცებასა და სექსუალურ ძალადობაში წაუყენეს.



ბელგიის პრემიერმინისტრი ელიო დი რუპო

## დეპუტატმა ბელგიის პრემიერმინისტრს პედოფილი უწოდა

**ბელგიის პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლორან ლუიმ ქვეყნის პრემიერმინისტრ ელიო დი რუპოს პარლამენტის სხდომის მიმდინარეობისას პედოფილი უწოდა. ადრე მსგავსი გამონათქვამისთვის დეპუტატს იმუნიტეტი მოუხსნეს.**

„გმადლობთ, ბატონო პედოფილო, გმადლობთ, პრემიერმინისტრო!" — განაცხადა ლუიმ, როდესაც ის პრემიერმინისტრის პასუხმა არ დააკმაყოფილა კითხვაზე — რა თანხა დაჯდა ბრიუსელში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიზიტი.

ამ გამოხდომის გამო დეპუტატების ნაწილმა სხდომათა დარბაზი დატოვა, სხდომა კი შეწყდა და შესვენება გამოცხადდა. შესვენების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ ლორან ლუის სიტყვა აღარ ათქმევინა, რის გამოც ლუი სხდომათა დარბაზიდან გავიდა.

ბელგიის პრემიერმა დი რუპომ, რომელიც თავის ჰომოსექსუალურ ორიენტაციას არ მალავს, დეპუტატებს მადლობა გადაუხადა სოლიდარობისთვის.




## 14 წლის ბიჭმა ავტობუსში მამაკაცი მოკლა

**ბრუკლინში — ნიუ იორკის ერთ-ერთ რაიონში, მოზარდებს შორის საქმის გარჩევას 39 წლის უმუშევარი ენჯელ როჯასი ემსხვერპლა. მამაკაცი, რომელიც ავტობუსით მგზავრობდა, 14 წლის ბიჭმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა.**

მცირეწლოვანმა ბოროტმოქმედმა კეტონ ანდერსონმა მიმალვა სცადა, მაგრამ პოლიციელებმა დააკავეს. მოზარდს ბრალი ედება მკვლელობაში, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვასა და გამოყენებაში.

გამოძიების ვერსიით, ერთ-ერთ გაჩერებაზე ავტობუსში ჩასხდნენ მოზარდები, რომლებმაც ჩხუბი აუტეხეს ანდერსონს. საპასუხოდ ანდერსონმა პისტოლეტი ამოიღო და უმისამართო სროლა ატეხა. ერთი ტყვია შემთხვევით მოხვდა როჯასს, რომელიც ჰოსპიტალში მიყვანამდე გარდაიცვალა.

# ამერიკელი ოფიცრები გამოცდაზე გადაწერის გამო დაითხოვეს

**სარაკეტო ავიაბაზა მალმსტრომის სარაკეტო ნაწილის მეთაური რობერტ სტენლი საკვალიფიკაციო გამოცდებზე გადაწერის სკანდალის გამო გადადგა.**

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების 9 ოფიცერი, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ატომური რაკეტების გაშვებაზე, საკვალიფიკაციო გამოცდებზე ნაშრომის გადაწერის გამო დაითხოვეს. მონტანის შტატში განლაგებული ავიაბაზა მალმსტრომის ბაზის მეათე ოფიცერმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

მალმსტრომის ავიაბაზაზე განლაგებულია 420 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ატომური ქობინით.

პენტაგონის მაღალჩინოსნებმა ოფიცრების მიერ საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებისას გადაწერის შესახებ ნარკოტიკების გამოყენების ფაქტების გამოძიებისას შეიტყვეს. ავიაბაზა მალმსტრემის ოფიცრები, უმცროსი ლეიტენანტებიდან დაწყებული კაპიტნების ჩათვლით, გამოცდებზე ერთმანეთს ეს-ემ-ესებს უგზავნიდნენ, რომლებშიც ტესტის სწორი პასუხები იყო მითითებული.



მალმსტრომის ავიაბაზის სარაკეტო ნაწილის მეთაური პოლკოვნიკი რობერტ სტენლი

შიდაუწყებრივი გამოძიებით გაირკვა, რომ დათხოვნილი ოფიცრები თვითონ არ იწერდნენ, მაგრამ თვალს ხუჭავდნენ დანარჩენების საქციელზე და უფლებას აძლევდნენ მათ გადაეწერათ.

გამოძიებამ, აგრეთვე, დაადგინა, რომ მასობრივი გადაწერა ხდებოდა გაზრდილი მოთხოვნების გამო — სამხედროებს ტესტები ასპროცენტიანი სიზუსტით უნდა გაევლოთ. გაირკვა, რომ ავიაბაზის ყოველი მეხუთე ოფიცერი გამოცდების ჩაბარებისას თაღლითობდა. ამ სკანდალის გამო პოსტიდან გადადგა ავიაბაზის სარაკეტო ნაწილის მეთაური, პოლკოვნიკი რობერტ სტენლი.

სკანდალში გახვეული აღმოჩნდა 91 ოფიცერი, მათგან 40-ს, ალბათ, დაითხოვენ.

## ბრიტანელი პოლიტიკოსი: ევროკავშირს ხელები სისხლში აქვს გასვრილი



**დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის (რომლის პოპულარობაც უფრო და უფრო იზრდება) ლიდერმა ნაიჯელ ფარჯმა ევროკავშირი უკრაინისთვის ფუჭი დაპირებების მიცემაში დაადანაშაულა.**

„ჩვენ ფუჭი დაპირებები მივეცით დასავლელ უკრაინელებს, რის გამოც მათ, ამ დაპირებებით თავბრუდახვეულებმა, კანონიერად არჩეული ლიდერი დაამხეს. უკრაინაში ევროკავშირმა ხელები სისხლში გაისვარა. მე არ მინდა, ამ საქმეში ევროპული არმია, სამხედრო საზღვაო თუ საჰაერო ძალები ან ევროპული დიპლომატია ჩაერიოს. ეს უკრაინისთვის კარგი არ იქნება", — განაცხადა 26 მარტს ლიბერალური დემოკრატების ლიდერთან, ვიცეპრემიერ ნიკ კლეგტთან გამართულ დებატებში ნაიჯელ ფერჯმა, რომელსაც მხარი ტელედებატების მაყურებელთა 53 პროცენტმა დაუჭირა.

გასული წლის მაისში დიდ ბრიტანეთში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე წარმატებას დამოუკიდებლობის პარტიამ მიაღწია, კონსერვატორებისა და ლიბერალ-დემოკრატების პოზიციები კი მნიშვნელოვნად შესუსტდა. პარტიამ, რომელიც ევროკავშირში ბრიტანეთის წევრობას ეწინააღმდეგება და იმიგრაციაზე შეზღუდვების დაწესების მოთხოვნით გამოდის, ხმების საერთო რაოდენობის 26 პროცენტის მოგროვება შეძლო.

## ობამას მცველი ისე დათვრა, რომ «გაითიშა»



**აშშ-ის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები კვლავ გაეხვივნენ სკანდალში. ბარაქ ობამას მცველები, რომლებსაც ჰააგის (ჰოლანდია) სამიტზე პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალებოდათ, ლოთობის გამო ამერიკაში გააძევეს. ეს სკანდალური ინციდენტი ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე ობამას ჩასვლამდე ორი დღით ადრე ჰააგის ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა.**

ღამით საიდუმლო სამსახურის სამი წარმომადგენელი სასტუმროში მთვრალი დაბრუნდა და ერთ-ერთი მათგანი დერეფანში „გაითიშა". ის დილით იპოვა სასტუმროს თანამშრომელმა და მომხდარის შესახებ აშშ-ის საელჩოს აცნობა. დიპლომატებმა კი ეს ამბავი აშშ-ის საიდუმლო სამსახურის შეფ ჯულია პირსონს აცნობეს, რომელიც, აგრეთვე, ჩასული იყო ჰააგაში ობამას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „დისციპლინის დარღვევაში" დამნაშავე აგენტები სასწრაფოდ შინ გაამგზავრეს და ახლა ისინი გამოძიებას ელოდებიან, რომლის შედეგის მიხედვით სასჯელი უნდა განესაზღვროთ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც აშშ-ის საიდუმლო სამსახური სკანდალში ეხვევა. 2012 წელს მისი რამდენიმე თანამშრომელი კოლუმბიაში (სადაც ობამა უნდა ჩაფრენილიყო) მივლინებაში ყოფნისას სპირტიანი სასმელების „ბოროტად" გამოყენებაში ამხილეს. გარდა ამისა, ერთ-ერთი თანამშრომელი პრეზიდენტ ობამას ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ვიზიტის პერიოდში სექსუალურ ძალადობაშიც დაადანაშაულეს.



## მეწყერის ჩამოწოლის გამო 25 ადამიანი დაიღუპა

**სნოჰომიშის რაიონში (ვაშინგტონი, აშშ), სადაც 60 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, მეწყერის ჩამოწოლის გამო 25 კაცი დაიღუპა, 90 კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მეწყერმა 30 სახლი გაანადგურა.** საძიებო-სამაშველო ოპერაცია, რომელიც 22 მარტს დაიწყო, გრძელდება. პრეზიდენტ ბარაკ ობამას განკარგულებით, ვაშინგტონის შტატის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

**2010 წელს გაეროს ასამბლეაზე კენჭისყრისთვის გამოტანილ რეზოლუციას ნაციზმის, რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზების დაგმობის შესახებ მხარი დაუჭირა 129 ქვეყანამ, 54-მა — თავი შეიკავა, სამი კი წინააღმდეგი წავიდა, ამ სამ ქვეყანას შორის იყო აშშ-ც. ანუ, ანტისაკაცობრიო იდეოლოგია ვაშინგტონისთვის ნონსენსი არ არის. ეს ყველაფერი ჯდება იმ ტრადიციულ მატრიცაში, რომელსაც ამერიკული სპეცსამსახურები იყენებენ და რომელიც აშშ-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის პრინციპებიდან მომდინარეობს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გესტაპო, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ნაცისტური ინტერნაციონალი



**ათასობით ჰიტლერელს შორის, რომლებიც 1945 წელს დასავლეთში გაიქცნენ, უკრაინელი ნაცისტებიც იყვნენ. მოგვიანებით ისინი ამერიკელებმა სსრკ-ის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის გამოიყენეს. თუმცა ამ მხრივ არც „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ შეცვლილა რამე — აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (ცსს) მისთვის მიუღებელი ხელისუფლებების წინააღმდეგ საბრძოლველად ექსტრემისტებს ამჟამადაც იყენებს.**



ამერიკული სპეცსამსახურების არქივები სავსეა დოკუმენტებით, რომლებიც ამტკიცებს ოფიციალური ვაშინგტონის ამგვარ დამოკიდებულებას უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ. მაგალითად, **მეორე მსოფლიო ომის შემდეგ OSS-მა (ცსს-ს წინამორბედი) შეუშალა ხელი მრავალი დანაშაულის ჩამდენი სტეფან ბანდერის გადაცემას სსრკ-სთვის.**

მოგვიანებით, როდესაც ბანდერა მიუნხენში დასახლდა, აშშ-მა უკრაინელი ნაცისტის მონაწილეობით ოპერატიული თამაშები წამოიწყო. სწორედ ბანდერას მეშვეობით ხორციელდებოდა კავშირი უკრაინელ ნაციონალისტებთან, რომლებმაც ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთში სამხედრო ქვედანაყოფი შექმნეს. თვითონ ბანდერას ცსს მეტისმეტად პატივმოყვარე და უკომპრომისო ადამიანად მიიჩნევდა.

**„1959 წელს სტეფან ბანდერას მკვლელობას ამერიკელები მშვიდად შეხვდნენ. მის სიკვდილს ხელი არ შეუშლია ცსს ოპერაციებისთვის უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.**

**იმხანად ამ ოპერაციების შესრულება მთლიანად დამოკიდებული იყო ემიგრანტების ლიდერებზე, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომში ბანდერას იდეების მიმდევრები იყვნენ, ომის დამთავრების შემდეგ ამბობდნენ, რომ მათი ყოფილი ბელადი თვითრეკლამის კარიკატურა იყო. ისინი ძირგამომთხრელ საქმიანობას ცსს ხელმძღვანელობით განაგრძობდნენ, ვიდრე სსრკ არ დაიშალა,“** — წერს ისტორიკოსი და ჟურნალისტი **მაქს ბლუმენტალი.**

**ამერიკელებმა თავიანთ ფრთებქვეშ შეიფარეს ბანდერას თანამებრძოლი, სისხლიანი ჯალათი — ნიკოლაი ლებედი. ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის 50 წლის განმავლობაში მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ CIC-ის (აშშ-ის სამხედრო კონტრდაზვერვის კორპუსი) ექსპერტები 1947 წელს ლებედს პირდაპირ უწოდებდნენ „სადისტსა და გესტაპოს თანამშრომელს“, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ებრაელებისა და პოლონელების დარბევებს.**

1952 წლის 5 მაისს კი **ალენ დალესმა**, იმხანად ცსს-ს დირექტორის მოადგილემ, პირადად მიმართა თხოვნით აშშ-ის იმიგრაციისა და ნატურალიზაციის დეპარტამენტს ნიკოლაი ლებედისთვის აშშ-ში მუდმივად ცხოვრების უფლების მიცემის თაობაზე. ამასთანავე, დალესი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლებედს „უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცსს-სთვის მომავალში უმნიშვნელოვანესი ოპერაციების განსახორციელებლად“.

ნაცისტი დამნაშავე დალესის ხელშეწყობით გადავიდა აშშ-ში და დაიწყო მუშაობა „უკრაინის იატაკქვეშა მოძრაობის“ მხარდასაჭერად სადაზვერვო მიზნებისა და ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის სსრკ-ს წინააღმდეგ: ლებედი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, ანტისაბჭოთა რადიოსადგურს და ბეჭდურ საგიტაციო წარმოებას უკრაინისთვის. მხოლოდ 1956 წელს, ცსს-ს მხარდაჭერით, მისმა რადიომ 1200 პროგრამის ტრანსლირება და ასიათასობით საგიტაციო ფურცლისა და გაზეთის გავრცელება შეძლო. დროთა განმავლობაში ლებედის რადიოსადგურმა გააფართოვა თავისი მაუწყებლობა სსრკ-ში შემავალ სხვა ეროვნებების ენაზეც.

**ნიკოლაი ლებედი დიდ თამაშში ჩართული იყო 1998 წლამდე, ვიდრე არ გარდაიცვალა. ამასთანავე, ცსს ბლოკავდა ლებედის მიერ დასავლეთ უკრაინასა და პოლონეთში ჩადენილი მხეცობების გამოძიების ყველა მცდელობას.**

აღსანიშნავია, რომ **ბევრი უკრაინელი ნაციონალისტი, რომელიც მართლმსაჯულებას გადაურჩა, ამერიკაში დასახლდა.** ისინი პოლიტიკაში ჩაერთნენ და ამერიკელი მემარჯვენე პარტიების რიგები შეავსეს. 1949 წლის ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა სიტყვით მიმართა უკრაინელ ნაციონალისტებს და „მნიშვნელოვან წამოწყებებში“ წარმატება უსურვა. ამ მომენტიდან დაიწყეს უკრაინელი ნაციონალისტების დაფინანსება ისეთმა კომპანიებმა, როგორებიცაა U.S. Steel, Motorola, General Electric და სხვ.

**ამერიკელებმა თავიანთ ფრთებქვეშ შეიფარეს ბანდერას თანამებრძოლი, სისხლიანი ჯალათი — ნიკოლაი ლებედი. ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის 50 წლის განმავლობაში მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ CIC-ის (აშშ-ის სამხედრო კონტრდაზვერვის კორპუსი) ექსპერტები 1947 წელს ლებედს პირდაპირ უწოდებდნენ «სადისტსა და გესტაპოს თანამშრომელს», რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ებრაელებისა და პოლონელების დარბევებს**

ამ ფულით სტეფან ბანდერას ერთ-ერთმა ყოფილმა მოადგილემ იაროსლავ სტეცკომ შექმნა ანტიბოლშევიკური ბლოკი, რომელმაც სახელი პოლიტიკური და დიპლომატიური აქციებით გაითქვა.

**1983 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა იაროსლავ სტეცკო თეთრ სახლში მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ სტეცკო, და ეს არავისთვის ყოფილა საიდუმლო, პირადად მონაწილეობდა 7 ათასი ებრაელის წამებასა და დახოცვაში. „თქვენი ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა, თქვენი ოცნება — ჩვენი ოცნება“, — ასე მიესალმა რონალდ რეიგანი სისხლისმსმელ ჯალათს.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსოფობია ფართოდ გავრცელდა სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებსა და იმ რეგიონებში, რომლებშიც აშშ-მა და ნატომ ფეხი დაადგეს, პირველ რიგში კი — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

**ამჟამინდელ უკრაინაში კი ნათლად გამოჩნდა ფაშიზმის გამართლებისა და ჰეროიზაციის შედეგები, რომლის აპოთეოზიც იყო 2010 წელს სტეფან ბანდერასთვის „უკრაინის ეროვნული გმირის“ წოდების მინიჭება.**



ნიკოლაი ლებედი



იაროსლავ სტეცკო



აღსანიშნავია, რომ უკრაინის იმჟამინდელი პრეზიდენტის — **ვიქტორ იუშჩენკოს** ცოლი, აშშ-ის მოქალაქე **კატერინა ჩუმაჩენკო** უკრაინელი ნაცისტების მეგობარ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში მუშაობდა. უკრაინული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, **„ევრომაიდანის“ დაწყების მომენტში მხოლოდ ლვოვში 22 ათასი ოფიციალურად რეგისტრირებული ნეონაცისტი ცხოვრობდა.** აშშ-ის სპეცსამსახურებს კი არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი უკრაინელ ნეონაცისტებთან. რამდენიმე დღის წინათ **აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან — დენის კუსინიჩმა ვაშინგტონი უკრაინაში „კულისებსმიღმა საიდუმლო საქმიანობაში“ დაადანაშაულა.**

კუსინიჩმა განაცხადა, რომ **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, საერთაშორისო განვითარების სააგენტო და დემოკრატიის მხარდამჭერი ფონდი ორი თვის განმავლობაში „ამღვრევდა წყალს“ პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია ის, რომ „დღეს უკრაინის მთავრობას ნეონაცისტები აკონტროლებენ“.**

**„დღეს უკრაინას არ ჰყავს ხელისუფლება, იქ არიან მხოლოდ ნეონაცისტების, ფაშისტებისა და მემარჯვენეების ბანდები,** — ეთანხმება დენის კუსინიჩს ილიონისის შტატის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი ფრენსის ბოილი, — **ეს გადატრიალება არის ცსს-ს მიერ დაწერილი პიესა, რაც დაადასტურა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ვიქტორია ნულანდისა და უკრაინაში აშშ-ის ელჩის სატელეფონო საუბრის მოსმენამაც. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ეს იყო კლასიკური სახელმწიფო გადატრიალება და მსჯელობენ ძალებზე, რომლებმაც უკრაინის მთავრობა უნდა ჩამოაყალიბონ. ამ ძალებს კი „ყავისფერხალათიანები“ წარმოადგენდნენ: „მემარჯვენე სექტორი“, ბანდერელები, სკინჰედები“.**

ასეთი სცენარით ხშირად ვითარდება მოვლენები ქვეყნებში, რომელთა მმართველებმაც გაბედეს ვაშინგტონის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება. იმ პერიოდში, როცა უკრაინაში მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა, ვენესუელაში, ნავთობითა და გაზით მდიდარ ქვეყანაში, აშშ-ის მიერ ინსპირირებული სამოქალაქო არეულობები დაიწყო. ვენესუელის ხელისუფლებას ეჭვი არ ეპარება, რომ საპროტესტო აქციებს თეთრი სახლი აფინანსებს.

**2010 წელს გაეროს ასამბლეაზე კენჭისყრისთვის გამოტანილ რეზოლუციას ნაციზმის, რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზების დაგმობის შესახებ მხარი დაუჭირა 129 ქვეყანამ, 54-მა — თავი შეიკავა, სამი კი წინააღმდეგი წავიდა, ამ სამ ქვეყანას შორის იყო აშშ-ც, ანუ ანტისაკაცობრიო იდეოლოგია ვაშინგტონისთვის ნონსენსი არ არის. ეს ყველაფერი ჯდება იმ ტრადიციულ მატრიცაში, რომელსაც ამერიკული სპეცსამსახურები იყენებენ და რომელიც აშშ-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის პრინციპებიდან მომდინარეობს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევროკავშირი ვერ ასრულებს ძლიერი მოთამაშის როლს. ის ვერ ახერხებს, შეაჩეროს აშშ-ის საომარი გეგმები, მაგრამ ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი ვრცელდება ეკონომიკურ პოლიტიკაზეც, რომლის ფარგლებშიც ევროპული ცენტრალური ბანკი ფლობს გაცილებით ნაკლებ უფლებამოსილებებსა და ავტონომიას, ვიდრე აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა.

# ვაშინგტონში მუდმივმა ჩხუბმა ამერიკულ ძლევამოსილებას ძირი გამოუთხარა



**როდესაც საუბარია ეკონომიკასა და საგარეო პოლიტიკას შორის კავშირზე, საჭიროა, ერთმანეთისგან განცალკევდეს ხელისუფლების შიდაეკონომიკური და შიდაპოლიტიკური შეზღუდვა. შიდაეკონომიკური შეზღუდვები დაკავშირებულია ამერიკის ხელისუფლების ხელთ არსებულ ეკონომიკურ რესურსებთან, ეკონომიკური ზრდის ტემპებთან, ასევე ამგვარი ზრდის მოდელის საფუძველში ჩადებული ბიუჯეტის მდგრადობასთან. მეორე საკითხია, თუ რამდენად შეძლებს პოლიტიკური სისტემა მის ხელთ არსებული რესურსების ეფექტურ საგარეო პოლიტიკად და პოლიტიკურ უსაფრთხოებად ქცევას. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც პირველთან მიმართებაში იყენებენ. სხვადასხვა პოლიტიკური წარმონაქმნისთვის ის, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს. ამერიკული ვარდნის შესახებ უამრავ დისკუსიაში არ განასხვავებენ ერთმანეთისგან ფუძემდებლურ ეკონომიკურ ბაზას და პოლიტიკურ საპროცენტო განაკვეთს. ამერიკული საზოგადოება ვარდნაში არ არის, რადგან ახლა ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა საკმაოდ ნორმალურია, მაგრამ, რაც შეეხება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას, მას მნიშვნელოვანწილად დაეტყო ლპობა.**



დღეისთვის ყველა მსხვილი პოლიტიკური მოთამაშიდან ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაწესებულია ევროკავშირისთვის. მთლიანად ევროკავშირი მოსახლეობის რაოდენობითა და საერთო შიდა პროდუქტის მოცულობით ოდნავ აღემატება აშშ-ს. გარდა ამისა, მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია თავისი ეკონომიკური ძალის პოლიტიკურ შედეგებად ქცევის საქმეში, მაგრამ მთლიანობაში ევროკავშირს არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების მკაცრად იერარქირებული სტრუქტურა, რომელიც მოახერხებდა აღმასრულებელი ორგანოსთვის უფლებამოსილებებისა და რესურსების დელეგირებას.

**ევროკავშირი ვერ ასრულებს ძლიერი მოთამაშის როლს. ის ვერ ახერხებს, შეაჩეროს აშშ-ის საომარი გეგმები, მაგრამ ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი ვრცელდება ეკონომიკურ პოლიტიკაზეც, რომლის ფარგლებშიც ევროპული ცენტრალური ბანკი ფლობს გაცილებით ნაკლებ უფლებამოსილებებსა და ავტონომიას, ვიდრე აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა.**

და პირიქით, ჩინური საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ დაბალია, რადგან იქ მართავს სავსებით დისციპლინირებული კომუნისტური პარტია, რომელიც არ დაუშვებს არანაირ სხვაგვარ შიდა აზროვნებას. **ჩინეთის ეკონომიკური ძლევამოსილების საფუძვლებს გადაჭარბებულად აფასებენ, მაგრამ ეს ძლევამოსილება სწრაფად იზრდება და გარდაიქმნება აღმოსავლეთ აზიაში პოლიტიკურ გავლენად.**

**აშშ-ის პოლიტიკური საპროცენტო განაკვეთი ტრადიციულად უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირისა, მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე ჩინეთისა. უკანასკნელ წლებში ის იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკის გამოსაყენებლად ვარგისიანი ძალაუფლება მის პოტენციალზე ნაკლებია.**

ამერიკულმა ეკონომიკამ ზრდა დაიწყო და 2014 წელს ზრდის ტემპმა, შესაძლოა, 3%-იც კი შეადგინოს. მაგრამ ქვეყანას წინ ელის რეალური დეფიციტის პრობლემები, როდესაც დაბერებული მოსახლეობა კიდევ უფრო დაბერდება და 2020 წლისთვის ჯანდაცვის ხარჯები იმდენად გაიზრდება, რომ მოიმატებს

აშშ-ის პოლიტიკური საპროცენტო განაკვეთი ტრადიციულად უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირისა, მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე ჩინეთისა. უკანასკნელ წლებში ის იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკის გამოსაყენებლად ვარგისიანი ძალაუფლება მის პოტენციალზე ნაკლებია

აშშ-ის სახელმწიფო ვალიც და საერთო შიდა პროდუქტს შორის პროცენტული თანაფარდობაც. დეფიციტის გრძელვადიანი პერსპექტივა ძალზე რთული და სერიოზულია, მაგრამ მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ სოციალური დახმარების მიღების უფლებების რეფორმირების და არა აუცილებელი ხარჯების შემცირების გზით.

**პოლიტიკური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ეკონომიკურ სიმძლავრეებს გარდაქმნის საერთაშორისო არენაზე გამოსაყენებელ ძალად, აშშ-ისთვის იზრდება ვაშინგტონში პოლიტიკური პოლარიზაციის ხარჯზე. ეს უფრო პოლიტიკური ელიტის პრობლემაა, ვიდრე საზოგადოებისა.** ახლო აღმოსავლეთში ორი ძვირადღირებული ომის შემდეგ ორივე პარტია შედარებით მეტად ფრთხილობს ინტერვენციის მხარდაჭერისა და ძალოვანი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. **რესპუბლიკურ პარტიაში ორი თაობის სიცოცხლის მანძილზე პირველად გაჩნდა მნიშვნელოვანი საიზოლაციო ფრთა ისეთი სენატორების ხელმძღვანელობით, როგორიცაა რენდ პოლი.** თვით ისეთ მტკივნეულ საკითხშიც კი, როგორიც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ელექტრონული თვალთვალია, არ არსებობს რესპუბლიკელებად და დემოკრატებად დაყოფა, დაყოფა ორივე პარტიაშია.

**დღეს კონგრესს სულ უფრო ნაკლები სურვილი აქვს, საგარეო საკითხების დელეგირება მოახდინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ამის გამო პრეზიდენტიც ცდილობს, რაც შეიძლება იშვიათად გამოიყენოს თავისი უფლებამოსილებები.**

ამ ყველაფერს ადასტურებს ორი მოვლენა ბოლო პერიოდიდან: ბენღაზში ელჩ სტივენსის მკვლელობა და ირანთან ბირთვულ პრობლემაზე მიმდინარე მოლაპარაკებები. როგორც სენატის ბოლოდროინდელ ანგარიშშია აღნიშნული, ობამას ადმინისტრაციამ უამრავი შეცდომა დაუშვა, რამაც ელჩის სიკვდილამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ ეს ძირითადად საშუალო დონის ხელმძღვანელების შეცდომები იყო და არა ჰილარი კლინტონის ან ბარაკ ობამასი. ამ შემთხვევის პოლიტიზებამ ვაშინგტონს ნახევარი წლის განმავლობაში არ მისცა მოსვენება. ამ შემთხვევის გამო ვაშინგტონმა უარი თქვა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში ყოველგვარ სარისკო ქმედებაზე. დღემდე ის გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს დიპლომატების უსაფრთხოებას და ამას აშშ-ის რეგიონულ პოლიტიკაში პირველი რიგის პრიორიტეტს უწოდებს.

ზუსტად ანალოგიურად **ცოტა ხნის წინ სენატს წარუდგინეს კანონპროექტი, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ირანთან საბოლოო ბირთვული შეთანხმების დეტალები. ეს აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებებზე უსარგებლო თავდასხმაა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მივიდეს ბოლომდე ესოდენ რთული მოლაპარაკებები, თუ კონგრესი წინასწარვე აყენებს ძალზე მკაცრ პირობებსა და ამოცანებს.** მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმების განხილვა და დამტკიცება მაინც კონგრესს მოუწევს, რადგან მოქმედი სანქციებიდან მრავალი კანონმდებლობითაა დადგენილი, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის მოლაპარაკებების წარმოების საუკეთესო მეთოდი.

პოლიტიკური პოლარიზაციის საბოლოო შედეგი არის ის, რომ **საგარეო პოლიტიკის კონტროლი პრეზიდენტიდან კონგრესს გადაეცა, ზუსტად ისევე, როგორც ვიეტნამის თაობაზე არაერთხელ კამათისას 1970-იან წლებში და ცენტრალური ამერიკის შესახებ კამათისას 1980-იან წლებში.**

მეორე საკითხი ეხება ამერიკელების შეხედულებებს ეკონომიკური პოლიტიკისა და პოლიტიკური კურსის თანაფარდობის შესახებ.

რეიგანის დროიდან მოყოლებული, აშშ ყველაზე აქტიურად გამოდის, როგორც ეკონომიკური ლი- ▶

მოკლედ

## რეჯეპ ტაიპ ერდოღანი: სირია ჩვენი ისტორიული მიწაა და სისხლის ფასად შენარჩუნებული მიწების დაყოფას არ დავუშვებთ!



**უცხოური მედიის ინფორმაციით, თურქეთის პრემიერმინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში გამოსვლისას აღიარა, რომ მისი ქვეყანა სირიის წინააღმდეგ ომს აწარმოებს.** „იქ ჩვენი ისტორიული მიწებია, ჩვენი წინაპრების. მიდის ომი, რომელიც ბევრი ძალებისგანაა გაღვივებული. ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი წინაპრების სისხლის ფასად შენარჩუნებული მიწების დაყოფას. ჩვენი ერი ოსმანიზაციის გზას უნდა დაუბრუნდეს. ჩვენ ახალ თურქეთს ავაშენებთ", — განაცხადა ერდოღანმა და დასძინა, რომ ოპოზიციური პარტიები დასავლეთის მარიონეტები არიან. თურქეთში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შეტაკებების ფონზე ჩატარდა, რასაც, სულ მცირე, 9 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. არჩევნებში ერდოღანის პარტიამ გაიმარჯვა. ქურთების პარტია კი მოქმედ ხელისუფლებას არჩევნების შედეგების გაყალბებაში ადანაშაულებს.

ერთხელ გავლენიანმა აფროამერიკელმა უფლებადამცველმა ჯესი ჯექსონმა ტელეეთერში რეკლამის დროს ჩაილაპარაკა, რომ მზადაა, დაასაჭურისოს ობამა, რადგან იგი შავკანიანებს ზემოდან ელაპარაკება. ამ ვითომდა შემთხვევით ჩაწერილ ფრაზას დაუსრულებლად ატრიალებდნენ ეთერში, მაგრამ ჯესი ჯექსონი შემთხვევით არაფერს იტყოდა, მან მშვენივრად იცის, რომ, თუ მიკროფონი მიამაგრეს, ეს მიკროფონი იწერს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბარაკ ობამას ფანტასმაგორია







**ობამა ამერიკის ისტორიის მანძილზე ყველაზე ცუდი ლიდერია. მან დაამხო ეკონომიკა, სანქცია გასცა ამერიკელთა თვალთვალისთვის, მოატყუა საკუთარი ხალხი სამედიცინო რეფორმით, გასრისა პრესის თავისუფლება, მილიარდობით დოლარი გადაყარა ომებსა და ტერორისტების მხარდაჭერაში და ბოლოს, ქვეყანა განხეთქილებამდე მიიყვანა. აი, იმ ბრალდებების ყველაზე მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც სულ უფრო ხშირად ისმის აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის მისამართით.**

ლიბერალიზმის (იგივე ნეოლიბერალიზმის) მხარდასაჭერად მსოფლიო ეკონომიკაში, ასევე დემოკრატიის მხარდასაჭერად პოლიტიკურ სფეროში. ითვლება, რომ ეს ორი რამ განუყოფელ კავშირშია, ემსახურებიან დასაწყისიდანვე კეთილ მიზნებს და ერთმანეთს ურთიერთმხარდაჭერით უზრუნველყოფენ.

ამ კონცეფციის ეკონომიკურმა მხარემ „ვაშინგტონური კონსენსუსის“ ფორმა მიიღო. ლიბერალიზაციისთვის გატარებული ზომების ეს სერია მიმართული იყო სატარიფო ბარიერების დასაწევად, თავისუფალი ვაჭრობის გლობალური სისტემის შესაქმნელად, პრივატიზაციისთვის, სახელმწიფო სექტორების დარეგულირებისა და საერთო შემცირებისკენ. **ანგლო-ამერიკული მოდელის ეკონომიკური ლიბერალიზაცია ჩაითვალა მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის წინსვლის ხელისშემწყობად. ლიბერალიზაციას უნდა გამოეწვია ეკონომიკური ზრდა, ეს კი, თავის მხრივ, გაზრდიდა საშუალო ფენას, რომელიც კრიტიკულად იქნებოდა განწყობილი ავტორიტარული რეჟიმების მიმართ. ეკონომიკურ თავისუფლებას თვლიდნენ ლიბერალური პოლიტიკური უფლებების პაკეტის შემადგენელ ნაწილად.**

ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და დემოკრატიის გავრცელების პოლიტიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების — ჩინეთის, ინდოეთის, ასევე მრავალი წამყვანი განვითარებადი ქვეყნის მანამდე ჩაკეტილი ეკონომიკები გაიხსნა გლობალური ეკონომიკის მისაღებად. **1970-იანი წლებიდან 2008 წლის ფინანსურ კრიზისამდე მსოფლიო წარმოების მოცულობა ძირითადად ლიბერალიზაციის ხარჯზე გაოთხმაგდა. მართალია, დღეს მსოფლიოს ყველა მსხვილი ეკონომიკა დემოკრატიული არ არის, მაგრამ მათი რაოდენობა 35-40-დან 100-ზე მეტი გახდა.**

მაგრამ ეკონომიკისა და პოლიტიკის ინტეგრაციის ამერიკული მიდგომის ამ უპირატესობას სავსებით რეალური შეზღუდვები აქვს და ეკონომიკურ ლიბერალიზაციაში ორი უმნიშვნელოვანესი ნაკლი შეიმჩნევა.

პირველი ისაა, რომ **ლიბერალიზაცია გაცილებით უკეთ მუშაობს რეალურ ეკონომიკაში, ვიდრე ფინანსურ სექტორში.** 1990-იანი წლების ბოლოს ეკონომისტებს ერთსულოვნად სჯეროდათ, რომ უფრო თავისუფალი და მსოფლიო მასშტაბით ინტეგრირებული ფინანსური ბაზრები შექმნიდნენ კაპიტალის განთავსების გაცილებით ეფექტურ სისტემას, შედეგად კი — გაცილებით მეტ ზრდას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ **გლობალური ფინანსური ბაზრები ყოველთვის ეფექტური არ არის. ხარჯებს საბოლოო ჯამში გადასახადების გადამხდელები ანაზღაურებენ. 2000-იანი წლების ზრდა, რომელიც უდავო არ ჩანდა, ილუზორული და უზომოდ სარისკო საბანკო ოპერაციებზე დამყარებული აღმოჩნდა.** ამერიკული რჩევების დაჯერების და კაპიტალური აქტივების ანგარიშების გახსნის შემდეგ, 1990-იან წლებში მექსიკა, ტაილანდი, სამხრეთ კორეა და მათი მსგავსი ქვეყნები მალე აღმოჩნდნენ განსაცდელში. **იმ ქვეყნებმა, რომლებმაც უარი განაცხადეს ლიბერალიზაციაზე, თავი დაიცვეს სპეკულატორული კაპიტალის დამანგრეველი ზემოქმედებისგან.** აშშ საკუთარ ნაღმს გადააწყდა, როდესაც 1990-იანი წლების ბოლოს უარი თქვა გლას-სტიგოლის კანონის მარეგულირებელ რეჟიმზე და კარი გაუღო ჩინეთისა და სხვა ფორმირებადი ბაზრების ლიკვიდურობის ტალღას. ამ ყველაფერმა განაპირობა 2008 წლის ფინანსური კრიზისი და ყველაზე სერიოზული ვარდნა დიდი დეპრესიის პერიოდიდან ამ დრომდე.

მეორე ნაკლი გადანაწილებას უკავშირდება. **გლობალიზაცია და არაფრით შეკავებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი წარმოშობს მთელ რიგ არასასურველ შედეგებს გადანაწილების სფეროში. ამერიკამ და სხვა განვითარებულმა დემოკრატიებმა დეინდუსტრიალიზაციის ხანგრძლივი პერიოდი გაიარეს.**

1990-იან და 2000-იან წლებში აშშ-მა დაკარგა სამრეწველო ბაზრისა და ჩინეთსა და სხვა აზიურ ქვეყნებში მიწოდების ჯაჭვის მნიშვნელოვანი ნაწილი. ნაწილობრივ ეს მოხდა უფრო მაღალი შემოსავლის მიმართ კაპიტალის გადევნებით, მაგრამ შეიძლებოდა ასეთი უკიდურესი ფორმები არც მიეღო. **პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგის ქვეშ მდგარი აშშ პასიურად აკვირდებოდა, თუ როგორ აუფასურებდა ჩინეთი თავის ვალუტას და როგორ მიჰქონდა ამერიკული სამუშაო ადგილები.**

**საჭიროა ეკონომიკისა და პოლიტიკის ინტეგრაციის სხვა გზების მოძიება და ამ ახალ მიდგომაში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს 1990-იანი წლების ნეოლიბერალიზმს, ზრდის შემაკავებელ პოლიტიკურ პოპულიზმსა და გადანაწილებას. საჭიროა სახელმწიფოს ახალი უფრო ფართო როლის განსაზღვრა ფინანსური ბაზრების რეგულირების სფეროში. საჭირო იქნება ყურადღების გამახვილება საშუალო ფენის დასაქმებაზე. უოლ-სტრიტის ჩავარდნების გამო მსოფლიოში ნეოლიბერალური მოდელი დისკრედიტირებულია.**

The New Republic

**„ოვალური კაბინეტის ახლანდელი ბინადარი უფრო არაკომპეტენტური და აშშ-ის ინტერესებისთვის დამღუპველია, ვიდრე ჯორჯიის ფერმერთაგან ყველაზე უარესი“,** — ირწმუნებიან მიტ მარგოლისი და მარკ ნუნანუ წიგნში **„150 მიზეზი, თუ რატომ არის ბარაკ ობამა ისტორიაში ყველაზე ცუდი პრეზიდენტი“.** წიგნი წამში იქცა ბესტსელერად. მასში თეთრი სახლის მეთაურის გამონათქვამებისა და ქცევების ყოვლისმომცველი მიმოხილვაა.

**„ისტორია მოინდომებს, გაამართლოს ობამა, რადგან იგი პირველი შავკანიანი პრეზიდენტია, მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ პოლიტკორექტულობის გამო მისი მარცხების მიჩქმალვას“,** — წერენ ავტორები.

ჩავარდნებს შორის ლომის წილი ეკონომიკაზე მოდის. ჯერ კიდევ 2009 წელს ობამა ამერიკელებს დაჰპირდა, რომ დასრულდებოდა უმუშევრობა და ქვეყანა კრიზისამდელ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა. ამასთან, განავითარებდა „მწვანე ენერგეტიკას“ და დააჩქარებდა ინფრასტრუქტურის გარდაქმნას. ამ ყველაფრიდან არაფერი შესრულებულა, „ზრდა“ მხოლოდ უმუშევართა რაოდენობას შეეხო, საბიუჯეტო დეფიციტი ყოველწლიურად ახალ რეკორდს ამყარებს, სახელმწიფო ვალის მრუდი კი კოსმოსისკენ მიისწრაფის.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ობამას ხელი არ შეშლია, გადასახადების გადამხდელთა ფული საეჭვო ავანტიურებში ეფლანგა. მაგალითად, **184 მილიონი დოლარი დაიხარჯა კიევური მეიდნის ორგანიზებაზე, 192 მილიონი დოლარი — პალესტინელ მეამბოხეებზე, უზარმაზარი თანხები გაეგზავნათ სირიელ და ლიბიელ ბოევიკებს, ასევე უზარმაზარი სახსრები მოხმარდა არაბულ გაზაფხულს და მისი შედეგების ლიკვიდაციას. საინტერესოა, რომ გადატრიალებებსა და რევოლუციებზე ფულის ჩამოწერისას ობამა ხშირად მოქმედებდა კონგრესის გვერდის ავლით.**

წიგნის ავტორების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია თეთრი სახლის პროგრამამ ამერიკულ განლაგებაში დასმენის დანერგვასთან დაკავშირებით. **2009 წლის აგვისტოდან ობამას მომხრეებს მოეთხოვებათ, პრეზიდენტის ადმინისტრაციას წარუდგინონ ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის მეილები და ვიდეოები, ჭორები, წერილები და თვით შემთხვევითი საუბრების კონსპექტებიც კი.**

წინასიტყვაობაში ავტორები აღშფოთებულნი არიან იმით, რომ ობამას ცოდვების კატალოგი გამოსვლამდე მოძველდა. მასში არაა შესული ედვარდ სნოუდენის გულახდილობები, სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის ახალი გეგმები, გეების, ლესბოსელებისა და ტრანსების შეტევები ამერიკის ტრადიციულ ღირებულებებზე, ჟურნალისტებზე ფედერალური კონტროლი, ლიბიაში ამერიკის ელჩის მკვლელობაში თანამონაწილეობა და ა. შ.

ჟურნალისტების მიერ გადაღეჭილ მრავალ ფაქტზე მეტად საინტერესოა ის, თუ როგორ ახასიათებენ გავლენიანი ამერიკელები ბარაკის მმართველობას. **ტრაბახა შტერი, უტვინო მთვარეული...** — კამათი იმაზე, თუ ვინაა მისტერ ობამა, ახლა გაასმაგებული ენერგიითაა გაჩაღებული.

**„ობამა ყველაზე არაკომპეტენტური პრეზიდენტია ჯიმი კარტერის შემდეგ“,** — ამბობს ლუიზიანის გუბერნატორი რობი ჯინდალი.

პოლიტიკური მიმომხილველი ჯეიმს იარდლი მინიშნებას აკეთებს ობამას, როგორც გლობალური სტრატეგის, უუნარობაზე და ნახევრადხუმრობით აყენებს მას ბრიტანეთის იმ პრემიერ-მინისტრზე დაბლა, რომელმაც კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომი მოუტანა.

თავის მხრივ, სენატორმა ჯონ მაკკეინმა დაასკვნა, რომ **„ობამა სულაც არ არის ნაძირალა, ის უბრალოდ სულელია“.**

არასასურველ შეფასებებს არ იშურებენ ობამასთვის არც დემოკრატები, არც რესპუბლიკელები, არც კონსერვატორები, ლიბერალები, თეთრკანიანები და შავკანიანებიც კი...

**ერთხელ გავლენიანმა აფროამერიკელმა უფლებადამცველმა ჯესი ჯექსონმა ტელეეთერში რეკლამის დროს ჩაილაპარაკა, რომ მზადაა, დაასაჭურისოს ობამა, რადგან იგი შავკანიანებს ზემოდან ელაპარაკება. ამ ვითომდა შემთხვევით ჩაწერილ ფრაზას დაუსრულებლად ატრიალებდნენ ეთერში, მაგრამ ჯესი ჯექსონი შემთხვევით არაფერს იტყოდა, მან მშვენივრად იცის, რომ, თუ მიკროფონი მიამაგრეს, ეს მიკროფონი იწერს.**

კონსერვატორებიც არ მიიჩნევენ ობამას თავისიანად. Fox News-ის ტელეწამყვანმა გლენ ბეკმა განაცხადა: **„ობამამ თავი გამოიაშკარავა, როგორც თეთრკანიანებისა და მათი კულტურის ღრმად მოძულემ. ვფიქრობ, რომ ეს კაცი რასისტია“.**

გამოდის, რომ **ობამა, რომელიც ამერიკელთა გაერთიანების იმედით აირჩიეს, ამერიკის ორივე ძირითადი ეთნიკური ჯგუფისთვის უცხოა.** ამერიკელებს, უბრალოდ, არ ესმით ის არათანმიმდევრულობა, რომლითაც მათი სახელმწიფოს მეთაური გამოირჩევა.

მაგალითად, მოაწერს თუ არა ხელს ავღანეთიდან ჯარების გაყვანის გეგმას, მაშინვე ზრდის იქ ამერიკის სამხედრო კონტინგენტს;

გააუქმებს თუ არა სასამართლოს გარეშე ციხეში გამოკეტვას, მაშინვე აფართოებს დრონების გამოყენებას ტერორიზმში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ;

დეკლარირებს ადმინისტრაციის გახსნილობას და პრესას უფრო იშვიათად ხვდება, ვიდრე მისი ექვსი წინამორბედი;

გამოდის კონსტიტუციური სამოქალაქო უფლებების მკაცრად დაცვის მხარდსაჭერად და ხელს აწერს ახალი საჯაშუშო პროგრამის შექმნას მილიონობით თანამემამულის პირად ცხოვრებაში ჩასარევად.

**წარსულში ამერიკის სამი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ნამუშევარმა პიტერ ვენერმა ამერიკის ამჟამინდელი ლიდერის ფსიქოტიპი გააანალიზა და დაასკვნა: ობამა არაჩვეულებრივად დოგმატურია, ყურად არ იღებს სხვათა მტკიცებულებებს და დიდწილად უუნაროა გარემოებების შესაბამისად საკუთარი შეხედულებების კორექტირებაში. ამიტომ, როდესაც მისი მსოფლმხედველობა რეალობას ეჯახება, იგი ხშირად გამოუვალ მდგომარეობაშია და ადეკვატური რეაგირების ნაცვლად საკუთარ ილუზიებს — ობამას ფანტასტიკურ რეალობას ქმნის.**

fbii.org

## ობამა, რომელიც ამერიკელთა გაერთიანების იმედით აირჩიეს, ამერიკის ორივე ძირითადი ეთნიკური ჯგუფისთვის უცხოა

## 2600 სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა

**ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2600 სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა, მათ შორის 2535-ს – სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო.** უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს კონსტანტინე სირბილაძის განცხადებით, გასულ წლებთან შედარებით, სტატუსი გაცილებით მეტ სტუდენტს შეუჩერდა. თანხის დაფარვის შემთხვევაში, მათ საშუალება აქვთ, რექტორის ბრძანებით, ნებისმიერ დროს აღიდგინონ სტატუსი.

2010-2011 წლებში თანხის გადაუხდელობის გამო სტატუსი 1153 სტუდენტს შეუჩერდა, ე. წ. აკადემიურში კი 77 სტუდენტი გავიდა, ჯამში — 1230 სტუდენტი.

2012-3013 წლებში ფინანსური პრობლემების გამო სტატუსი 2362 სტუდენტმა დაკარგა, აკადემიურში კი 90 სტუდენტი გავიდა, ჯამში — 2452.

2013-2014 წლებში სტატუსი თანხის გადაუხდელობის გამო 2535 სტუდენტს შეუჩერდა, აკადემიურში კი 65 სტუდენტი გავიდა, ჯამში — 2600 სტუდენტი.

**ვინაიდან სამხედრო სამსახურში გაწვევა დაიწყო და 30 ივნისს დასრულდება, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა მოუწევთ.**



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავტორიტარული რეჟიმები პასიური არ არიან. ისინი მიზანმიმართულ ფინანსურ დახმარებას უწევენ ძალებს, რომლებიც ხელს უწყობენ სუსტი დემოკრატიების დამხობას და მიისწრაფვიან არადემოკრატიული ხელისუფლებისკენ. ვისთანაც წახალისება არ ჭრის, მათ მათრახი ელით.**

# ახალი ავტორიტარული მსოფლიო

**აღარავის უყვარს დემოკრატია. მის წინააღმდეგ არიან განწყობილნი უკმაყოფილო პოპულისტები, მეამბოხე საშუალო ფენა, ბრუტალური ტექნოკრატები და დინამიური ავტორიტარული რეჟიმები. დიდი ხანია, საქმე ასე ცუდად არ ყოფილა.**

დემოკრატია გლობალურ კრიზისს განიცდის. თუ დავუჯერებთ Freedom Hous-ის რეიტინგს, უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მსოფლიოში დემოკრატია განუხრელად იკლებს. კიდევ უფრო უარესი, **„ხალხის მმართველობისგან“ სულ უფრო შორს დგანან ისეთი ქვეყნები, რომელთაც საკუთარ რეგიონებში უდიდესი გავლენა აქვთ.** ჯოშუა კურლანციკი, ავტორი წიგნისა Democracy in Reverse, იმასაც კი წერს, რომ ახლანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს XX საუკუნის 30-იან წლებს.

ცხადია, ამ ყველაფერს უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ ისინი შეიძლება **სამ ჯგუფად** დავყოთ: **დემოკრატიის კრახი მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, ევრაზიული ავტორიტარული რეჟიმები და დემოკრატიისადმი ნდობის კრიზისი საკუთარ აკვანში — დასავლეთში.**

როგორც წესი, გამოყოფენ ხოლმე დემოკრატიის სამ ტალღას: პირველი აშშ-ში მამადამაარსებლების ეპოქაში არისტოკრატიული რესპუბლიკელობიდან გაცილებით ეგზალიტარულ ხელმძღვანელობაზე გადასვლით დაიწყო. XIX საუკუნეში ეს ტალღა თანდათანობით გავრცელდა დასავლეთ ევროპაზეც. მეორე ტალღა აბობოქრდა მეორე მსოფლიო ომში ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების შემდეგ, მესამე კი — კომუნიზმის დაცემისთანავე. მრავალი ადამიანი ფიქრობდა, რომ არაბული გაზაფხული მეოთხე ტალღის დააწყისად იქცეოდა.

**ყოველი ტალღის შემდეგ შეიმჩნევა ბუნებრივი მიქცევა ან ავტოკრატიის თავისებური საწინააღმდეგო ტალღა, ჩვენს დროში კი ეს თანამედროვე ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების ჩამოყალიბებით გამოიხატება.** ხსენებული თეორიის თანახმად, ყოველ ახალ დემოკრატიულ ტალღას სულ უფრო მეტი ტერიტორია უნდა მოეცვა, უკუმოძრაობა კი სულ უფრო უმნიშვნელო უნდა გამხდარიყო.

მეოთხე ტალღის დემოკრატიები სამაგალითოდ არასტანდარტულნი აღმოჩნდნენ. ამაში დამნაშავე იყო ნაწილობრივ გადაჭარბებული მოლოდინი, ნაწილობრივ კი ხალხის ხელისუფლების „გაყიდვა“ ვაშინგტონური კონსენსუსის საეჭვო პლუსებთან ერთად.

ამგვარი მტკიცებულების უკიდურესად საეჭვო ემპირიული საფუძვლის გარდა, **ლიბერალურ დემოკრატიას ლიბერალურ ვაჭრობასთან ერთად მესამე მსოფლიოს რეკლამებში წარუდგენდნენ, როგორც პანაცეას, მისი ყველა პრობლემის აღმოსაფხვრელად და მხოლოდ ხელებს ასავსავებდნენ იმ მტკიცებულებაზე, რომ მკვეთრი ეკონომიკური და ცივილიზაციური აღმასვლები ახასიათებთ როგორც ავტოკრატიულ, ისე დემოკრატიულ ქვეყნებს.**

ეფექტებისთვის დიდი ხნის ლოდინი არ გახდა საჭირო. მრავალ ახალ დემოკრატიაში ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა, იზრდებოდა იმედგაცრუება და კორუფციის დონე, სახელმწიფოს მეთაურობა და ლოკალური ელიტები კი კარგავდნენ კონტროლს ეკონომიკაზე, რადგან ვალუტის კურსი თავისუფალი გახდა, სამრეწველო საწარმოები კი უცხოელ ინვესტორებს მიეყიდათ.

რაც ძალიან საინტერესოა, **მრავალ სახელმწიფოში დემოკრატიზაციის პერიოდში კორუფციის დონე გაიზარდა მკაცრ ავტორიტარულ რეჟიმთან შედარებით. კორუფცია რაღაც არაფორმალური გადასახადის მსგავსი გახდა.** დემოკრატიზაციის პირველ ეტაპზე მისი დონე იზრდებოდა და საკვანძო სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ეხებოდა. ასე იმიტომ ხდებოდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლები, მაგრამ უკვე გაქრა ძლიერი დიქტატურა, რომელიც წინათ ჩინოვნიკებისა და ოლიგარქების არაჯანსაღ ამბიციებს აკავებდა.

**კორუფციის აყვავება, არასტაბილურობა, ეკონომიკური სისუსტე ჩვენს დროში ხშირად განაპირობებს იმას, რომ ახლადდემოკრატიზირებული ხალხი პრაქტიკულად წინა რევოლუციის შემდეგ კვლავ ქუჩაში გამოდის. ეს სცენარი ბოლო პერიოდში არაერთხელ გათამაშდა თანამედროვე მსოფლიოში.**

გარკვეულ მომენტში საშუალო ფენას ეშინია ახალი არარეალიზებული დაპირებების მიერ განპირობებული მორიგი მღელვარებების. იმის მიუხედავადაც კი, **თუ წვრილმა მეწარმეებმა და თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს წინა გადატრიალებას, დროთა განმავლობაში მათ სულ უფრო ნაკლებად ულიმით ხელისუფლებაში იმ პოპულისტების მოსვლის პერსპექტივა, რომლებიც ხშირად მიმართავენ რელიგიურ ფუნდამენტალიზმს ან კეთილდღეობის რევოლუციური გადანაწილების ლოზუნგებს.**



## «ხალხის მმართველობისგან» სულ უფრო შორს დგანან ისეთი ქვეყნები, რომელთაც საკუთარ რეგიონებში უდიდესი გავლენა აქვთ

**საშუალო ფენა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დემოკრატიის საყრდენად ითვლებოდა, იწყებს სამხედრო ხელისუფლების სახის არადემოკრატიული სტაბილიზაციის ან მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადი დიქტატორების მხარდაჭერას.** სწორედ საკუთარი ექიმები, მასწავლებლები და წვრილმანი მფლობელები ზეიმობდნენ ეგვიპტეში, როდესაც ხუნტამ ჩამოაგდო პრეზიდენტი მუჰამედ მურსი, რომელიც დაბალი ფენების ხმებისა და ისლამური ორგანიზაციების მხარდაჭერის შედეგად აბსოლუტურად დემოკრატიული და ფორმალური თვალსაზრისით უნაკლო არჩევნების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში.

დემოკრატიულად არჩეული ლიდერების პირველი თაობის მიმართ საშუალო ფენის პროტესტი სულაც არ არის ეგვიპტური სპეციფიკა. ანალოგიური მოვლენები ვითარდებოდა ფილიპინებში, ვენესუელაში, ბოლივიაში, კენიაში, ტაილანდსა და ტაივანში. **მთელ მსოფლიოში პოლიტიკა სულ უფრო ხშირად კეთდება ქუჩაში და სულ უფრო იშვიათად — საარჩევნო ურნებთან.** დემონსტრანტებს კი სურთ დემოკრატიის შევიწროება და არა გაფართოება, წესრიგის დამყარების სანაცვლოდ. ამას **საშუალო ფენის ამბოხს** უწოდებენ.




## მთელ მსოფლიოში პოლიტიკა სულ უფრო ხშირად კეთდება ქუჩაში და სულ უფრო იშვიათად — საარჩევნო ურნებთან

ზემოთქმული თანამედროვე დემოკრატიის ერთადერთი პრობლემა არ არის. პოლიტოლოგიის ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი **„შავი რაინდის ეფექტი“.** ასე უწოდებენ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ძლიერი ავტორიტარული რეჟიმი ამუხრუჭებს მეზობელი ქვეყნების დემოკრატიზაციას ან აძლიერებს მათ დიქტატურულ რეჟიმებს.

**ჩინური მოდელის წარმატება შეიძლება აიხსნას გლობალიზაციის ლოგიკითაც, რომელიც სულ უფრო ხშირად ითხოვს დროის მოკლე მონაკვეთებში პოლიტიკური ხელისუფლებებისგან რთული გადაწყვეტილებების მიღებას. შრომატევადი საზოგადოებრივი კონსულტაციების გარეშე ავტორიტარული რეჟიმები ამას დემოკრატიებზე გაცილებით წარმატებულად ართმევენ თავს.**

ამ შემთხვევაში ძალზე გამომხატველობითი იქნება ჩინეთის მაგალითი. ის ახლა მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდ სავალუტო რეზერვებს ფლობს. პეკინს შეუძლია, ადვილად გასცეს დიდი კრედიტები, გააკეთოს მასშტაბური ინვესტიციები, გაანადგუროს ან მხარი დაუჭიროს უახლოესი ქვეყნების ეკონომიკებს. ამ დროს ამერიკის ეკონომიკა უკვე დამტკიცებული ხარჯების თაობაზე კონგრესში გამართული ერთი ბატალიიდან მეორეზე გადადის, კისერს იტეხს ყველა მომდევნო პროცედურაზე, აფრთხობს ფინანსურ ბაზრებს და თავისი საბიუჯეტო ანაზღაურების მქონე თანამშრომლებს უხელფასო შვებულებებში უშვებს.

ერთადერთი მაგალითი ჩინეთი არ არის. **პოლიტიკურ ქაოსში ჩაფლულ დემოკრატიულ ფილიპინებს გვერდით ჰყავს სინგაპური, რომელიც, მართალია, საჩვენებელ არჩევნებს აწყობს, მაგრამ პრაქტიკულად სახელგანთქმული ლი კუან იუს შთამომავლობის ავტორიტარულ მმართველობას განაგრძობს — ახლანდელი პრემიერი მისი უფროსი ვაჟია. დემოკრატიულ ექსპერიმენტებში ჩაძირული ერაყი ზომიერად სტაბილური და სულ უკეთ ფუნქციონირებადი ირანის მეზობელია. დასავლეთის მიერ მიტოვებული უკრაინის საზოგადოებას კი მალე, შესაძლოა, ავტორიტარული ბელარუსის შეშურდეს.**

**ავტორიტარული რეჟიმები პასიური არ არიან. ისინი მიზანმიმართულ ფინანსურ დახმარებას უწევენ ძალებს,** ▶

## ქვეყნები, რომლებშიც ყველაზე მეტი მილიონერი ცხოვრობს

**საერთაშორისო ორგანიზაცია New World Wealth-ის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, დიდი ბრიტანეთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია მდიდრებისთვის.** 2003-2014 წლებში ბრიტანეთში გადავიდა 114 ათასი მილიონერი (იგულისხმება ადამიანები, რომელთა შემოსავალი მილიონ დოლარს აღემატება). ეს ორჯერ მეტია იმ მდიდრების რიცხვზე, რომლებმაც საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ სინგაპური აირჩიეს.

სინგაპურმა, თავისი გამჭვირვალე და ბიზნესისთვის სასიკეთო საგადასახადო პოლიტიკის წყალობით, სარეიტინგო სიაში მეორე ადგილი დაიკავა მილიონერთა რაოდენობის მხრივ. 2003 წლიდან დღემდე სინგაპურში 25 ათასი მილიონერი გადავიდა, ძირითადად — ჩინეთიდან. ეს ქვეყანა კი, 76 ათასმა მდიდარმა დატოვა. ქვეყნიდან წასული მდიდრების მხრივ სიაში მეორეა **ინდოეთი,** მესამე — **საფრანგეთი,** მეოთხე — **იტალია. ჩინელი მილიონერები მოღვაწეობას ამჯობინებენ სინგაპურსა და დიდ ბრიტანეთში, ინდოელები — აშშ-ში, ბრიტანეთსა და ავსტრალიაში, ფრანგები და იტალიელები — დიდ ბრიტანეთსა და შვეიცარიაში.** ქვემოთ მოყვანილია ცხრილი ქვეყნებისა, რომლებმაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი მილიონერი მიიღეს.

| ქვეყანა | მილიონერთა რაოდენობა |
|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 114.000 |
| სინგაპური | 45.000 |
| აშშ | 42.000 |
| ავსტრალია | 22.000 |
| ჰონგკონგი | 22.000 |

**აშშ-ის პოლიტიკას, რომელიც ახლადჩასულებისა და ძირძველი ამერიკელების კულტურული განსხვავებულობის წაშლისკენაა მიმართული, დრამატურგმა ისრაელ ზანგუილასტალმა „გადასადნობი ქვაბი“ უწოდა. ევროპამ კი, გამოიარა რა ორი მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლი, აირჩია ყველასა და ყველაფრის შემწყნარებლობის გზა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების მეორე პლანზე გადაწევისა და იმიგრანტების მხარდაჭერის ხარჯზე. ამ პოლიტიკას მულტიკულტურიზმი უწოდეს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რომლებიც ხელს უწყობენ სუსტი დემოკრატიების დამხობას და მიისწრაფვიან არადემოკრატიული ხელისუფლებისკენ. ვისთანაც წახალისება არ ჭრის, მათ მათრახი ელით.**

იმის შემხედვარე, თუ რაოდენ იოლად და მოურიდებლად ახორციელებენ არადემოკრატიული სახელმწიფოები ეფექტურ საგარეო პოლიტიკას, ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი და ანალიტიკოსიც კი ემხრობა ცივი ომის ლოგიკას **„ჩვენი დიქტატორი ჯობია სხვის დიქტატორს“.** მურსის ჩამოგდების შემდეგ, მაგალითად, ამგვარი მიდგომა იქცა არაოფიციალურ დოქტრინად ამერიკა-ეგვიპტურ ურთიერთობებში. ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი და პოლიტოლოგი ფარიდ ზაკარია თავის წიგნში The Future of Freedom: Illiberal Democracy at Home and Abroad ირწმუნება, რომ **ოლიგარქია, რომელიც მისდევს რაღაც იმდაგვარს, რასაც ავტორი „ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმს“ უწოდებს, უკეთესი ვარიანტია, ვიდრე არალიბერალური ოლიგარქია, რომელიც დევნის სხვაგვარად მოაზროვნეებს და დემოკრატიულ უმცირესობას.** ზაკარია მიიჩნევს, რომ ინდოეთი და პაკისტანი ამდენად შეუწყნარებელნი და შეთანხმების უუნარონი არიან იმის გამო, რომ მათში ძალიან ბევრი (და არა ძალიან ცოტა) დემოკრატიაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველასთვის სასარგებლო და სასურველი ნაკლებადდემოკრატიული ხელისუფლებაა.

რაც ძალიან საინტერესოა, **მესამე მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ყალიბდება თავად დასავლეთში დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის უპრეცედენტო შემცირების ფონზე.** ერთმანეთისგან მხოლოდ სახელებით განსხვავებულ პარტიებში წლიდან წლამდე სულ უფრო მცირე რაოდენობით წევრები რჩებიან, არჩევნებში კი წლიდან წლამდე სულ უფრო ცოტა ამომრჩეველი მონაწილეობს. გასაკვირი არაა, რომ **უსახელო ჩინოვნიკები სულ უფრო ხშირად იღებენ გადაწყვეტილებებს ხალხის გვერდის ავლით.**

შედეგად, **დემოკრატიისადმი ნდობა, რომელსაც ზომავს რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, უკანასკნელ შვიდ წელიწადში ევროკავშირის ყველა ქვეყანაში შემცირდა, ბულგარეთის გარდა.** სლოვაკეთსა და უნგრეთში ამ ვარდნამ 20% შეადგინა. აშშ-ის კონგრესი ასევე გადააწყდა მთელი ისტორიის მანძილზე საკუთარი მხარდაჭერის ყველაზე დაბალ დონეს. სუსტდება ფართოდ ყბადაღებული დემოკრატიის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გავრცელების ეფექტიც. Freedom House-ს მონაცემებით, **ევროკავშირში შესვლიდან ათი წლის თავზე უკლებლივ ყველა წევრ ქვეყანაში შემცირდა არჩევნების გამჭვირვალობა, ნეგატიური ცვლილებები განიცადა სიტყვის თავისუფლებამ და ზოგადად დემოკრატიამ.**

დასავლეთში, ისევე, როგორც აზიასა და ამერიკაში, პოლიტიკა სულ უფრო ხშირად კეთდება ქუჩაში. ერთმა ესპანელმა დემონსტრაციაზე განაცხადა: **„ჩვენი მშობლები მადლობელნი იყვნენ იმის გამო, რომ ხმის მიცემის უფლება მისცეს, ჩვენ კი ვართ პირველი თაობა, რომელიც ამბობს, რომ არჩევნებზე სიარული უაზრობაა“.** ანალოგიური მოსაზრებები აქვთ ახალგაზრდა იტალიელი მემარცხენეების ლიდერს — ბეპე გრილოსაც, მაგრამ, ვიდრე იტალია შორსაა ღრმა ესპანური კრიზისისგან, იქ ხალხს ნაკლებად აღელვებს მორიგი გადაადგილებები სახელმწიფო მმართველობაში. ამერიკელმა ისტორიკოსმა პოლ რეიმ ამ მოვლენას **რბილი დესპოტიზმისკენ მიმართული დემოკრატიის რყევა** უწოდა და განაცხადა, რომ დასავლეთში ეს რყევა კომუნიზმის დამხობის შემდეგ დაიწყო. იგი წერდა, რომ **ლიბერალური დემოკრატიის მიერ სრული ჰეგემონიის უეცრად მოპოვებას საუკეთესო შემთხვევაში — ფრთხილი ოპტიმიზმით, უარეს შემთხვევაში კი გულგრილობით შეხვდნენ. ახლა კი უკვე დადგა ის სიტუაცია, როდესაც მოწყენილობა გაღიზიანებით და იმედგაცრუებით შეიცვალა.** ევროპელთა ახალგაზრდა თაობებს არ გააჩნიათ არც სრული თავისუფლება, არც მატერიალური სტაბილურობა, არც მჭიდრო კავშირები ლოკალური საზოგადოებებისა და ოჯახების დონეზე.

რევოლუციის შიშით არავინ დაიწყებს დასავლური დემოკრატიების რეფორმირებას. რევოლუციებს მუდამ ახალგაზრდები აწყობდნენ, ახლანდელი დემოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით კი, ისინი ძალიან ცოტანი არიან. ამიტომაც, **დიდი ალბათობით, ჩვენი ცივილიზაცია შექმნის მეტ-ნაკლებად ოლიგარქიულ სისტემას, რომელშიც ახალი ფეოდალების ძალაუფლებას ბებერ ევროპაში ერთდროულად დაამკვიდრებენ ჩინელებიც, რუსებიცა და ამერიკელებიც.** ყველა მსოფლიო ზესახელმწიფო ხომ დასავლეთ ევროპას აღიქვამს როგორც ბანკის, ღია ცის ქვეშ მუზეუმისა და ელეგანტური ქალაქგარე კლუბის ერთგვარ ჰიბრიდს. რევოლუცია კი არავის სჭირდება.

fronda.pl

# ამერიკული გადასადნობი ქვაბის ქვეშ ჩამქრალი ცეცხლი

**ვიდრე ევროკავშირის დასავლეთ საზღვრისპირეთში მთელი ძალით ცდილობენ, „გადახარშონ“ ახალი ევროპელების შეტევა, ბრიტანელი პრემიერი კი მოუწოდებს, რაც შეიძლება მეტი მიგრანტი გაასახლონ, მათზე დაკვირვებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საშუალება არის, მაგრამ დასკვნების გაკეთებამდე აუცილებელია იმის გაგება, თუ რატომ ჩავარდა ამერიკული და ევროპული დემოგრაფიული ექსპერიმენტი.**


„მარა სალვატრუჩას“ წევრები

თანამედროვე ევროპამ და აშშ-მა მიგრაციული პოლიტიკის სხვადასხვა მოდელები აირჩიეს. აშშ-ის პოლიტიკას, რომელიც ახლადჩასულებისა და ძირძველი ამერიკელების კულტურული განსხვავებულობის წაშლისკენაა მიმართული, დრამატურგმა ისრაელ ზანგუილასტალმა **„გადასადნობი ქვაბი“** უწოდა. ევროპამ კი, გამოიარა რა ორი მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლი, აირჩია ყველასა და ყველაფრის შემწყნარებლობის გზა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების მეორე პლანზე გადაწევისა და იმიგრანტების მხარდაჭერის ხარჯზე. ამ პოლიტიკას **მულტიკულტურიზმი** უწოდეს.

და თუ ევროკავშირის უდიდესი ქვეყნების ხელმძღვანელთა განცხადებების შემდეგ მულტიკულტურიზმის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ ზარმაცები არ საუბრობდნენ, ამერიკული „გადასადნობი ქვაბის“ ქვეშ ცეცხლის ჩაქრობის ფაქტი ხშირად საზოგადოებისა და ექსპერტების ყურადღების მიღმა რჩება.

აშშ-ში გადასახლებულთა გადადნობის პროცესის შეჩერება თავადაც ხანგრძლივი პროცესი იყო. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ყველაზე კაშკაშა მომენტები და მათი თანმდევი ტენდენციები.

**ამერიკაში მუდამ ჩადიოდნენ. ზოგი ოქროს ეძებდა, ზოგი შიმშილს გაურბოდა. მაგრამ იმიგრანტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა 1960-იანი წლებიდან. იმ პერიოდში აშშ-ში ცხოვრობდა აზიიდან და ლათინური ამერიკიდან ჩასული დაახლოებით 5 მილიონი ადამიანი, 2000-იანი წლების დასაწყისში კი მათი რაოდენობა 57 მილიონს აჭარბებდა.** თუ ადრე მიგრანტები ადვილად ასიმილირდებოდნენ მიმღებ ქვეყანაში, ახლა ყველაფერი პირიქითაა — **მიგრანტების 90% ცდილობს, ნებისმიერი გზით აარიდოს თავი ასიმილირებას და უპირატესობას ანიჭებს ახალი საცხოვრებელი ქვეყნის კანონმდებლობის იგნორირებას.**

1990-იან წლებთან შედარებით, 25 შტატში — ორჯერ, 9 შტატში კი სამჯერ გაიზარდა უცხოური წარმომავლობის მოსახლეობის რაოდენობა. ჩრდილოეთ კაროლინაში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე უცხოური წარმომავლობისა და ესპანურენოვანი მოსახლეობის რაოდენობა შესაბამისად 390 და 540%-ით გაიზარდა. ჯორჯიასა და კოლორადოში ნამატის მაჩვენებლებმა 200%-ს გადააჭარბა.

მაგრამ კალიფორნია მაინც კონკურენტგარეშეა. 90-იან წლებში შტატის მოსახლეობა სამი მილიონი ადამიანით გაიზარდა, თეთრკანიანების რაოდენობა კი მილიონით შემცირდა. ყოველწლიურად კალიფორნიას დაახლოებით 100 ათასი თეთრკანიანი ტოვებს. **აზიელების რაოდენობა კალიფორნიაში ბოლო 15 წელიწადში 42%-ით გაიზარდა, 18 წელიწადზე ნაკლები ასაკის ესპანურენოვანი მოსახლეობის რაოდენობა კი — 43%-ით. ამრიგად, მექსიკა „იბრუნებს“ აშშ-ის მიერ XIX საუკუნეში მიტაცებულ მიწებს — კალიფორნია მექსიკოფორნია ხდება.**

**მიმდინარეობს აშშ-ის ძირძველი მოსახლეობის გაცამტვერების პროცესი: უკანასკნელ წლებში ქვეყანაში უმცირესობების რაოდენობა 11-დან 33%-მდე გაიზარდა.**

ეს არც ისე დიდი უბედურება იქნებოდა, რომ არ ახლდეს ამერიკული სახელმწიფოს ხრწნის პროცესები. საქმე ისაა, რომ ვიდრე ქვეყანაში ანტიმექსიკურ კედლებს აშენებდნენ, ამერიკული ნარკოკონტროლი კი ნარკობიზნესის წილში შედიოდა, დეგრადირდა ამერიკული განათლება, რომლის მიზანი არამხოლოდ ცხოვრების საგზურის გაცემა, არამედ ბავშვების ასიმილაციაც იყო. შედეგად, **იმ სამი მილიონი მექსიკელიდან, რომლებიც ლოს-ანჯელესს საკუთარ სახლად მიიჩნევენ, 54% სახლში ინგლისურად არ მეტყველებს. უფროსი მიგრანტების მესამედს კი საერთოდ არ აქვს საშუალო განათლება.**

ვინაიდან აშშ საკუთარ თავს ახალ რომის იმპერიად მიიჩნევს, პარალელების გავლებაც დროულია. ქვეყანა ძალზე ახლოსაა აღსასრულთან: შარშან კონგრესმენებმა მოიწონეს იმპერიის მთელი თავისუფალი მოსახლეობისთვის რომის მოქალაქეობის მიმნიჭებელი ძველრომაული ედიკტ კარაკალას ანალოგი.

**საეჭვოა, რომ იმპერიის გახრწნის პროცესი მშვიდობიანი და უსისხლო იყოს: მხოლოდ ბანდა „მარა სალვატრუჩას“ წევრები ამერიკის 33 შტატსა და რეგიონის 6 ქვეყანაში 100 ათასზე მეტნი არიან, სულ კი აშშ-ში 1,1 მილიონი სალვადორელია, ეს მხოლოდ სალვადორელები. სიტუაციას ამძიმებს ცეცხლსასროლი იარაღის არნახული რაოდენობა: ამერიკელებს მთელი მსოფლიოს თოფების ნახევარი აქვთ.**

**ჯერჯერობით ამ შეიარაღებული ამბოხისთვის მომზადებულ ბანდას აკავებს მასობრივი რყევებისა და აშშ-ის ტერიტორიაზე ცხოვრების დონის მკვეთრი ვარდნის არარსებობა. მაგრამ როგორც კი რაიმე მსგავსი მოხდება, ქაოსს ვეღარც არმია შეაჩერებს, ვერც პოლიცია და ჯავშანტექნიკა. მაშინ კი ამერიკელებსაც მოუწევთ სამხრეთელი მეზობლების გამოცდილების გაზიარება.**

ანალოგიური მდგომარეობაა ლონდონშიც, ოღონდ იარაღის გარეშე, მისი შარიათის პატრულებითა და სამწლიანი ნგრევით. მიგრაციული პოლიტიკის ჩავარდნის საკვანძო მიზეზი არის სახელმწიფოს სისუსტე და დეგრადაცია, სახელმწიფოსი, რომელიც ჯერ ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს კაპიტალის აუტსორსინგს გადასცემს, შემდეგ კი სულაც მას ემორჩილება.

ეს მოვლენები შეიძლება განხილულ იქნეს პასიონარული ეთნოგენეზის თეორიის ჭრილშიც. მისი მიმდინარეობა ეთნოსების განვითარების ამგვარ პროცესებს და სახელმწიფოთა დაღუპვას გარდაუვალს ხდის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: **სახელმწიფოს სისუსტე განაპირობებს მის უუნარობას, წინ აღუდგეს მიგრანტების შეტევებს, რომ არაფერი ვთქვათ მათი აღზრდისა და ასიმილაციის უუნარობაზე.** გარდა ამისა, არ უნდა ჩამოვწეროთ ანგარიშებიდან აშშ-ისა და ყოფილი ევროპული კოლონიალური იმპერიების ჩარევა ტერიტორიების დაპყრობის საქმეებში. **ამერიკულ-სალვადორული „მარა სალვატრუჩო“ სწორედ ლათინური ამერიკის ქვეყნების შიდა პოლიტიკაში აშშ-ის ამგვარი ჩარევის გვერდითი მოვლენაა. ლონდონური შარიათის პატრულები და პარიზული ნგრევები კი სხვა არაფერია, თუ არა ყოფილ კოლონიებთან შერიგების მცდელობების და მათი მცხოვრებლების სახლში შეშვების შედეგები.**

Однако

მოკლედ

## დანიელ ქალებს ხელისუფლება სექსტურებს სთავაზობს

**დანიის ტურისტული სააგენტოები მნიშვნელოვან ფასდაკლებას სთავაზობენ ქალებს, რომლებიც ოვულაციის (კვერცხუჯრედების მომწიფების) პერიოდში იმოგზაურებენ. ასეთი მეთოდით აპირებენ ქვეყანაში შობადობის გაზრდას.**

სტატისტიკური მონაცემებით, დანიაში 1000 სულ მოსახლეზე 10 ბავშვი იბადება. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ჩრდილოეთ ევროპაში. ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა. იმისათვის, რომ დაეხმარონ ხელისუფლებას ქვეყანაში შობადობის გაზრდაში, დანიურმა ტურისტულმა სააგენტოებმა წამოიწყეს აქცია „შეძლებს კი სექსი დანიის გადარჩენას?“. აქციის პირობების თანახმად, ქალები ფასდაკლებით იმოგზაურებენ იმ შემთხვევაში, თუ ანკეტაში სწორად მიუთითებენ მენსტრუაციის დაწყების პირველ დღეს. შემდეგ ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები გამოთვლიან ოვულაციის სავარაუდო თარიღს და რომანტიკული დასვენების საგზურს შესაბამისი ვადისთვის გადასცემენ, ოღონდ მნიშვნელოვანი ფასდაკლებით. **ქალი, რომელიც სამოგზაუროდ ყოფნის პერიოდში დაფეხმძიმდება, ავტომატურად მონაწილეობს გათამაშებაში, რომლის მთავარი პრიზიც სამი წლის განმავლობაში უფასო პამპერსით მომარაგებაა. ამისთვის კი საკმარისია ტურისტულ სააგენტოს ფეხმძიმობაზე ტესტის შედეგი აცნობოს.**

ქვეყნის ხელისუფლების მონაცემებით, დანიელებს უცხოეთში დასასვენებლად ყოფნის პერიოდში ორჯერ უფრო ხშირად აქვთ სექსი, ვიდრე ქვეყანაში ყოფნისას — ფეხმძიმობის 10 პროცენტზე მეტი სწორედ შვებულების პერიოდზე მოდის.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ ქალის შესახებ, რომელმაც დაოჯახებისა და განქორწინების მთელი სერია გაიარა, მედია მთელ ქვეყანაში გაჰყვირის. საეთერო დროის საათები ეთმობა ხან ერთ, ხან მეორე დაუბანელ ნარკომანულ და დეკადენტურ როკჯგუფს, მათ შეშლილ ხმებს, გიჟურ ცეკვებს, ტანსაცმელსა და ენობრივ გადახრებს. საპნის ოპერები, რომლებშიც ზოგიერთი სცენა პორნოგრაფიულს უახლოვდება, უკვე აღარ იწვევს კომენტარებს.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-11 (236-246)**

**ზუსტად ასეთ რეაქციაზე გვაპროგრამებს ტავისტოკის ინსტიტუტი და უილის ჰარმონი. ჩვენი იდეალების ნგრევა არ გამოიწვევს პროტესტს. ჩვენი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი განადგურებულია!**

1991 წლის 27 მაისს პრეზიდენტმა ბუშმა გააკეთა ძალიან ღრმაშინაარსიანი განცხადება, რომლის აზრიც, როგორც ჩანს, სრულებით არასწორად ახსნეს ჩვენმა პოლიტიკურმა კომენტატორებმა:

**„ამერიკული პოლიტიკის მორალური მხარე მოითხოვს ჩვენგან, ისეთი მსოფლიოს მორალურ კურსს მივსდიოთ, სადაც ნაკლებ ბოროტებას ირჩევენ. სწორედ ეს არის რეალური სამყარო, რომელიც არ იყოფა თეთრად და შავად. აქ ძალიან ცოტა მორალური აბსოლუტია“.**

კიდევ რას უნდა ველოდოთ პრეზიდენტისგან, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე საზარელი ადამიანია, რომელსაც ოდესმე თეთრი სახლი დაუკავებია?

იფიქრეთ ამის შესახებ, **გაიხსენეთ 12 ათასი ერაყელი სამხედროს ცოცხლად დამარხვის შესახებ მისი ბრძანება. გაიხსენეთ ომი და ერაყელი ხალხის გენოციდი, რომელიც ჯერაც გრძელდება.** პრეზიდენტმა ბუშმა სიამოვნებით დაახასიათა სადამ ჰუსეინი „ჩვენი დროის ჰიტლერად“. მას არც კი წარმოუდგენია თავისი მოსაზრების სულ პატარა მტკიცებულებაც კი. ამის აუცილებლობა, უბრალოდ, არ იყო. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა — და ჩვენ ეს მივიღეთ კითხვების გარეშე. იფიქრეთ ამაზე ჭეშმარიტების წინაშე — მან ხომ ეს ამერიკელი ხალხის სახელით განაცხადა, თუმცა თავად ბრძანებები საიდუმლოდ „300-თა კომიტეტიდან“ მიიღო.

მაგრამ, რაც მთავარია, გაიაზრეთ: **პრეზიდენტი ბუში და მისი მფარველები თავს იმდენად დაუსჯელად გრძნობენ, რომ ისინი უკვე აღარ თვლიან საჭიროდ, დამალონ თავიანთი მზაკვრული კონტროლი ამერიკელ ერზე.** მისი განცხადებიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ იგი, როგორც ჩვენი ლიდერი, სიმართლესთან, პატივთან და ღირსებასთან ყველანაირ კომპრომისზე წავა, თუ მისი (და ჩვენი) მმართველები ჩათვლიან ამას აუცილებლად. **1991 წლის 27 მაისს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გააუქმა ჩვენი კონსტიტუციის ყველა პრინციპი და თამამად განაცხადა, რომ აღარაა ამით შებოჭილი.** ეს ტავისტოკის ინსტიტუტისა და სტრატეგიული დაბომბვის დაგეგმარების სამმართველოს დიდი გამარჯვებაა, რომლის სამიზნეც 1945 წელს გერმანული საცხოვრებელი კვარტლების ნაცვლად ამერიკელი ხალხის სული გახდა იმ ომში, რომელიც 1946 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ჩვენს ხალხზე გაძლიერებული ზეწოლა მისი გარდაქმნის მიზნით სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტის მიერ სამოციანი წლებიდან დაიწყო. სკი-ს შეტევა ძალას იკრებდა. **ჩართეთ თქვენი ტელევიზორი და თვალნათლივ დაინახავთ სკი-ს გამარჯვებას: თოქშოუები ყველაზე ინტიმური სექსუალური დეტალების შესახებ, სპეციალური ვიდეოარხები, რომლებზეც მეფობს გარყვნილება, როკ ენ როლი და ნარკოტიკები.** იქ, სადაც ოდესღაც ჯონ უეინი იყო კერპი, ახლა ჩვენ გვაქვს ადამიანის (ადამიანია კი?) ხელოვნური აპოლოგია სახელად მაიკლ ჯექსონი – ადამიანური არსების პაროდია, რომელსაც გმირად თვლიან, ხოლო იგი ამ დროს ტრიალებს, ძიგძიგებს, ჩურჩულებს და წივის მილიონობით ამერიკული სახლის სატელევიზიო ეკრანებზე.

**იმ ქალის შესახებ, რომელმაც დაოჯახებისა და განქორწინების მთელი სერია გაიარა, მედია მთელ ქვეყანაში გაჰყვირის. საეთერო დროის საათები ეთმობა ხან ერთ, ხან მეორე დაუბანელ ნარკომანულ და დეკადენტურ როკჯგუფს, მათ შეშლილ ხმებს, გიჟურ ცეკვებს, ტანსაცმელსა და ენობრივ გადახრებს. საპნის ოპერები, რომლებშიც ზოგიერთი სცენა პორნოგრაფიულს უახლოვდება, უკვე აღარ იწვევს კომენტარებს.** სამოციან წლებში მსგავს რამეს არ მოითმენდნენ, ახლა კი ეს უკვე ნორმად ითვლება. **ჩვენ დაგვამუშავეს იმით, რასაც ტავისტოკის ინსტიტუტი „მომავალ შოკებს“ ეძახის.** ამასთან, ეს მომავალი უკვე დადგა და **ჩვენ იმდენად დაგვაყრუა**



**კიდევ რას უნდა ველოდოთ პრეზიდენტისგან, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე საზარელი ადამიანია, რომელსაც ოდესმე თეთრი სახლი დაუკავებია?**

**ამ მუდმივმა კულტურულმა შოკებმა, რომ ყველა პროტესტი უსარგებლო ჟესტად გვეჩვენება, ამიტომ ლოგიკურად ვფიქრობთ, რომ პროტესტს არანაირი აზრი არ აქვს.**

1986 წელს „300-თა კომიტეტმა“ ბრძანა ზეწოლის გაძლიერება. აშშ-ის დაცემა არასაკმარისად სწრაფი იყო. შეერთებულმა შტატებმა დაიწყო კამბოჯელი ყასბების, პოლ პოტის დანაშაულებრივი რეჟიმის „აღიარების“ პროცესი, რომლებმაც თავად აღიარეს კამბოჯის 2 მილიონი მოქალაქის მკვლელობა. 1991 წელს ბორბალმა სრული ბრუნვა გააკეთა. **შეერთებულმა შტატებმა ომით გაილაშქრა მოძმე ერის წინააღმდეგ, რომელიც დაპროგრამებული იყო ვაშინგტონელი მოღალატეების ნდობაზე.** ჩვენ ბრალს ვდებდით ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს ყველა ცოდვაში. ჩვენ ვკლავდით და ვასახიჩრებდით მათ შვილებს, ჩვენ გავწირეთ ისინი შიმშილისა და ყველანაირი დაავადებით სიკვდილისთვის.

იმავე დროს **ჩვენ გავგზავნეთ ბუშის ემისრები „300-თა კომიტეტიდან“ კამბოჯაში, რათა ეღიარებინათ ორი მილიონი კამბოჯელის მასობრივი დანაშაულებრივი მკვლელობა, რომლებიც მსხვერპლად შესწირეს ქალაქების მოსახლეობის შემცირების** (დეპოპულაციის) **„300-თა კომიტეტის“ ექსპერიმენტს.**

იგივე მოხდება შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში არც ისე შორეულ მომავალში. ახლა პრეზიდენტი ბუში და მისი „300-თა კომიტეტს“ დაქვემდებარებული ადმინისტრაცია, ფაქტობრივად, გვეუბნება: **„მისმინეთ, ხალხნო, ჩემგან რაღა გინდათ? მე გეუბნებოდით, რომ წავალ კომპრომისებზე, როცა ჩავთვლი საჭიროდ, თუნდაც პოლპოტისეულ მკვლელებთან ლამის გატარება მომიწიოს, ამიტომ დამიკოცნეთ ფეხები“.**

საზოგადოების გარდაქმნის მიზნით მასზე ზეწოლის დონე პიკს 1993 წელს მიაღწევს და ჩვენ გავხდებით მოწმენი სცენებისა, რომლებსაც ადრე შეუძლებლად ჩავთვლიდით. განცვიფრებული ამერიკა მოახდენს რეაგირებას, მაგრამ ძალიან სუსტად. ჩვენ ჩვენივე თავისუფლების უკანასკნელი საფრთხეც აღარ გვაწუხებს — პერსონალური კომპიუტერული ბარათები. უილის ჰარმონის წიგნის „ადამიანური სახის ცვლილება“ იდეები უმრავლესობისთვის ზედმეტად რთულია გასაგებად, ამიტომ მიმართეს დასახმარებლად მერილინ ფერგიუსონს, რათა ისინი უფრო გასაგები გაეხადათ. „მერწყულის ხანის“ აბრის ქვეშ სცენაზე მიმდინარეობს სტრიპტიზშოუ, ხოლო სიმღერამ „მერწყულის ხანის განთიადი“ (The Dawning of the Age of the Aquarius) ჰიტაღლუმების ზედა სტრიქონები დაიკავა და მთელი მსოფლიო მოიარა.

**პერსონალური კომპიუტერული ბარათები, როდესაც მათ სრულად გაავრცელებენ, მოგვწყვეტენ ჩვეულ გარემოს, გარემო კი ნიშნავს ბევრად მეტს, ვიდრე ამ სიტყვის გავრცელებული მნიშვნელობა. შეერთებულმა შტატებმა მიიღო მორალური ტრავმა, რომელიც არ მიუღია არც ერთ ერს მსოფლიოში და ყველაზე უარესი ჯერ კიდევ წინაა.**

**ყველაფერი ხდება ტავისტოკის ნებით და სტენფორდელი „სოციოლოგების“ გეგმით. დრო არ იცვლება, მას ცვლიან. ყველა ცვლილება წინასწარ დაგეგმილია და ხდება გულდაგულ გათვლილი მოქმედებების შედეგად.** თავიდან ჩვენ ნელა ვიცვლებოდით, მაგრამ ახლა ტემპი იზრდება. შეერთებული შტატები მრავალენოვან კონგლომერატად იქცევა. აშშ უკვე აღარაა „ერთი ერი ერთი ღმერთით“. კონსტიტუციის საფუძვლებმა მარცხი განიცადა.

**ჩვენ გავგზავნეთ ბუშის ემისრები «300-თა კომიტეტიდან» კამბოჯაში, რათა ეღიარებინათ ორი მილიონი კამბოჯელის მასობრივი დანაშაულებრივი მკვლელობა, რომლებიც მსხვერპლად შესწირეს ქალაქების მოსახლეობის შემცირების (დეპოპულაციის) «300-თა კომიტეტის» ექსპერიმენტს**

ჩვენი წინაპრები ერთ ენაზე საუბრობდნენ, ერთ რელიგიას — ქრისტიანობას მიჰყვებოდნენ და საერთო იდეალები ჰქონდათ. ჩვენს გარემოში უცხოები არ იყვნენ; ეს გვიან მოვიდა, როგორც ჩვენი ქვეყნის ეროვნებებად, კულტურებად და სარწმუნოებებად დაყოფის შეგნებული მცდელობა. თუ ამაში ეჭვი გეპარებათ, გაისეირნეთ შაბათ დღეს ნიუ იორკის ისტ საიდზე ან ლოს ანჯელესის ვესტ საიდზე და გარშემო მიმოიხედეთ. შეერთებული შტატები რამდენიმე ერი გახდა, რომლებიც ცდილობენ თანაარსებობას მთავრობის ერთიანი სისტემის ქვეშ. **როდესაც ემიგრაციის კარიბჭეები „300-თა კომიტეტის“ მეთაურის ბიძაშვილმა, ფრანკლინ დ. რუზველტმა, ფართოდ გახსნა, კულტურულმა დარტყმამ დიდი დაბნეულობა და გაურკვევლობა გამოიწვია, შედეგად „ერთიანი ერის“ კონცეფციამ მუშაობა შეწყვიტა. „რომის კლუბმა“ და ნატომ სიტუაცია გაამწვავეს. ფორმულა „შეიყვარე მოყვასი შენი“ არ მუშაობს, თუ თქვენი მოყვასი ისეთივე არაა, „როგორც თქვენ თვითონ“.**

ჩვენი კონსტიტუციის შემქმნელთათვის ის ჭეშმარიტებები, რომლებიც მათ მომავალი თაობებისთვის გამოაცხადეს, თავისთავად თვალნათელი იყო. რაკი არ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ შემდეგი თაობებიც ამ ცხად ჭეშმარიტებებს ასევე მიიჩნევდნენ აუცილებლად შესასრულებლად, მათ დაიწყეს მათი დეტალურად ახსნა. როგორც ჩანს, მათ ეშინოდათ, რომ დადგება დრო, როცა ჭეშმარიტებები, რომლებსაც ისინი მისდევდნენ, აღარ იქნებოდა თვალნათელი. **ტავისტოკის ადამიანურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დამდგარიყო დრო, რომლისაც ეშინოდათ აშშ-ის კონსტიტუციის შემქმნელებს. ეს დრო დადგა ბუშის მოსვლასთან ერთად, მისი „მორალური აბსოლუტების არარსებობით“ და „300-თა კომიტეტის“ ახალი მსოფლიო წესრიგით.**

ეს არის ამერიკისთვის თავსმოხვეული სოციალური ცვლილებების კონცეფციის ნაწილი. ეს კონცეფცია, ჰარმონისა და „რომის კლუბის“ სიტყვებით, ნიშნავს ამერიკელებისთვის სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმებს და მზარდ ზეწოლას. საზოგადოებრივი არეულობები, რომლებიც ტავისტოკის, „რომის კლუბისა“ და ნატოს შექმნიდან დაიწყო, გაგრძელდება აშშ-ში მანამ, სანამ ამ ცვლილებების ზღვარს არ მიაღწევენ. ერები ინდივიდებისგან შედგება და მათაც აქვთ ფსიქოლოგიური ზღვარი, რომლის შემდეგაც ცვლილებები შეუძლებელია, მიუხედავად ინდივიდისა თუ ერის ძლიერებისა.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კურტ ლევინმა მისცა ტავისტოკის ინსტიტუტს, „რომის კლუბს“ და ნატოს შეუზღუდავი ძალაუფლება ამერიკაზე, რომლის უფლება არც ერთ ორგანიზაციას, გაერთიანებას თუ საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს. ეს დაწესებულებები უზურპირებულ ძალაუფლებას იყენებდნენ, რათა შეთქმულების გეგმებისა და განზრახვებისთვის წინააღმდეგობის ერის ნება დაენგრიათ, წაერთმიათ ჩვენთვის ამერიკული რევოლუციის ნაყოფი და მივემართეთ გზაზე, რომელსაც პირდაპირ ახალ, ბნელ საუკუნეებში მივყავართ ერთიანი მსოფლიო მთავრობის ძალაუფლების ქვეშ.**

◀ ეს ფსიქოლოგიური ჭეშმარიტება საიმედოდ დაადასტურა სტრატეგიული დაბომბვის დაგეგმვის სამმართველომ, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია გერმანელი მუშების საცხოვრებელი კვარტლების დაბომბვას „გაჯერების ზღვრულ წერტილამდე“. როგორც ადრე ვახსენებდი, ეს პროექტი შემუშავდა სადაზღვევო კომპანია „ფრუდენშიალ ინშურანს კომპანის“ (Prudential Insurance Company) ეგიდით და დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ გერმანია სწორედ ამ ოპერაციის შედეგად დამარცხდა. ბევრი მეცნიერი, რომლებიც ამ პროექტზე მუშაობდნენ, განაგრძობს მუშაობას ამერიკის „ბომბარდირებაზე“ „გაჯერების ზღვრულ წერტილამდე“ ან თავისი დახვეწილი მეთოდები საკუთარ მიმდევრებს გადასცა.

მემკვიდრეობა, რომელიც მათ დატოვეს, იმ ფაქტში მჟღავნდება, რომ ჩვენ, როგორც ერმა, თავად დავკარგეთ ჩვენი გზა, მაგრამ ჩვენ შეგნებულად აგვირიეს გზა, რომლითაც დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორები ორას წელზე მეტ ხანს გვატარებდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, **ჩვენ დავკარგეთ კავშირი ჩვენს ისტორიულ ფესვებთან, დავკარგეთ რწმენა. ის, რომ ჩვენ საკუთარი გზა დავკარგეთ, ყველას ესმის, ვინც სიმართლეს ეძებს, როგორი მწარეც არ უნდა იყოს იგი.**

„მორალური აბსოლუტების არმქონე“ ბუშის მიერ მართვადები, ჩვენ მივხოხავთ გაურკვეველი მიმართულებით, როგორც დაკარგული ერი და ეს

## ამერიკული ოცნება მირაჟად იქცევა. ისინი თავიანთ რწმენას რელიგიაში დებენ, მაგრამ არ დგამენ რეალურ ნაბიჯებს რწმენის განსამტკიცებლად



## მტერი «300-თა კომიტეტი», «რომის კლუბი», ნატო და ყველა მათი ფილიალია, გონებრივი ცენტრი და კვლევითი ორგანიზაციები, რომლებსაც ტავისტოკი მართავს

ინდივიდუმთა განწყობაშიც მჟღავნდება. ჩვენ ვთანამშრომლობთ „300-თა კომიტეტთან“ ჩვენივე კრახისა და დამონებისთვის. ზოგი გრძნობს ამას და ძლიერ შეშფოთებას განიცდის. შეთქმულების სხვადასხვა თეორია, რომლებსაც ისინი იცნობენ, როგორც ჩანს, ვერ უხსნის მათ ყველაფერს ბოლომდე. ეს იმიტომ, რომ მათ არაფერი იციან შეთქმულთა იერარქიაზე — „300-თა კომიტეტზე“.

ეს სულები, რომლებიც ღრმა შფოთვას განიცდიან, რომლებიც გრძნობენ, რომ ხდება რაღაც სრულიად უადგილო, მაინც ვერ ახერხებენ ძალების მოკრებას პრობლემის გადასაჭრელად, სიბნელეში დადიან. ისინი იყურებიან მომავლისკენ, რომელიც მათ გაურბის. **ამერიკული ოცნება მირაჟად იქცევა. ისინი თავიანთ რწმენას რელიგიაში დებენ, მაგრამ არ დგამენ რეალურ ნაბიჯებს რწმენის განსამტკიცებლად.**

მტერმა 1980 წელს გადაწყვიტა, შეერთებული შტატებისთვის ისეთი ძალის დარტყმა მიეყენებინა, რომ ამერიკის აღორძინება შეუძლებელი გამხდარიყო. ვინაა ეს მტერი? ეს მტერი არ არის ვიღაც უსახო „ისინი“. **მტერი „300-თა კომიტეტი“, „რომის კლუბი“, ნატო და ყველა მათი ფილიალია, გონებრივი ცენტრი და კვლევითი ორგანიზაციები, რომლებსაც ტავისტოკი მართავს.** არ არის აუცილებლობა იმისა, რომ გამოვიყენოთ სიტყვები „ისინი“ ან „მტერი“, თუ არა შემოკლების მიზნით. ჩვენ ვიცით, ვინ არიან „ისინი“ და ვინაა მტერი. „300-თა კომიტეტი“ მისი „არისტოკრატიით“ — აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს ლიბერალური ისტებლიშმენტით, მისი ბანკებით, სადაზღვევო კომპანიებით, გიგანტური კორპორაციებით, ფონდებით, კომუნიკაციური ქსელებით და სათავეში შეთქმულთა იერარქიით – აი, ვინაა მტერი.

**ამ ძალამ განახორციელა ბოლშევიკური რევოლუცია და დაამყარა ტერორის მეფობა რუსეთში, დაიწყო პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ომი კორეაში, ომი ვიეტნამში, ორგანიზება გაუწია კრიზისებს როდეზიაში, სამხრეთ აფრიკაში, ნიკარაგუასა და ფილიპინებზე. ეს საიდუმლო ზემთავრობაა, რომელმაც განახორციელა აშშ-ის ეკონომიკის გამიზნული ნგრევა და იმ ქვეყნის საბოლოო დეინდუსტრიალიზაცია, რომელიც ოდესღაც უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მსოფლიოში.**

**ამერიკა დღეს შეგვიძლია შევადაროთ ჯარისკაცს, რომელსაც ბრძოლის ველზე უეცრად ჩაეძინა.** ჩვენ, ამერიკელებს, უბრალოდ ჩაგვეძინა და უფლება მივეცით აპათიაში ჩავვეგდეთ, რაც არჩევანის გადამეტებულმა შესაძლებლობებმა გამოიწვია. ეს ცვლილებები გარდაქმნის ჩვენს გარემოს, გვართმევს წინააღმდეგობის გაწევის უნარს — ჩვენ ვხდებით მოშვებულები, აპათიურები და ბოლოს და ბოლოს ვიძინებთ შუა ბრძოლაში.

## ყველაფერი ხდება ტავისტოკის ნებით და სტენფორდელი «სოციოლოგების» გეგმით. დრო არ იცვლება, მას ცვლიან. ყველა ცვლილება წინასწარ დაგეგმილია და ხდება გულდაგულ გათვლილი მოქმედებების შედეგად




## ტავისტოკის ადამიანურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დამდგარიყო დრო, რომლისაც ეშინოდათ აშშ-ის კონსტიტუციის შემქმნელებს. ეს დრო დადგა ბუშის მოსვლასთან ერთად, მისი «მორალური აბსოლუტების არარსებობით» და «300-თა კომიტეტის» ახალი მსოფლიო წესრიგით

არსებობს ამ მდგომარეობის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი. მას ეწოდება **„ღრმად შეღწევადი ხანგრძლივი დაძაბულობა“.** ხალხის დიდ ჯგუფებზე ღრმად შეღწევადი ხანგრძლივი დაძაბულობის გზით გავლენის მოხდენის ხელოვნება შეიმუშავეს ტავისტოკის ინსტიტუტმა და მისმა შვილობილმა ორგანიზაციებმა აშშ-ში: სტენფორდის კვლევითმა ინსტიტუტმა, „რენდ კორპორეიშენმა“ და კიდევ აშშ-ის, სულ ცოტა, 150-მა კვლევითმა დაწესებულებამ.

**დოქტორმა კურტ ლევინმა — მეცნიერმა, რომელმაც შეიმუშავა ომის წარმოების ეს ეშმაკისეული გზები, აიძულა საშუალო ამერიკელი პატრიოტი, ჭკუიდან გადასულიყო შეთქმულების სხვადასხვა თეორიით, რადგან მასში დაუცველობის, საფრთხის, მარტოობისა და შიშის შეგრძნება ბადებდა.**

დოქტორ ლევინის სახელი არ არის ისტებლიშმენტის ისტორიის არც ერთ წიგნში, რომლებიც საბოლოო ჯამში წარმოადგენს მოვლენების ჩანაწერებს, რომლებიც მმართველი კლასის ან ომში გამარჯვებულების თვალსაზრისს გამოხატავს. ამიტომ მე სიამაყით წარმოგიდგენთ მის სახელს. როგორც ადრე ვახსენე, **დოქტორ ლევინმა ტავისტოკის ინსტიტუტის ეგიდით ჰარვარდის ფსიქოლოგიურ კლინიკას და სოციალური კვლევების ინსტიტუტს გაუწია ორგანიზება. ამ ორი ორგანიზაციის დასახელება მათ ჭეშმარიტ მიზნებს არ გამოხატავს.**

**კურტ ლევინმა მისცა ტავისტოკის ინსტიტუტს, „რომის კლუბს“ და ნატოს შეუზღუდავი ძალაუფლება ამერიკაზე, რომლის უფლება არც ერთ ორგანიზაციას, გაერთიანებას თუ საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს.** ეს დაწესებულებები უზურპირებულ ძალაუფლებას იყენებდნენ, რათა შეთქმულების გეგმებისა და განზრახვებისთვის წინააღმდეგობის ერის ნება დაენგრიათ, წაერთმიათ ჩვენთვის ამერიკული რევოლუციის ნაყოფი და მივემართეთ გზაზე, რომელსაც პირდაპირ ახალ, ბნელ საუკუნეებში მივყავართ ერთიანი მსოფლიო მთავრობის ძალაუფლების ქვეშ.

ამ შორსმიმავალი მიზნის განხორციელებაში ლევინის დამხმარეები იყვნენ რიჩარდ კროსმანი (Richard Crossman), ერიკ ტრისტი (Eric Trist), გ. ვ. დიქსი (H. V. Dicks), უილის ჰარმონი (Willis Harmon), ჩარლზ ანდერსონი (Charles Anderson), გარნერ ლინდსეი (Garner Lindsay), რიჩარდ პრაისი (Richard Price) და უ. რ. ბაიონი (W. R. Bion). მიაქციეთ ყურადღება – ეს სახელები არასოდეს გამოჩენილა სალამოს ახალ ამბებში: ფაქტობრივად, ისინი მხოლოდ მეცნიერულ ჟურნალებში ჩნდებოდნენ, ამიტომ ასე ცოტა ამერიკელმა იცის ან წარმოუდგენია, თუ რა გააკეთეს ან რის კეთებას აგრძელებენ ისინი აშშ-ისთვის.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ერთ თვეში პარლამენტის სხდომათა დარბაზი მზად იქნება

**„თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში სასესიო და საკომიტეტო სხდომათა დარბაზები დაახლოებით ერთ თვეში მზად იქნება“, — განაცხადა პარლამენტის ვიცესპიკერმა ზვიად ძიძიგურმა.**

„კეთდება სრულიად სხვაგვარი სხდომათა დარბაზი. პარლამენტის სხდომათა დარბაზი მოცულობით შემცირებულია. თუ ის ადრე 235 კაცზე იყო გათვლილი, ახლა 150 კაცზეა. უახლოეს პერიოდში დაიწყება დარბაზის შეფიცვრა, ავეჯის შეტანა და დაახლოებით ერთი თვის თავზე სხდომათა დარბაზი იქნება სრულ მზადყოფნაში, რათა საპარლამენტო სხდომებს უმასპინძლოს“, — აღნიშნა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, **მიმდინარეობს ათი საკომიტეტო ოთახის მოწყობა, საიდანაც სხდომების ტრანსლირება მოხდება. სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძისა და პირველი რესპუბლიკის სხდომათა დარბაზებში, რაც ასევე დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დასრულდება.**



## რასმუსენს სტოლტენბერგი შეცვლის

**ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე ანდერს ფოგ რასმუსენს ნორვეგიის ყოფილი პრემიერმინისტრი იენს სტოლტენბერგი შეცვლის. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.**

იენს სტოლტენბერგის კანდიდატურა ბრიუსელში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს სხდომაზე წამოაყენეს. იენს სტოლტენბერგი ანდერს ფოგ რასმუსენს (დანიის ყოფილი პრემიერმინისტრი) ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე ოფიციალურად 1 ოქტომბრიდან შეცვლის. 55 წლის იენს სტოლტენბერგი სამჯერ (2000-2011 და 2005-2013 წლებში) იყო ნორვეგიის პრემიერმინისტრი.

**2011 წელს, როდესაც ტერორისტმა ბრეივიკმა 77 ადამიანი მოკლა, ნორვეგიის პრემიერი სწორედ იენს სტოლტენბერგი გახლდათ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პირველი ქართული თეატრალური პერიოდული ორგანო იყო გაზეთი („თეატრი“) და იგი გამოვიდა 1885 წლის 14 ივლისს. იმედია, მომდევნო 20-წლეულის შემდეგ, როგორც ეს უკვე ორჯერ მოხდა წინა საუკუნეში, კვლავ უკან აღარ დატრიალდება ისტორიის ჩარხი...

# როდის დაარსდა პირველი ქართული თეატრალური ორგანო და ჟურნალი იყო ის თუ გაზეთი?

**უკვე მესამე საუკუნეა, არსებობს ჩვენი ეროვნული თეატრალური პრესა და ამდენად, სათაურში დასმული საკითხი, ეგებ, ვერაფერი პატივი იყოს თანამედროვე თეატრმცოდნეობის პრესტიჟისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამ რეალობას ვერ გავექცევით. არადა, ერთ დროს, კერძოდ, გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, საკითხი მართლაც სადავო და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებით იყო დახლართული, შემდეგ ყველაფერი დალაგდა მეცნიერულ დონეზე, მაგრამ, როგორც კი დაიწყო XXI საუკუნე, ისევ, რომ იტყვიან, აირია მონასტერი და ახლა, მაგალითად, სტუდენტს საკურსო ან სადიპლომო თემად რომ მისცე ეს საკითხი, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება.**

ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე, ჩვენი რეალისტური აქტიორული სკოლის ფუძემდებელი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურების გამო **პირველს** მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის ფრიად საპატიო წოდება (1922 წ.) — **ვასო აბაშიძე** (1854-1926) პირდაპირ წერს თავის ავტობიოგრაფიაში, დავაარსეო გაზეთი „თეატრი“ (კრებული „ვასო აბაშიძე“, დიმიტრი ჯანელიძის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბილისი, 1951, გვ. 64) და ეს დასტურდება უამრავი დოკუმენტით, მოგონებით და ა. შ.

იმავე კრებულში რედაქტორი (დ. ჯანელიძე) კომენტარს უკეთებს ვასო აბაშიძის სიტყვებს და წერს: „გაზეთი „თეატრი“ დააარსა ვასო აბაშიძემ 1885 წელს. მისი რედაქტორობით გამოდიოდა 1886 წლის 8.VI-მდე. ეს იყო პირველი სპეციალური სათეატრო გაზეთი...“ (გვ. 165) და იქვე, ყოველი შემთხვევისთვის, მითითებულია უტყუარი წყარო ამ ინფორმაციისა (**გ. ბაქრაძე**, „ქართული პერიოდიკა“, 1946, გვ. 10).

ერთი სიტყვით, გაირკვა, რომ **პირველი სათეატრო ორგანო დაარსდა 1885 წელს და ეს იყო გაზეთი და არა ჟურნალი.** როგორც ხედავთ, თქვენი მონა-მორჩილის სტატიის სათაურში დასმული კითხვას პასუხი გაეცა, რაკი გაირკვა თარილიც და სახეობაც პერიოდიკისა.

მაგრამ გავიდა ორი წელი და 1953 წელს ისევ ბატონი დიმიტრი ჯანელიძის რედაქცით გამოქვეყნდა მეორე წიგნი სერიისა — „ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ“ (შეგახსენებთ, რომ ზემომითითებული კრებული „ვასო აბაშიძე“ პირველი წიგნი იყო ამ სერიისა) „ვალერიან გუნია“ და ვითარება შეიცვალა: თავად ვალერიან გუნია ორ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებას აკეთებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, რედაქციის კომენტარებიც, რომ იტყვიან, სინქრონში მიჰყვება.

დასაწყისში გუნია იგონებს: „ვ. აბაშიძემ „თეატრი“ გადმომცა და მეც გავები „თეატრის“ უღელში. ჩემი შრომა და მეცადინეობა მალე დაეტყო **გაზეთს** (ხაზი ჩემია — გ. დ.) და 54 ხელის მომწერთა რიცხვმა ერთი ორად იმატა...“ (გვ. 177).

ამ მოგონებას მოსდევს რედაქციის კომენტარი (გვ. 265), რომ „თეატრი“ იყო ყოველკვირეული **გაზეთი** (ხაზი ჩემია — გ. დ.). გამოდიოდა 1885-1890 წლებში, თავდაპირველად მას რედაქტორობდა ვ. აბაშიძე (1885-1886 წლებში), შემდეგ — ვალ. გუნია (1886) და ბოლოს — ალ. ნებიერიძეო (1887-1890).

„თეატრი“ რომ გაზეთი იყო, ამ აზრს ვალერიან გუნია 1886 წლის მოგონებებშიც ამტკიცებს: „**გაზეთის** საქმე კარგად მიდის... ვალები დამედო **გაზეთის** გამო... იძულებული ვიქნები, **გაზეთს** თავი დავანებო... დღეს აბაშიძემ მითხრა, **გაზეთის** ბედი გადავწყვიტოთო...“ (გვ. 176-178, ხაზი ყველგან ჩემია — გ. დ.) და ა. შ. წიგნის რედაქციის კომენტარიც (შენიშვნების ავტორები არიან: დ. ჯანელიძე, **კაპიტონ გაწერელია** და **ელისო კაკალაშვილი**) შესაბამისია, კერძოდ, ვასო აბაშიძისადმი მიძღვნილ კომენტარში ნათქვამისა: „...პირველი სათეატრო **გაზეთის** (ხაზი ჩემია — გ. დ.) — „თეატრის“ (1885) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი“ (გვ. 205).

მაგრამ **ივანე მაჩაბლის** მოგონებისას გუნია წერს, რომ ეს ის დრო იყო, „როცა ვასო აბაშიძემ გადმომცა თავისი კვირეული **ჟურნალი** „თეატრი“. 24-ე ნომრიდან ამ **ჟურნალს** (ხაზი ორივეგან ჩემია — გ. დ.) პირადად მე ვხელმძღვანელობდი“ (გვ. 158).

ამ მოგონებასაც მოსდევს რედაქციის კომენტარი, რომელშიც, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს დიმიტრი ჯანელიძისაგან, „თეატრი“ უკვე **ჟურნალადაა** გამოცხადებული. თავად განსაჯეთ:

**„ჟურნალი თეატრი“** — პირველი ქართული თეატრალური ჟურნალი, დაარსდა და გამოდიოდა ვასო აბაშიძის რედაქტორობით 1885-1886 წლებში. ვ. გუნია რედაქტორობდა „თეატრს“ 1886 წლის 8 ივნისიდან“ (გვ. 256).

სხვათა შორის, ცოტა ადრეც გაიელვა ამ კრებულში „თეატრის“ გამოცხადებამ ჟურნალად (გვ. 203). ასე რომ, ეს ის შემთხვევა სულაც არ არის, როცა დაასკვნიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტიაო, რადგან სწორედ აქედან იწყება საკითხის აღრევა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, ყველაფერი დალაგდა: 1974 წელს გამოქვეყნდა ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და კოლეგის, აწ განსვენებული ბატონი **თაზო ქვარიანის** მონოგრაფია — „გაზეთი „თეატრი“, რომლის რედაქტორია ცნობილი თეატრმცოდნე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბატონი **ნოდარ გურაბანიძე**. თ. ქვარიანის მონოგრაფიაში (ეს მისი სადისერტაციო ნაშრომიცაა) დამტკიცებულია, რომ პირველი თეატრალური ბეჭდვითი ორგანო საქართველოში იყო გაზეთი „თეატრი“, რომელიც ვ. აბაშიძის რედაქტორობით გამოვიდა 1885 წლის 14 ივლისსო.

1975 წელს დაიბეჭდა ქართული ენციკლოპედიის I ტომი (ამ დროს ენციკლოპედიაში თეატრის სექციის თავმჯდომარე გახლდათ ბატონი დიმიტრი ჯანელიძე და ვასო აბაშიძისადმი მიძღვნილ სტატიაში ვკითხულობთ, რომ მან — ვ. აბაშიძემ 1885 წელს დააარსა გაზეთი „თეატრი“ (გვ. 19).

1979 წელს მკითხველმა მიიღო ქართული ენციკლოპედიის IV ტომი, რომელშიც მოთავსებულია სტატია გაზეთ „თეატრზე“ (ავტ. — თ. ქვარიანი) და ერთხელ კიდევ გამეორებულია, რომ პირველი თეატრალური ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „თეატრი“ დაარსდა 1885 წელს (გვ. 628).

**ერთი სიტყვით, მეტი რაღაა საჭირო იმისათვის, რომ ისევ უკუღმა არ დატრიალებულიყო ჩარხი და, ვინმე შემთხვევით პიროვნებას კი არა, აღიარებულ თეატრმცოდნეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის პრემიების ლაურეატს, პროფ. ვ. კიკნაძეს რომ არ დაეწერა თავის 1500-გვერდიან მონოგრაფიაში („ქართული დრამატული თეატრის ისტორია“, 2001, რედაქტორი — უკვე ნახსენები ცნობილი თეატრმცოდნე, ერთხელაც გავიმეოროთ, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფ. ნ. გურაბანიძე), თითქოს პირველი თეატრალური ორგანო იყო ჟურნალი „თეატრი“ (გვ. 757). გავიდა ორი წელი და 2003 წელს ხელახლა დაიბეჭდა ვ. კიკნაძისეული „ისტორია...“, ცხადია, ისევ ნ. გურაბანიძის რედაქტორობით, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის უზრუნია ამ შეცდომის გასწორებაზე.**

ამასთანავე, ბატონი ვ. კიკნაძე მეორე უზუსტობასაც უშვებს, როცა წერს, თითქოს მსახიობი **დ. აწყურელი** (დავით გამყრელიძე, 1863-1928) გაზეთ „თეატრის“ პასუხისმგებელი რედაქტორი იყო 1884 წელსო (გვ. 676). სხვათა შორის, ზუსტად იმავეს იმეორებს მონოგრაფიის მეორე გამოცემაც...

არადა, ჩვენ უკვე ვიცით, რომ „თეატრი“, გინდ ჟურნალი იგულისხმეთ და გინდ — გაზეთი, 1885 წელს გამოვიდა. ამასთანავე, დ. აწყურელი არასდროს ყოფილა არათუ მისი რედაქტორი (როგორც უკვე მიეთითა, გაზეთ „თეატრს“ სხვადასხვა დროს სულ სამი რედაქტორი ჰყავდა: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და ალ. ნებიერიძე), ისიც პასუხისმგებელი, არამედ რედაქციის მუდმივი თანამშრომელი, იგი მხოლოდ პერიოდულად მონაწილეობდა მის საქმიანობაში...

**დასკვნა: პირველი ქართული თეატრალური პერიოდული ორგანო იყო გაზეთი („თეატრი“) და იგი გამოვიდა 1885 წლის 14 ივლისს. იმედია, მომდევნო 20-წლეულის შემდეგ, როგორც ეს უკვე ორჯერ მოხდა წინა საუკუნეში, კვლავ უკან აღარ დატრიალდება ისტორიის ჩარხი...**

**გოგი დოლიძე**



გაზეთ „თეატრის“ ემბლემა


თეატრი
საახალწლო ნომერი
თეატრი
„ისტორიული ნარკვევი“

გაზეთ „თეატრის“ პირველი გვერდი. 1889 წ. და 1890-1891 წწ.


გაზეთ „თეატრის“ თავსამკაული


გაზეთ „თეატრის“ ბოლოსამკაული

## იაპონელი სასიკვდილო განაჩენის გამოტანიდან 34 წლის შემდეგ გაამართლეს

**იაპონიის ქალაქ სიძუოკას საოლქო სასამართლომ აღიარა, რომ სამხილები ივაო ჰაკამადას წინააღმდეგ გაყალბებული იყო და სიკვდილის განაჩენი გააუქმა. ხანშიშესული მამაკაცი გაათავისუფლეს საპყრობილიდან, სადაც მან 34 წელიწადი გაატარა.**

ჰაკამადას სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს მკვლელობისთვის, რომელიც 1966 წლის 30 ივნისს ჩაიდინეს — მარცვლეულის პასტის მწარმოებელი კომპანიის ხელმძღვანელი, მისი ცოლი და ორი შვილი მოკლული იპოვეს საკუთარ სახლში. ეჭვი კი ამ კომპანიის თანამშრომელ ივაო ჰაკამადაზე მიიტანეს, რადგან მისი სისხლით დასვრილი პერანგი მარცვლეულის გადამამუშავებელ საამქროში იპოვეს. სწორედ ეს პერანგი იყო მკვლელობის საქმეში მთავარი სამხილი. აწ უკვე ყოფილმა სიკვდილმისჯილმა სასამართლოში რამდენიმე აპელაცია შეიტანა და დაამტკიცა, რომ პოლიციამ სამხილები გააყალბა.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ჰაკამადა გამართლდა, მეექვსე შემთხვევაა ომისშემდგომი იაპონიის ისტორიაში.



თავისთავად დასათაურება „ანტიდისკრიმინაციული“ დადებითად ჟღერს და შეიძლება იფიქრო, რომ ამ კანონში ზოგადად ნებისმიერი ადამიანის დაცვაზეა საუბარი, თუნდაც მკვლელის, ქურდის, მამათმავლის, ნარკომანის... და იმაზე, რომ ნებისმიერი ადამიანი ერთნაირად უნდა იყოს დაცული, იქნება ის ზნეობრივი თუ უზნეო, დამნაშავე თუ უდანაშაულო. მაგრამ, როდესაც კანონში ჩაიხედავ და მას გაეცნობი, აღმოაჩენ, რომ აქ მამათმავლობის დაცვაზე ამ კონტექსტში კი არ არის საუბარი, არამედ ის უკვე ბუნებრივ ნორმადაა გამოცხადებული და მისი დისკრიმინაცია უკვე სხვა ბუნებრივი უმცირესობების (რასა, სქესი, ეროვნება) უფლებების ტოლ-სწორად განიხილება.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანტიდისკრიმინაციული კანონი სინამდვილეში არის კანონი, რომელიც გვაიძულებს მამათმავლობის ბუნებრივ ნორმად მიღებას

## ღია წერილი ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარს, ბატონ შტეფან ფულეს

**(გამოხმაურება 2014 წლის 5 მარტს გაზეთ «რეზონანსში» გამოქვეყნებულ სტატიაზე, ქვესათაურით «ევროკომისარი მითების წინააღმდეგ»)**



**ბატონო ფულე,**

როგორც თქვენ აღნიშნეთ, საქართველოს ევროკავშირთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ბევრი დამაბრკოლებელი მითი არსებობს. და, კერძოდ, მის გასაქარწყლებლად არასამთავრობო სექტორთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე დასძინეთ: **„დასავლეთის სურვილი არ არის, საქართველოს უცხო ქვეყნის ფასეულობები მოახვიოს თავს — საქართველოს თავისი ტრადიციები და ფასეულობები გააჩნია“.**

თან, როგორც ცნობილია, მის უწმინდესობასაც სპეციალურად ეწვიეთ. ანუ გასაგებია, რომ თქვენ ჩვენ ღირებულებებად სწორედ მართლმადიდებლურ, ქრისტიანულ ტრადიციებს გულისხმობთ, რომლებიც, თავისთავად, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისა და ზოგადად საკაცობრიო იდეალების საფუძველიცაა. და ისიც ნათელია თქვენთვის, რომ **უცხო ქვეყნის ღირებულება, რომლის მიღებისაც ჩვენ გვეშინია, არის მამათმავლობა.** და, რა თქმა უნდა, თქვენ სწორად ხვდებით, რომ, თუკი ასარჩევად მიდგა საქმე, **სულიერი ფასეულობების დაკარგვა ყოველთვის უარესია ფიზიკური კეთილდღეობის დაკარგვასთან შედარებით.**

აქედან გამომდინარე, გვაიმედებთ, რომ ამას, კერძოდ, მამათმავლობის დოქტრინის ჩვენს თავზე მოხვევას, არ აპირებთ. მაგრამ, ჩვენდა და თქვენდა სამწუხაროდაც, ეს დაპირება მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური თვალის ახვევის კასკადს წარმოადგენს.

კვლავ ვაგრძელებ გაზეთ „რეზონანსიდან“ თქვენს ციტირებას:

**„მაგალითად, ამბობენ, რომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება ითხოვს ერთსქესიანთა ქორწინებას და ამის თავს მოხვევას. არაფერი მსგავსი ხელშეკრულებაში არ არის“,** — განაცხადა ევროკომისარმა. მისი განმარტებით, ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც ვიზების ლიბერალიზაციის პროცესს უკავშირდება, არის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება. **„ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არის გარანტია იმისა, რომ ადამიანებისთვის მოპყრობა არ იყოს დისკრიმინაციული სქესის, რასის, ეროვნების და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით,“** — აღნიშნა შტეფან ფულემ“.

**ბატონო შტეფან,**

**I. თვალის ახვევა არის ის,** რომ ანტიდისკრიმინაციულ ჩამონათვალში მართლა ვინმეს კანის ფერით ან ეროვნებით და რასის კუთვნილების მიხედვით დაცვა კი არ არის საინტერესო (ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ ისინი ჩვენს კონსტიტუციაში ისედაც ოდითგანვე დაცულნი არიან; მე მგონი, თვით კომუნისტების დროსაც კი ასე იყო), არამედ, უბრალოდ, ამ ჩამონათვალში მამათმავლობის თანაბარი უფლებით, ანუ ბუნებრივ ნორმად ჩასმა.

**II. თვალის ახვევა არის ის,** რომ თავისთავად დასათაურება „ანტიდისკრიმინაციული“ დადებითად ჟღერს და შეიძლება იფიქრო, რომ ამ კანონში ზოგადად ნებისმიერი ადამიანის დაცვაზეა საუბარი, თუნდაც მკვლელის, ქურდის, მამათმავლის, ნარკომანის... და იმაზე, რომ ნებისმიერი ადამიანი ერთნაირად უნდა იყოს დაცული, იქნება ის ზნეობრივი თუ უზნეო, დამნაშავე თუ უდანაშაულო. მაგრამ, როდესაც კანონში ჩაიხედავ და მას გაეცნობი, აღმოაჩენ, რომ აქ მამათმავლობის დაცვაზე ამ კონტექსტში კი არ არის საუბარი, არამედ ის უკვე ბუნებრივ ნორმადაა გამოცხადებული და მისი დისკრიმინაცია უკვე სხვა ბუნებრივი უმცირესობების (რასა, სქესი, ეროვნება) უფლებების ტოლ-სწორად განიხილება.

**III. თვალის ახვევა არის ის,** რომ თითქოს ჩვენ ამ ეტაპზე ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვას ვითხოვდეთ და ახლა ეგ იყოს პრობლემა. როდესაც ყველამ ვიცით, რომ ავსტრიაში, მაგალითად, სულაც არ არის მათი ქორწინება დაშვებული, მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ მათ აქვთ მიღებული ზემოთ ხსენებული კანონმდებლობა, მამათმავლები სარგებლობენ უკვე ყველანაირი პრიორიტეტით. კერძოდ, ისინი გამოცხადებულები არიან ბუნებრივი ნორმის წარმომადგენლებად. და ზუსტად ამ დოქტრინის საფუძველზე აქვთ ყველანაირი უფლება, თუნდაც მუშაობდნენ აღმზრდელებად ბაღში, იყვნენ ქალაქის მერები, მართავდნენ გეი-აღლუმებს და პიარ-აქციებს. სკოლაში შეჰქონდეთ სასწავლებლად „სექსუალური ორიენტაციის მგრძნობელობის ამაღლების“ კურსები და ა. შ. და აბა, ვინმემ გაბედოს და შეეწინააღმდეგოს მათ რამეში. ისინი უმალ გამოცხადდებიან სიძულვილის ენის მატარებლებად და შეიძლება ციხეც კი დაემუქროთ. ანუ **მამათმავლობის ბუნებრივ მოვლენად გამოცხადების დოქტრინა სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებაშია და არა ერთსქესიან ქორწინებაში.** ხოლო, მაგალითად, იმავე ავსტრიაში რადგან ქორწინებას არ უშვებენ, ამ პრობლემას, უბრალოდ, სამოქალაქო რეესტრში თანაცხოვრების ხელშეკრულების დარეგისტრირებით წყვეტენ.

**IV. თვალის ახვევა არის ის,** რომ, რადგან ერთსქესიან ქორწინებას არ ითხოვს ჩვენგან ევროკავშირი, ამიტომ ამ ხელშეკრულებაში საერთოდ ამის მსგავსი რამ არც კი არის, ხოლო ეს ზემოთ ხსენებული კანონმდებლობა, უბრალოდ, ვიზების აღების გამარტივებისთვის გვჭირდება.

**და დასკვნა:**

**ბატონო შტეფან ფულე, მითი სწორედაც ისაა, რომ თითქოს ევროკავშირი ჩვენ, მასთან ასოცირების ხელშეკრულების სანაცვლოდ, მამათმავლობის დოქტრინის მიღებას არ გვავალდებულებდეს.**

**გურამ ფალავანდიშვილი**



# იანუკოვიჩი უკრაინელ ხალხს რეფერენდუმის ჩატარებისკენ მოუწოდებს

**უკრაინის დამხობილი პრეზიდენტი იანუკოვიჩი უკრაინელ ხალხს თითოეული რეგიონის სტატუსის განაზღვრისთვის რეფერენდუმის ჩატარებისკენ მოუწოდებს.**

ვიქტორ იანუკოვიჩი მიიჩნევს, რომ მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმს შეუძლია უკრაინის მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება და არა პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს. **„პრეზიდენტი, რომელიც თქვენთან არის აზრებითაც და სულითაც, უკრაინის ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს მოგიწოდებთ, თვითმარქვიებს არ მისცეთ თქვენი გამოყენების საშუალება! მოითხოვეთ რეფერენდუმის ჩატარება, რათა უკრაინის შემადგენლობაში თითოეული რეგიონი დაფიქსირდეს “,** — აღნიშნულია უკრაინელი ხალხისადმი იანუკოვიჩის მიმართვაში. მისი თქმით, უკრაინის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ახალი კანონები მაიდნის ძალდატანებით მიიღო.

**„ახლანდელმა ე. წ. ხელისუფლებამ მიიღო კანონების პაკეტი, რომელიც არღვევს უკრაინის კონსტიტუციას. ეს კანონები მაიდნის ძალდატანებით იქნა მიღებული. ბევრ დეპუტატზე და მათ ოჯახზე ძალადობრივი აქტები განხორციელდა, რომ არაფერი ვთქვათ მუქარებზე“,** — ამბობს ექსპრეზიდენტი. იანუკოვიჩს მიაჩნია, რომ ყველაფერი, რაც უკრაინაში მოხდა და ხდება, შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებაა, რომელიც ოპოზიციამ ტერორისტული დაჯგუფებების იარაღით და დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით განახორციელა. **„ანარქიას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ქუჩებში ხდება, საერთო არაფერი არ აქვს დემოკრატიასთან. დასავლეთის თუნდაც ერთმა ქვეყანამ დამისახელოს დემოკრატიული ნაბიჯები, რომელიც ახლანდელმა „ხელისუფლებამ“ განახორციელა. არ მგონია, რომ უმაღლესი რანგის რომელიმე ევროპელმა ჩინოსანმა სახალხოდ აღიაროს, რომ აქტივისტებად მონათლული ტერორისტების მიერ ძარცვა და ხალხის დახვრეტა ქუჩებში მისაღები იყოს“,** — აცხადებს იანუკოვიჩი.

იანუკოვიჩი დარწმუნებულია, რომ უკრაინის კანონიერი ხელისუფლების დამხობა დასავლეთში დაიგეგმა და ეს მსგავსი სცენარის პირველი მაგალითი არ არის.

**„ჩვენ ვიცით, რომ უკრაინის ბედი დიდი ხანია სხვაგან წყდება და ისიც ვიცით, რომ ეს არადემოკრატიული მეთოდებით ხორციელდება. კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდება დასავლეთში დაიგეგმა და ასეთი სცენარი უკრაინისთვის პირველი არ არის. მაიდნის ლიდერები ხელისუფლებაში ნაცისტების ხარჯზე მოვიდნენ. ათასობით შეიარაღებულმა ხალხმა დიდების და სისხლის გემო იგრძნო და მთელს უკრაინაში დაიწყეს ძარცვა, მკვლელობები, მაროდიორობა, რეკეტი. უკრაინელი ხალხის უმეტესობას არ აქვს საშუალება, რეალური სურათი დაინახოს, სადაც დღითიდღე იზრდება ძალადობა, ანარქია და ეკონომიკური კარასტროფა“,** — აღნიშნულია უკრაინის ექსპრეზიდენტ იანუკოვიჩის მიმართვაში.

# საღორე მაიდანზე — განაჩენი უკრაინელებისთვის

**დასავლეთის მიერ წაქეზებულმა უკრაინელებმა თვითონ შეუწყვეს ხელი თავიანთი სახელმწიფოს დანგრევას — დაეცა მრეწველობსა და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები, არმია დაშლილია, ფლოტი — დაკარგული (რუსებმა წაართვეს). დასავლეთის ავანტიურამ უკრაინა კოლაფსამდე მიიყვანა.**

და აი, აღსრულდა! ბოსტანი და საღორე (ნამდვილი და არა — გადატანითი მნიშვნელობით) კიევის მაიდანზე ფეიკი (ყალბი, ფალსიფიცირებული ფოტო) კი არა, მკაცრი სინამდვილეა. ბევრი ელოდა რომ მაიდანზე განვითარებული მოვლენები ფარსად იქცეოდა და ასეც მოხდა, თუმცა, ეს ფარსი კი არა უკვე ნაციონალური სტრიპტიზია.



კიევის მაიდანზე 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის თებერვლამდე მასობრივი ანტისამთავრობო მიტინგები („ევრომაიდანი“) იმართებოდა, რომელიც ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმამ გამოიწვია. აქციებმა, რომელსაც თან ერთვოდა კიევის ცენტრში მომიტინგეების დაპირისპირება ძალოვან სტრუქტურებთან, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების შეცვლა გამოიწვია — პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ხელისუფლებას ჩამოაშორეს და მან დატოვა უკრაინა.

**„რევოლუციის“ გამარჯვების მიუხედავად, მაიდანზე ამჟამადაც რჩებიან აქტივისტები, კიევის ცენტრში კი — ბარიკადები, რომლებიც, როგორც ამბობენ, 25 მაისამდე არ დაიშლება.**

**აქტივისტებმა, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებიან მაიდანზე, დამხმარე მეურნეობების გაშენება დაიწყეს. გაზონზე, კარვების ქალაქთან ახლოს, დარგეს თალგამი, სალათა, ხახვი, კამა და ოხრახუში, დაიწყეს საქათმისა და საღორის მოწყობა.**

და ეს არც არის, ალბათ, გასაკვირი, რადგან დასავლეთისგან წაქეზებულმა უკრაინელებმა თვითონ შეუწყვეს ხელი თავიანთი სახელმწიფოს დანგრევას — დაეცა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები, არმია დაშლილია, ფლოტი — დაკარგული (რუსებმა წაართვეს). მოკლედ, დასავლეთის ავანტიურამ უკრაინა კოლაფსამდე მიიყვანა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ექსტრემალური დაუთოება

ქალაქ გილბერტის (არიზონას შტატი) მცხოვრებ 17 წლის კევინ კრუპიტცერისთვის ჩვეულებრივი დაუთოების პროცესი იმდენად მოსაწყენი და მომაბეზრებელი იყო, რომ გადაწყვიტა, ეს პროცესი გაემრავალფეროვნებინა და სახალისო და ექსტრემალური ელფერი შესძინა. საბედნიეროდ, ლანდშაფტები (ტერიტორიის იერ-სახე) ამას ხელს უწყობს, შესაძლებელია, გაკეთდეს კანიონებსა და სხვა ადგილებში...



# მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო დედები



## ტყუპების ყველაზე მხცოვანი დედა

ვაჟის ყოლის სურვილმა 70 წლის ომკარი პანვარს ორმაგი ბედნიერება მოუტანა. მას ტყუპი ვაჟი შეეძინა. იმისთვის, რომ ხელოვნური განაყოფიერება გაეკეთებინა, ოჯახმა თითქმის მთელი ქონება გაყიდა. ქალს ორი ქალიშვილი და ხუთი შვილიშვილი უკვე ჰყავდა, მაგრამ მის 77 წლის მეუღლეს არან სინგჰ პანვარს მემკვიდრე სურდა.



## დედა, რომელმაც ყველაზე პატარა ბავშვი გააჩინა

მაჰაჯაბინა შეიხმა რამაშა რაჰმანი 2004 წლის 19 სექტემბერს გააჩინა. ბავშვი დაბადებისას 243,81 გრამს იწონდა და 10 სანტიმეტრი იყო. რამაშა მსოფლიოში ყველაზე პატარა ახალშობილია. ჩვილი ორსულობის 25-ე კვირას გაჩნდა. რამაშის დაბადებამდე მშობიარობის შემდეგ გადარჩენილი ყველაზე პატარა ბავშვი მადლენ მანი იყო, რომელიც 1989 წელს დაიბადა და რამაშზე 37 გრამით მეტს იწონიდა. რამაშს ჰყავს ტყუპი და, რომლის წონამ დაბადებისას 567 გრამი შეადგინა. ლაიოლის უნივერისტეტის სამედიცინო ცენტრის მესვეურთა განცხადებით, ამჟამად ის ცოცხალი და ჯანმრთელია.



## ყველაზე მინიატურული დედა მსოფლიოში

სიმაღლით ყველაზე პატარა დედა მსოფლიოში მალე მესამე შვილს გააჩენს, მიუხედავად ექიმების გაფრთხილებისა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

აშშ-ში, კენტუკის შტატში მცხოვრები 35 წლის სტეისი ჰერალდი სიმაღლეში 72 სანტიმეტრია. ექიმებმა მას თავიდანვე უთხრეს, რომ სრულად ჩამოყალიბებულ ნაყოფს მისი მოკვლა შეუძლია, რადგან მისი შინაგანი ორგანოები ძალიან პატარაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სტეისიმ უკვე ორი შვილი გააჩინა. სტეისის ოსტეოგენეზი აწუხებს და დროის უმეტეს ნაწილს ეტლში ატარებს, ამიტომ ყველა მოვალეობა აკისრია ბავშვების მამას, რომლის სიმაღლე 1.73 მეტრზე მეტია.



## ყველაზე მხცოვანი დედა

ინდოელი რაიო დევილ ლოჰანი 40-წლიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ, პირველად 70 წლის ასაკში გახდა დედა. ბავშვი 2008 წელს დაიბადა და თავს შესანიშნავად გრძნობს.



## ყველაზე ნაყოფიერი სუროგატი დედა

42 წლის კეროლ ჰორლოკმა, როგორც სუროგატმა დედამ, ნაყოფიერების მხრივ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 13 წელიწადში მან გააჩინა 12 ბავშვი, მათ შორის — სამი ტყუპი. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ქალმა აღიარა, რომ სუროგატ დედობას მხოლოდ ერთხელ აპირებდა, მაგრამ შემდეგ გაჩერება ვერ შეძლო. პლუსად იგი მატერიალურ მხარეს (25-30 ათასი დოლარი ბავშვზე), ხოლო მინუსად დილის გულისრევას, წოლის რეჟიმს და საკეისრო კვეთას ასახელებს. კეროლი აღიარებს, რომ სუროგაცია მისთვის სამუშაოდ იქცა.

## ყველაზე მრავალშვილიანი დედა

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ყველაზე მრავალშვილიანი დედა რუსია.

ის მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა. მასზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქალაქ შუიაშის მკვიდრი და ფიოდორ ვასილევის მეუღლე იყო. 27 ორსულობიდან ქალს 69 ბავშვი შეეძინა.



## პირველი ორსული მამაკაცი მსოფლიოში

ტომასი ქალად დაიბადა და მას ტრეისი ლაგონდინო ერქვა, მაგრამ 10 წლის ასაკში მიხვდა, რომ თავს არაკომფორტულად გრძნობდა. ტომასმა ბევრი ოპერაცია და ჰორმონალური თერაპია ჩაიტარა, მაგრამ ქალის რეპროდუქციული ორგანოები შეინარჩუნა. 2007 წელს ხელოვნური განაყოფირების საშუალებით დაორსულდა, 2008 წლის 3 ივლისს სიუზენ ჯულეტა ბიტი დაიბადა. ერთი წლის შემდეგ ტომასმა კიდევ ერთი ბავშვი გააჩინა, ამჯერად — ბიჭუნა.



## ყველაზე ახალგაზრდა დედა მსოფლიოში

სამედიცინო პრაქტიკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზდა დედა ლინა მედინაა. იგი 5 წლისა და 7 თვის იყო, როდესაც ბავშვი გააჩინა. გოგონას მშობლებმა საავადმყოფოს ლინას გაზრდილი მუცლის გამო მიმართეს და გაოგნდნენ, როდესაც აღმოჩნდა, რომ იგი 7 თვის ორსული იყო. თვე-ნახევრის შემდეგ საკეისრო კვეთით ლინამ ბიჭუნა გააჩინა. ექიმებმა ეს ფენომენი დეტალურად შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ გოგონამ სქესობრივ მომწიფებას უკვე 4 წლის ასაკში მიაღწია.



## ყველაზე ბევრი ტყუპის დედა



ნადია დენიზ დაუდ-სულემან გუტერესმა 2009 წლის იანვარში ერთდროულად 8 ბავშვი გააჩინა. ეს ერთდროულად რვა ბავშვის წარმატებულად გაჩენის მეორე შემთხვევაა. მანამდე მსგავსი რამ 1998 წელს აშშ-ში მოხდა. აღსანიშნავია, რომ მრავალშვილიანი დედა უმუშევარია, ბავშვები ხელოვნური გზით ჩაისახნენ, სახლში კი მას კიდევ 6 შვილი ელოდებოდა.



## მსოფლიო რეკორდი მშობიარობებს შორის პერიოდით

ელიზაბეტ ენ ბატლმა მშობიარობებს შორის დროის სხვაობით მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სხვაობამ 41 წელი შეადგინა. მისი პირველი გოგონა 1956 წლის 19 მაისს დაიბადა, მეორე კი მან 60 წლის ასაკში გააჩინა. ბიჭს იოსიფი დაარქვეს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბარნეტ ნიუმანის „თეთრი ცეცხლი“ 3,8 მილიონ დოლარად გაიყიდა.** სახელწოდება მისტიკური დატვირთვისაა და სათავეს თორადან იღებს. როგორც ჩანს, ავტორი რაღაც მისტიკური ღრმა განცდებით იყო განმსჭვალული, როდესაც სუფთა ფურცელზე ამ ორ ხაზს ავლებდა.

# მილიონებად ღირებული ყველაზე აბსურდული ნახატები

**ნიჭი ღვთიური ძღვენია, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა ნიჭმაც უზომოდ უცნაური გამოხატულება ჰპოვა. რაც კიდევ უფრო გასაკვირია, ამ უცნაურობასაც გამოუჩნდნენ დამფასებლები, თანაც ძვირად დამფასებლები. არსებობს მხატვრების მიერ შესრულებული ყველაზე აბსურდული ნახატები, რომლებიც მსოფლიოს ცნობილ აუქციონებზე მილიონებად გაიყიდა.**



**ნახატი სახელწოდებით „სივრცის კონცეფციის მოლოდინი“ შესრულებულია ლუჩიო ფონტანას მიერ და ლონდონის აუქციონზე 1,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.** ეს ნახატი სხვა არაფერია, თუ არა ერთგვაროვანი ნარინჯისფერი ტილო, რომელიც სიმაღლეზე რამდენიმე ადგილზეა ჩაჭრილი. ნახატთან დაკავშირებული მთავარი კითხვა ისაა, გაიზრდება თუ არა მისი ფასი ტილოზე ორიოდე ნახვრეტის დამატებით.



**„უსახელო“, რომელიც 1961 წელს დახატა მარკა როტკომ, 28 მილიონ დოლარად გაიყიდა.** ვერ იტყვი საშინელიაო, მაგრამ მოსაწყენი კი ნამდვილად არის. ნახატი, რომელსაც სახელიც კი ვერ შეურჩია ავტორმა, ორად გაყოფილი კვადრატია, დაახლოებით ისეთი, როგორის შექმნისთვისაც სამი წლის ბავშვს ეუბნებიან ხოლმე, შემდეგზე შეეცადე, რაიმე უფრო გამოცნობადი დახატოო.




**„სულელი ცისფერი“ შესრულებულია კრისტოფერ ვულის მიერ და 5 მილიონ დოლარად გაიყიდა.** ვული, რომელიც ტილოზე სიტყვების წერაში სპეციალიზდება, ალბათ, გულიანად იცინოდა, როდესაც ვიღაც დაარწმუნეს, ამ ოთხ ასოში 5 მილიონი გადაეხადა.



**„სისხლიანი სარკე“ გერხარდ რიხტერის ნამუშევარია და 1,1 მილიონ დოლარად გაიყიდა.** როდესაც ამ მხატვრის სხვა ნაშრომების ღირებულებას გაიაზრებ, ძნელი გასაგები ხდება, რა ღირებულება აქვს ამ კონკრეტულ ნახატს. ის ხომ სარკეზე ოდნავი გრადაციით დატანილ წითელ საღებავს წარმოადგენს.



**„მწვანე სქელტუჩა“ ელსვორტა კელის შედევრია, რომელიც 1,6 მილიონ დოლარად გაიყიდა.** უცნაურია, რომ ამ ავტორის ნამუშევრები, როგორც წესი, ძვირად ვერ იყიდება, მაგრამ ტილოს შუაგულში განთავსებულმა მწვანე დეფორმირებულმა წრემ ვიღაც ისე მოხიბლა, რომ ერთი პატარა კუნძულის ფასის გადახდაც არ დაენანა.



**„კოვბოი“ ელსვორტ კელიმ დახატა და 1,7 მილიონ დოლარად გაიყიდა.** კელი ოთხი წლის მანძილზე ეუფლებოდა სახვით ხელოვნებას ჯერ ბოსტონში, შემდეგ კი პარიზში. საბოლოოდ კი გადაწყვიტა, საკუთარი ინდივიდუალური სტილი ერთგვაროვან ფონზე დაწყობილი ბლოკების ხატვით შეექმნა. სხვათა შორის, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ მიგნებამ გაამართლა, თუმცა, ესთეტიკური თვალსაზრისით იმავეს ვერ ვიტყვით.



**„ძაღლი“, რომელიც ჟოან მიროს მიერ შეიქმნა, 2,2 მილიონ დოლარად გაიყიდა.** მიროს სხვა ნამუშევრებს შორის ეს ნამდვილი ანომალიაა და ადამიანმა, რომელმაც აუქციონზე მის შესაძენად ამხელა ფული გაიმეტა, ნამდვილად ბევრი გაიღო.



**ბლინკი პალერმოს „უსახელო“ 1,7 მილიონ დოლარად გაიყიდა.** როგორც ამ ავტორის სხვა ნამუშევრები, ესეც სხვადასხვა ფერის ზოლების შეხამებაა. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა მისი შეფასებისას აღნიშნა, რომ ნახატი სუფთა, გაუზავებელი ფერია და საოცარია, რომ თვით ამ ნახატისთვისაც კი მოიძებნა დადებითი კომენტარი.



**„უსახელო“, რომელიც საი ტვომბლის მიერაა შესრულებული, 2,3 მილიონ დოლარად გაიყიდა.** ეს ნამუშევარი საბავშვო ბაღში ბავშვების გასართობად მიღებული მხატვრობის ღირსეული მაგალითია. ის შესრულებულია ქაღალდზე ფერადი ფანქრებით. ნახატი ლათინური ანბანის ასო „ე“-ს წერაში დახელოვნების ბავშვურ მცდელობას ჰგავს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ციური ხმები

მაშინ, როდესაც ცა მოწმენდილია, ხალხს ესმის უცნაური ხმა. უამრავი ადამიანი ამ მოვლენასაც უცხოპლანეტელებს უკავშირებს, მაგრამ დანამდვილებით არაფერი არის ცნობილი. ამ უცნაური მოვლენის დროს არავითარი ნათება არ ფიქსირდება და არავითარი მფრინავი ობიექტი არ ჩანს. დღესდღეობით მეცნიერები უშედეგოდ ცდილობენ, ამ მოვლენას მეცნიერული ახსნა მოუძებნონ.

# ყველაზე ამოუხსნელი საიდუმლოებები



## უცნაური ნათება ცაზე

მსოფლიოში უამრავი ისეთი პრეცენდენტი ყოფილა, რომელიც ბევრმა უცხოპლანეტელთა ხომალდის გამოჩენად ჩათვალა, სკეპტიკოსებმა კი არ დაიჯერეს. თუმცა იყო ერთი შემთხვევა, რომელსაც ყველაზე ბევრი თვითმხილველი ჰყავდა. თვითმხილველები აღწერდნენ, თუ როგორ გამოჩნდა იგი და რამდენიმე წუთის შემდეგ მიწაზე ნათება დაიწყო. ამბობენ იმასაც, რომ ეს ნათება აზიანებდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა მის არეალში. რატომ? მეცნიერებს დღესაც არ აქვთ პასუხი ამ კითხვაზე.



## დროში მოგზაურობის დამამტკიცებელი საბუთი

ეს აღმოჩენა 2008 წლის დეკემბერში ჩინეთში გაკეთდა. როდესაც არქეოლოგები გათხრებს აწარმოებდნენ, წააწყდნენ უძველეს საფლავს, რომლის გახსნის შემდგომაც შეამჩნიეს პატარა ლითონის ნატეხი. ისინი თვალებს არ უჯერებდნენ. მას ჰქონდა ამოტვიფრული „Swiss“ და გაჩერებული იყო 10:06-ზე. მეცნიერთა გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საათი, რომელსაც მათ მიაგნეს, ძალიან ძველი იყო და იმ დროს, რომლითაც ის თარიღდებოდა, შვეიცარია არც კი არსებობდა.



## პოლოკის ტყუპები

რეინკარნაციის ბევრს არ სჯერა, მაგრამ სწორედ ასეთებისთვის იქცა ამოუხსნელ ამოცანად პოლაკის ტყუპების ამბავი. 1958 წელს დაიბადნენ ტყუპები, რომელთა დებიც ორი წლით ადრე დაიღუპნენ ავტოსაგზაო შემთხვევაში. დაბადებისთანავე ისინი ძალიან ჰგავდნენ თავიანთ დებს არამარტო გარეგნულად, არამედ ქცევითაც. ლაპარაკის დაწყებისთანავე მათ გაიხსენეს ის სახლი, რომელშიც მათი გარდაცვლილი დები ცხოვრობდნენ ადრე, და ის სათამაშოებიც კი, რითიც ისინი თამაშობდნენ. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ მათ დეტალურად აღწერეს თავიანთი დების დაღუპვის ამბავი ბოლო მომენტამდე.



## ბეწვიანი ხელები

1920 წელს ერთ გზატკეცილზე რამდენიმე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ არაფერი უცნაური არ იყო შემჩნეული. ყველა შემთხვევა ფატალურად სრულდებოდა, მაგრამ ერთ-ერთი შემთხვევისას მძღოლი გადარჩა. იგი უგონოდ იყო და, როდესაც გონს მოვიდა, იხსენებდა, თუ როგორ მიუახლოვდა იმ გზატკეცილს, რომელთანაც რამდენიმე ბეწვიანი ხელის შეხება იგრძნო. ამის შედეგად მან დაკარგა კონტროლი მანქანაზე.



## ყველაზე უტვინო ქალი

**ქალი, რომელმაც მთელი ცხოვრება თოჯინა „ბარბად“ გარდასახვას მიუძღვნა, მზადაა, უტვინოდ იქცეს.**

ამერიკის შტატ კალიფორნიაში მცხოვრები 38 წლის ბლონდი ბენეტი კვირაში ერთხელ ჰიპნოთერაპიის სეანსებზე დადის, რაც მას უფრო დაბნეულს ხდის.

ყოფილი მოდელი, რომელმაც დაახლოებით 10 000 დოლარი დახარჯა მკერდის გასადიდებელ ხუთ ოპერაციაში, ამჟამად უმუშევარია და ფულს მხცოვან თაყვანისმცემლებზე სექსუალური ფოტოების მიყიდვით გამოიმუშავებს. ფოტოებზე ქალს „ბარბივით“ აცვია.

„როდესაც ადამიანები მეკითხებიან, რატომ მინდა ბარბი გავხდე, ვპასუხობ: „ვის არ მოუნდებოდა, იგი გამხდარიყო?“

მისი ცხოვრება იდეალურია. ყველაფერი, რითიც დაკავაბულია, ესაა მაღაზიებსა და სილამაზის სალონებში სეირნობა.

იგი არაფერზე ღელავს. „ჰიპნოთერაპიის 20 სეანსი უკვე მქონდა, რომლებსაც შედეგი მოაქვს — საკუთარ თავს უფრო სულელად ვგრძნობ“, — აღიარა ბლონდიმ.

ბლონდი ამბობს, რომ „ბარბიმ“ ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიტაცა. თინეიჯერობისას თოჯინასავით იცვამდა და ისეთივე ვარცხნილობა ჰქონდა.

შარშან, აგვისტოში ბლონდიმ ახალი იმპლანტანტები ჩაისვა, დეკემბერში კი — ნიკაპის ლიპოსაქცია გაიკეთა, რომ მისი სახის კონტური საყვარელი თოჯინისას მგვანებოდა.

„მინდა, რომ ადამიანები აღმიქვამდნენ, როგორც პლასტმასის სექსთოჯინას და სულელად გახდომა ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული დიდი ნაბიჯია. ადამიანებს შეუძლიათ გამაკრიტიკონ, მაგრამ მინდა, რომ ჩემი გარდასახვა აბსოლუტურად სრული იყოს, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად“, — განაცხადა ბლონდი ბენეტმა.



## ყველაზე ძვირადღირებული ბლინი

**მანჩესტერელმა მზარეულმა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბლინი გამოაცხო. მისი ფასი 800 ფუნტი სტერლინგია (თითქმის ათასი ევრო). კერძი, რომლის ავტორი შეფი მეთიუ დაუნსია, ბოკალ შამპანურ Dom Perignon-თან ერთად უნდა მიირთვათ.**

კერძის მზადდება ჩვეულებრივი ფქვილისგან, კვერცხის, რძისა და მარილისგან დამზადებული ბლინის ცომით. გამოცხობის შემდეგ ბლინს ნაჭრებად ჭრიან და უკვე მათგან აწყობენ ულუფას.

მზა პროდუქტის შემადგენლობაში შედის ტრუფელი, ხიზილალა, სვია, კიბორჩხალა, ლანგუსტი, მიდიები. ბლინის შემკვეთი კერძთან ერთად სამ სხვადასხვა სოუსს მიიღებს.

დაუნსი ამბობს, რომ იმ რესტორნის მენიუში, სადაც იგი მუშაობს, ეს ბლინი შესული არ არის, მაგრამ თუ მსურველი მის შეკვეთას მოინდომებს, შეუძლია მიმტანს უთხრას. კერძის მომზადებას დაახლოებით 20 წუთი სჭირდება.

ბლინის ღირებულების წინა რეკორდი 2009 წელს დამყარდა. მაშინ დიდ ბრიტანეთში 144-ფუნტიანი ბლინი დაამზადეს. იგი ორგანულ მარწყვთან და შამპანურის ჯემთან ერთად იყიდებოდა.



## თოჯინების ოჯახი

აშშ-ის შტატ კოლორადოში მცხოვრები სუზან ჰეინტზი, 14 წელია, მანეკენებთან ცხოვრობს. თოჯინები ქალის ქმარშვილია.

მანეკენ ქმარს ჩონსი ქვია, ხოლო გოგონას — მერი-მარგარეტი. სუზანი თოჯინებთან ერთად ისევე ცხოვრობს, როგორც ნამდვილ ადამიანებთან: მანეკენებს უცვლის ტანსაცმელს, მათთან ერთად აღნიშნავს დღესასწაულებს, უყურებს ტელევიზორს და მოგზაურობს.

თოჯინებთან თანაცხოვრება არტპროექტის ფარგლებში დაიწყო. სუზანი ამბობს, რომ რაოდენ შეშლილადაც არ უნდა თვლიდნენ ნათესავები, მისთვის მთავარი ისაა, რომ ბედნიერია და ოჯახი ჰყავს. ამასთან, პროექტის ფარგლებში სუზანი ფოტოებს იღებს.

როგორც ამბობს, ადამიანებს მის ცხოვრების წესზე განსხვავებული რეაქცია აქვთ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სუზანი მანეკენებთან ერთად ფოტოებს ქუჩაში იღებს. მას გამვლელები ან დასცინიან, ან გაკვირვებულები უყურებენ.

„ჩემი ნამდვილი სიყვარულის ამბავი გაინტერესებთ? დიახ, ბევრი შეყვარებული მყავდა, მაგრამ არც ერთ მათგანთან არ მსურდა ქორწინება. არც იმ კაცთან, რომელთან ერთადაც 7 წელი ვცხოვრობდი“, — ამბობს ის.

სუზანი აპირებს, მანეკენ ქმართან დადებული ფიცი ხელახლა დადოს და ამჟამად ქორწილის ორგანიზებით არის დაკავებული. სუზანი გრანდიოზული ქორწილის გადახდას ივნისში გეგმავს. ქორწილში იქნებიან „სიძის“ ნათესავებიც, მანეკენი სტუმრები და პატარძლის ნამდვილი მეგობრები.



## ყველაზე სუფთა ბოთლი

**LifeStraw-ის ფილტრები ცნობილია იმით, რომ პრაქტიკულად ყველა ტიპის წყალი შეუძლიათ გადააქციონ სასმელად ვარგისიან წყლად. ის ახორციელებს 99,9999% მავნებელი ბაქტერიების ფილტრაციას. უფრო კომფორტულმა ვარიანტმა, რომლის მიხედვითაც ფილტრი თავსდება ბოთლში, შესამჩნევად გაზარდა სამომხმარებლო შესაძლებლობები.** ბოთლ LifeStraw GO-ს ფილტრის შეცვლით შეუძლია, გაასუფთაოს 1000 ლიტრამდე წყალი. ბოთლი საშუალებას გაძლევთ, არ ინერვიულოთ დამატებით სასმელი წყლის წყაროზე. ბოთლის გავსება შესაძლებელია ჭაობიდანაც კი და ფილტრი წყალს გახდის სასმელად ვარგისიანს, ის გაანადგურებს ბაქტერიებს და პარაზიტებს. რაც შეეხება გარე მახასიათებლებს, LifeStraw GO გაკეთებულია ფერადი გამჭვირვალე პლასტისგან, ის მჭიდროდ იკეტება სახურავით, რომლიდანაც მოსახერხებელია დალევაც და ასევე გააჩნია კარაბინი, რომ ტრანსპორტირების დროს პრობლემები არ გამოიწვიოს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე პატარა ქალაქები

**მსოფლიოში უამრავი პატარა ქალაქია, მაგრამ ზოგიერთი მათგანი იმდენად პაწაწინაა, გაოცდებით.**



## რაბშტეინი, ჩეხეთი

მესამე ადგილზე წარმოდგენილია ჩეხეთის ქალაქი რაბშტეინი 20-კაციანი მოსახლეობით. ამ პაწაწინა ქალაქში, რომელიც 1337 წელს დაარსდა, მხოლოდ ერთი ქუჩაა, რომელიც პატარა მოედანს კვეთს.

ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობად ითვლება ბაროკოს სტილის ციხესიმაგრე, რომელიც ქალაქის დაარსების აღსანიშნავად აიგო.



## კალასტე, ესტონეთი

კალასტე ესტონეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ჩუდის ტბის ნაპირასაა გაშენებული. მას უკავია 1,9 კვ.კმ ფართობი და იქ 1115 კაცი ცხოვრობს.




## ბუფორდი, ვაიომინგის შტატი, აშშ

ვაიომინგის შტატის ქალაქ ბუფორდში ერთადერთი კაცი ცხოვრობს. დომ სამონსი მეეზოვეცაა, ბენზინგასამართი სადგურის მუშაც, ადგილობრივი მაღაზიის გამყიდველიც და ქალაქის მერიც. გადმოცემის თანახმად, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ბუფორდში 2000 კაცი ცხოვრობდა და აშშ-ში ერთ-ერთ უდიდეს სარკინიგზო ხაზს აშენებდა. ახლა კი ქალაქის შესასვლელში მდებარე საგზაო ნიშანზე „მოსახლეობის რაოდენობის“ გასწვრივ ერთიანი წერია. 2012 წელს ქალაქი ორმა ვიეტნამელმა ბიზნესმენმა 900 000 დოლარად შეიძინა.



## მელნიკი, ბულგარეთი

მელნიკი ბულგარეთის ყველაზე პატარა ქალაქია. მისი მოსახლეობა სულ 390 კაცს შეადგენს. აქაურები ტრადიციულად თამბაქოსა და ღვინის წარმოებას მისდევენ.

ქალაქში მდებარეობს ყველაზე ძველი ისტორიული ნაგებობები, რაც კი შემორჩენილა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.



## ხუმი, ხორვატია

ციხექალაქი ხუმი ხორვატიაში მდებარეობს. მან თანამედროვე იერსახე მე-11 საუკუნეში მიიღო და მას შემდეგ თითქმის არ შეცვლილა. ქალაქში 6 სახლია, სრომლებშიც სულ 17 ადამიანი ცხოვრობს. მიუხედავად ასეთი მცირერიცხოვანი მოსახლეობისა, ქალაქს ჰყავს ექიმი, პოლიციელი, მოსამართლე, მეხანძრე და მერი, რომელსაც საბჭოზე ირჩევენ. ქალაქში არის ორი ტაძარი, მაღაზია და სასაფლაო.



## ჩეკალინი, რუსეთი

ჩეკალინი რუსეთის ყველაზე პატარა ქალაქია. მისი მოსახლეობა შეადგენს 994 ადამიანს. ქალაქმა სახელი საბჭოთა კავშირის გმირის — ა. ჩეკალინის საპატივცემულოდ მიიღო. 1956 წელს მოსახლეობის რაოდენობა 2008 მაცხოვრებელს აღწევდა, რაც ამ ქალაქისთვის ნამდვილი რეკორდი იყო.

# ყველაზე მრავალშვილიანი მამა

**ჰოლანდიელი ედ ჰუბენი 98 შვილის მამაა და „ბავშვების მწარმოებლის“ ტიტულიც მოიპოვა. ედი დონაციის წყალობით ქალებს დედობის შანსს აძლევს. მან სპერმის დონაცია 2002 წელს დაიწყო და თავდაპირველად სპერმის ბანკთან თანამშრომლობდა, მაგრამ ახლა ამ საქმეს „ნატურალური“ გზით აკეთებს.**

ის ლესბოსელ წყვილებს, მარტოხელა ქალებსა და იმ ჰეტეროსექსუალებს ეხმარება, რომელთაც ნაყოფიერების პრობლემები აქვთ. მისი ბოლო ბავშვი, რიგით 98-ე, მატიდაა. მატიდას დედა, საბავშვო ბაღის ძიძა, 28 წლისაა. როგორც მარტოხელა დედა ამბობს, მის



ცხოვრებაში კარგი კაცი არასდროს გამოჩენილა, დედობა კი ძალიან სურდა და ბავშვის გაჩენა ამ ხერხით ამიტომაც გადაწყვიტა. მამაკაცი ზუსტ სიას აწარმოებს, რომ რაიმე არ აერიოს. დღიურში ყველა ქალისა და ბავშვის სახელია მითითებული. შესაბამისად, თუ ოდესმე ბავშვი დაინტერესდება, თუ ვისი წყალობით მოევლინა ქვეყანას, მამის გაცნობა შეეძლება.

თუმცა ყველა ქალი, რომელიც ედისგან შვილის გაჩენას გადაწყვეტს, ვალდებულია, რამდენიმე სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტაროს. ედის მომსახურებით მხოლოდ ისინი ისარგებლებენ, ვისაც ავადმყოფობის ისტორიაში ეწერებათ, რომ არც ერთ დაავადებას არ ატარებენ და არც ნარკოტიკზე არიან დამოკიდებულნი. იგი საკუთარ სახლში მთელი მსოფლიოდან თვეში 15-მდე ქალს იღებს. საკუთარ მომსახურებაში ჰუბენი ფულს არ იღებს. გამონაკლისის სახით, იგი ქალებს უფლებას აძლევს, მისი მგზავრობის და საცხოვრებელი ბინის ხარჯები გადაიხადონ, იმ შემთხვევაში, თუ მისი საზღვარგარეთ გამგზავრება აუცილებელია. კლიენტებთან ჰუბენი ხელშეკრულებას დებს. დოკუმენტის თანახმად, ქალებს მისთვის ბავშვის მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება არ აქვთ.



# ყველაზე მრავალფეროვანი ხმა

**ცნობილი ჰოლანდიელი მომღერალი ფლორ იანსენი 16 წლის ასაკიდან აქტიურად მოღვაწეობს სცენაზე. მას კლასიკური სიმღერის განხრით აქვს განათლება მიღებული და სოპრანო გახლავთ, თუმცა ის სიმღერის დროს მხოლოდ საოპერო ტექნიკას არ იყენებს.**

ფლორ იანსენი 1981 წლის 21 თებერვალს ჰოლანდიაში დაიბადა. მუსიკოსობა მისი ბავშვობის ოცნება იყო. 16 წლის ასაკში, 1997 წელს, გაწევრიანდა ჯგუფ After Forever-ში, რომელთან ერთადაც გამოუშვა 6 ალბომი. 1999 წელს სწავლა დაიწყო ნიდერლანდების როკის აკადემიაში, 3 წლის შემდგომ კი სწავლა გააგრძელა კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა მუსიკალურ თეატრს და ოპერას.



2009 წელს ჯგუფის დაშლის შედეგ იანსენმა ჩამოაყალიბა ახალი ჯგუფი სახელწოდებით Revamp. ფლორი სიმფონიური მეტალის მსმენელებისთვის ყოველთვის იყო საყვარელი მომღერალი, თუმცა 2012-2013 წლებში ის მთელმა მსოფლიომ გაიცნო. 2012 წლის 1 ოქტომბერს Nightwish-ის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ, ანეტ ოლზონის და Nightwish-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ანეტი ტოვებდა ჯგუფს, ჯგუფთან ერთად მსოფლიო ტურნე კი გააგრძელა ფლორ იანსენმა. 2013 წლის 9 ოქტომბერს, ჯგუფის განცხადებით, იანსენი Nightwish-ის წევრი გახდა. მსმენელები, მსოფლიოს მასშტაბით, აღფრთოვანებას ვერ მალავენ მისი ვოკალური მრავალფეროვნების გამო.

# სამართლიანობის დამკვიდრება შეუძლებელია... ცხედრებით!

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ რობაქიძის, გირგვლიანისა და ვაზაგაშვილის (ეს სამი გვარი ისმოდა და ისმის ყველაზე ხშირად) მკვლელებზე ხელის დაფარებით ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს, შემდეგ მთელი სამართალდამცავი სისტემის და, რაც ყველაზე საშინელია, მთლიანად სახელმწიფოს რეპუტაცია შეილახა. რამდენიმე მკვლელის დაცვას შეეწირა სახელმწიფოს ავტორიტეტი და ქვეყნის პირველი პირები კვლავაც განაგრძობდნენ დამნაშავეთათვის ხელის დაფარებას. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ პრეზიდენტი და მინისტრები სულაც არ იყვნენ უანგარონი, როცა სადისტებს დაჰფოფინებდნენ და იწყალებდნენ — ისინი მაფიის, ნაცმაფიის ხელკეტები იყვნენ და, თუ მიატოვებდნენ ან მკაცრად დასჯიდნენ, მომავალში ბრალდების მოწმეებად გადაიქცეოდნენ.**




სააკაშვილის რეჟიმი სწორედ ასეთი მკვლელების მიმართ ლოიალობას შეეწირა, რადგან **9 წლის მანძილზე ჩვენ ვცხოვრობდით არა თანამოაზრეთა ან თანამებრძოლთაგან მართულ სახელმწიფოში, არამედ თანამზრახველთა ბანდის ტყვეობაში.**

მაგრამ ახლა? ახლა ხომ გვეუბნებიან, რომ უნდა გვქონდეს იმის რწმენა, რომ ხელისუფლებამ უარი თქვა ძალადობაზე? ახლა ხომ ცდილობენ ჩვენს დარწმუნებას, რომ სამართლიანობას ვამკვიდრებთ? ახლა ხომ... და ძალიან ბევრი „ახლა ხომ...“

მაშ, **დროულად გამოიძიეთ შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების გარემოებები. ბოლოს და ბოლოს, თუკი ამ ახალგაზრდა კაცის უსაფრთხოებას მოწმეთა დაცვის პროგრამა უზრუნველყოფდა, რატომ ვერ დაიცვეს მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი მოწმის, სიცოცხლე? რა გარანტიაა, რომ ხვალ არ განმეორდება ასეთივე ტრაგედია?**

და, თუკი შალვა თათუხაშვილს ეშინოდა, რომ დათა ახალაიას „გრძელი ხელები“ შსს-სგან დაცულსაც მისწვდებოდა, მით უფრო ფრთხილად არ უნდა ყოფილიყვნენ მისი მცველები? **თუკი ეშინოდა, რომ შსს-ში კვლავაც ბევრია ახალაიას გულშემატკივარი, ეს ვისი ბრალია?**

მოკლედ, ხელისუფლებავ, გაითვალისწინე სააკაშვილის რეჟიმის მწარე გამოცდილება: ის დაემხო არა 2011 ან 2012 წელს, არამედ 2004 წლის 23 ნოემბერს, 2006 წლის 26 იანვარს, 2006 წლის 2 მაისს... და ასე, ყოველი მორიგი მკვლელობის შემდეგ ემხობოდა.

**ის, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მოხდა, მხოლოდ ფარდის დაშვება იყო ტრაგედიათა შემზარავი ჯაჭვის წარმოდგენის შემდეგ. თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო და „სპექტაკლები“ უკვე სასამართლო დარბაზებში გამართულიყო, მაგრამ თქვენ ეს ფარდა კვლავ ასწიეთ და „ნაცები“ „პაკლონზე“ გამოიყვანეთ. მას შემდეგ კი ისინი მუდმივად მთავარ როლში არიან იმ პოლიტიკურ მასკარადში, რომელიც უკვე გულს ურევს საზოგადოებას.**

სულ ეს არის: **სასწრაფოდ გამოიძიეთ ამ ახალგაზრდა კაცის გარდაცვალების გარემოებები და უმკაცრესად დასაჯეთ დამნაშავენი, ნებისმიერი მათგანი, ვინც უნდა იყოს!**

ჩვენ სამართლიანობის დამკვიდრება გვინდა, ამის მიღწევა კი ცხედრებით შეუძლებელია; ეს სააკაშვილის გზაა, გზა უფსკრულისკენ! **სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების დაცვით შეიძლება!**

**ბონდო მძინარაშვილი**

# ორმაგი სტანდარტი — თუ კვებეკს შეუძლია, რატომ არ უნდა შეეძლოს ყირიმს?

**ვინიპეგის (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორი და მკვლევარი ჯონ რაიანი ყირიმში მიმდინარე პროცესებს ეხმაურება და პარალელებს კანადის პროვინცია კვებეკთან ავლებს.**

„აშშ-მა, უკრაინამ და სხვა ქვეყნებმა ხმაური ატეხეს ყირიმის მომავალი პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისათვის ჩატარებული რეფერენდუმის გამო. ისინი აღშფოთებით ლაპარაკობენ, რომ ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა.

განსაცვიფრებელია, მაგრამ **ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ობამასა და სხვა ქვეყნების ლიდერებს თითქოს არაფერი სმენიათ კანადის პროვინცია კვებეკში არსებულ ვითარებაზე.** კვებეკი — ეს არის კანადის პროვინცია, რომელმაც ორჯერ (1980 და 1995 წლებში) ჩაატარა რეფერენდუმი კანადიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის შესახებ... უახლოეს მომავალში კი, მესამე რეფერენდუმი გაიმართება. ამ რეფერენდუმების კანონიერებაში ეჭვი არავის შეუტანია. **ყირიმი უკრაინის ავტონომიური ოლქია, რომელიც ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორითაც კანადის პროვინცია. სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა — თუ კანადის პროვინციაში ჩატარებული რეფერენდუმი ლეგალურია და ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, რატომ არის ეს არალეგალური ყირიმისთვის?**

აშშ-ს არასოდეს გაუპროტესტებია რეფერენდუმის ჩატარება კვებეკში და რატომ ატყდა აურზაური ყირიმში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით? ან რა ესაქმება აშშ-ს იმასთან, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კვებეკი ან ყირიმი?

გაერთიანებული ერების წესდება ხალხებს აძლევს თვითგამორკვევის უფლებას და ამ უფლების ძალით, მათ შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი. კანადაში კვებეკი სარგებლობს ამ უფლებით და არ არსებობს არავითარი მიზეზი, რატომ არ უნდა მოიქცეს ყირიმი ასევე.




# «გედების ტბა» და «ტრავიატა» ოპერისა და ბალეტის მოყვარულთათვის

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მორიგ სპექტაკლებს 4, 6 და 7 აპრილს წარმოადგენს.**

**4 და 6 აპრილს** ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში საბალეტო დასი მაყურებელს იწვევს **პეტრე ჩაიკოვსკის** ბალეტზე **„გედების ტბა“.** ოდეტა-ოდილიას პარტიას პირველად შეასრულებს თეატრის ახალგაზრდა სოლისტი **ნინო სამადაშვილი.** მას პარტნიორობას გასტროლიორი მოცეკვავე, ყაზანის თეატრის წამყვანი სოლისტი **მიხეილ ტიმაევი** გაუწევს. ასევე პირველად იხილავს მაყურებელი როტბარტის პარტიაში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სოლისტს **უილიამ პრატს.**




**7 აპრილს** კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტოდ შესრულდება **ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“.** თეატრის გუნდსა და ორკესტრს მთავარი დირიჟორი **ჯანლუკა მარჩანო** წარუძღვება. მთავარ პარტიებს შეასრულებენ — **მარიკა მაჩიტიძე** (ვიოლეტა ვალერი), **ირაკლი მურჯიკნელი** (ალფრედ ჟერმონი), **სულხან გველესიანი** (ჟორჟ ჟერმონი), **ნატალია ვოლჩენკო** (ფლორა ბერვუა), **მანანა იორდანიშვილი** (ანინა), **თამაზ საგინაძე** (გასტონი), **ლევან მაკარიძე** (ბარონი დიუფოლი), **ტარიელ ჭიჭინაძე** (მარკიზ დ'ობინი) და **გოდერძი ჯანელიძე** (ექიმი გრენვილი).





# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე **სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე**, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;**
**ტ. 218-46-08 ოფისი**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ეწვიეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894